კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ლილი მიქელაშვილი

საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო

ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

საუდის არაბეთი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი დიდი ქვეყანაა, აქედან გამომდინარე მას რეგიონში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მას აქვს კარგად განსაზღვრული საგარეო პოლიტიკური კურსი როგორც საკუთრივ რეგიონში, ისე რეგიონს გარეთ. მას ახლო აღმოსავლეთში სერიოზული მეტოქეები ჰყავს, ირანისა და თურქეთის სახით, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონობაზე. საუდის არაბეთი ცდილობს სპარსეთის ყურის რეგიონში თავისი განსაკუთრებული როლის ხაზგასმას, რადგანაც, სპარსეთის ყურის ქვეყნებში საუდის არაბეთი თავისი არა მარტო ტერიტორიული სიდიდით, არამედ თავისი პოლიტიკური. ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა.

საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში ასევე პრიორიტეტულია დასავლეთ ევროპა და აშშ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში არის აბსოლუტური მონარქია და რის ისლამური სახელმწიფო, მას საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამ ქვეყნებთან და აქტიურად თანამშრომლობს მასთან სხვადასხვა სფეროებში, თუმცა იმის გამო, რომ საუდის არაბეთი ისლამური სახელმწიფოა და აქედან გამომდინარე დემოკრატიულ პრინციპებს აქ სერიოზული პრობლემებით ხასიათდება, ეს ქვეყნის მჭიდრო აქტიურ საგარეო პოლიტიკურ კურსს ევროპის ქვეყნებთან და აშშ-სთან ნაკლებად ახერხებს

Annotation

The main aspects of Saudi Arabia's Foreign policy

Saudi Arabia is one of the largest countries in the Middle East and plays an important role in the region. It has a well-defined foreign policy inside the region as well as beyond its borders. The country has serious competitors in the Middle East, Iran and Turkey, which also claim to have a leading role in the Middle East. Saudi Arabia is trying to emphasize its special role in the Gulf region not only on account of its large territory, but also its politics because of its leading postition in economical and military areas. Foreign policy of Saudi Arabia is also a priority for Western Europe and USA. Despite the fact that this country is an absolute monarchy and an islamic state, it has close relationship and active cooperation with these regions in different fields of activity. However, based on the fact that Saudi Arabia is an Islamic state and its democratic principles face serious problems, the active course of its foreign policy is less effective than in the European countries and USA.

Lili Mikelashvili

სარჩევი

შესავალი.....5
თავიI: საუდის არაბეთის შექმნისა და განვითარების ისტორია.....10

1.1 საუდის არაბეთის შექმნის ისტორიული წინამძღვრები.....10

1.2 ისლამის როლი საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში.....16

1.3 საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის პროდასავლური ვექტორი (ურთიერთობა ევროპასა და აშშ-სთან) 22

თავი II: საუდის არაბეთი, როგორც ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი აქტორი.....28

2.1 ნავთობის ფაქტორი საუდის არაბეთის დაგარეო პოლიტიკაში 28

2.2 სპარსეთის ყურის ომები და საუდის არაბეთის პოზიცია.....33

2.3 ახლო აღოსავლეთის კონფლიქტები და საუდის არაბეთის პოლიტიკა.....37

თავი III: საუდის არაბეთი-სპარსეთის ყურის რეგიონალური ცენტრი.....41

3.1 ქვეყანაში დაპირისპირება სუნიტებსა და შიტებს შორის და მისი გავლენა საგარეო პოლიტიკაზე..... 41

3.2 საუდის არაბეთი და რეგიონალური სახელმწიფოების დაპირისპირება.....48

3.3 ადამიანის უფლებები და საუდის არაბეთის პრობლემები საგარეო ურთიერთობებში.....61

დასკვნა.....68

გამოყენებული ლიტერატურა.....70

შესავალი

თემის აქტუალობა. სპარსეთის ყურის ერთ-ერთი დიდი ქვეყანა, საუდის არაბეთი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ რეგიონში არამედ მსოფლიოშიც. მის საგარეო პოლიტიკური კურსს შეუძლია გარკვეული ცვლილებები შეიტანოს, სპარსეთის ყურის ქვეყნებსა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაშიც. ეს არის ისლამისტური ტიპის სახელმწიფო სადაც აბსოლიტური მონარქიაა, მიუხედავად ამისა საუდის არაბეთი საინტერესოა რეგიონს გარეთ არსებული დიდი სახელმწიფოებისათვის. მასზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება რეგიონში გარკვეული გავლენის მოპოვება. შესაბამისად ჩვენი სამაგისტრო თემა აქტუალურია.

საკვლევი კითხვები.რა როლი უკავია საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში ისლამს?

- რა გავლენას ახდენს ქვეყანაში შიდა რელიგიური დაპირისპირება საუდის არაბეთის რეგიონალურ პოლიტიკაზე?

- რა როლი და ადგილი უკავია საუდის არაბეთს დიდი სახელმწიფოების რეგიონალურ გეოპოლიტიკაში?

თემის ჰიპოთეზა. საუდის არაბეთი ისლამური ქვეყანაა და ისლამის უმთავრესი რელიგიური სიწმინდეებიც ამ ქვეყანაშია განლაგებული. აქედან გამომდინარე, ნებისმიერმა სხვა მუსლიმურმა ქვეყანამ, რომელიც თუნდაც მასზე სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ძლიერი იყოს და განაცხადოს პრეტენზია მუსლიმურ სამყაროში ლიდერობაზე, საუდის არაბეთი ამ მხრივ მაინც უპირობო ლიდერად რჩება. დაპირისპირება სუნიტებსა და შიიტებს შორის სერიოზულად აისახება საუდის არაბეთის რეგიონულ (როგორც სპარსეთის ყურის, ისე ახლო აღმოსავლეთის) პოლიტიკაზე. შიიტები თავის მხრივ სერიოზულ დასაყრდენს უქმნიან შიიტურ ქვეყნებს, რომელიც გარკვეული გავლენას ახდენენ ამ ქვეყანაზე.

საუდის არაბეთი ასევე სერიოზულ დასაყრდენს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის , სწორედ მისი მეთაურობით ეცადა გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნასაც, რაც მარცხით დასრულდა. ამავე დროს აღსანიშნავია რუსეთის მცდელობაც, რომ საუდის არაბეთში როგორმე გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური დასაყრდენი მოიპოვოს.

თემის მიზნები და ამოცანები. ჩვენს მიერ არჩეული სამაგისტრო თემის მიზანია შეგვესწავლა საუდის არაბეთის საგარეო-პოლიტიკური მიმართულებები, როგორც რეგიონში ისე მთლიანად მსოფლიოში, რაც დაგვეხმარა იმ ძირითადი საკითხების გარკვევაში, თუ რა ადგილი და მნიშვნელობა აქვს საუდის არაბეთს მსოფლიო პოლიტიკაში და ასევე საუდის არაბეთისათვის რა საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტებია მნიშვნელოვანი. აქედან გამომდინარე ჩვენი ამოცანაა საუდის არაბეთის მისწრაფებებისა და მისი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის სიღრმისეული შესწავლა რეგიონსა თუ მთლიანად მსოფლიოს მასშტაბით.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია. კვლევის ჩატარებისას გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდოლოგია „ძალთა ბალანსის“ თეორია, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

,,სექიურითიზაციის კონცეფცია“ უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, რომლის ავტორები არინ ოლი ვივერი, ბარი ბუზანი და მათი თანამოაზრეები. ამ კონცეფციაში იწყება უსაფრთხოების ფენომენის მაქსიმალურად ფართო განხილვა, რომელიც საზოგადოების ჩართულობას ითვალისწინებს.

კვლევის მეთოდები . ინტერდისციპლინარული მეთოდი

ისტორიულ-აღწერილობითი

არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა,

ემპირიული კვლევის მეთოდები - ნარატიული ანალიზი,

კონტენტ-ანალიზი.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენს ხელთ არსებული მასალის სამეცნიერო ნაშრომებისა და ფაქტოლოგიური მასალის შესწავლისა და მათი შეჩერების შედეგად შევქმენით აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს.სასურველია, ჩვენს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგეთ საუდის არაბეთის კვლევის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს. ის შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

კვლევის შედეგების განხილვა. წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში მნიშვნელოვან ადგილი დაეთმო საუდის არაბეთის როგორც საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს,ისე იმ გამოწვევებსაც რომელიც ამ ქვეყნის წინაშე ბოლო პერიოდში წარმოიშვა.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე შევეცადეთ გაგვეკეთებინა სწორი დასკვნები იმასთან დაკავშირებით, თუ რა აძლევს საფუძველს საუდის არაბეთს, იბრძოლოს როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ასევე სპარსეთის ყურეში ლიდერის პოზიციის მოსაპოვებლად, და ამას გარდა შევეცადეთ გაგვერკვია ის, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას თანამედროვე ეტაპზე საუდის არაბეთის, როგორც ისლამური სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ინტერესები და რამდენადაა შესაძლებელი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადოს მისმა საგარეო-პოლიტიკურმა ვეტქორმა. და რაც მთავარია შეძლებს თუ არა ეს ქვეყანა შეინარჩუნოს შიდა პოლიტიკური სტაბილურობა (აქ იგულისხმება არსებული მმართველობის სისტემის შენარჩუნება), რაც ბევრადაა დამოკიდებული მის საგარეო კურსზე.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები მკვლევართათვის საინტერესო და აქტუალური

საკითხია, შესაბამისად ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ცალკეულ პრიორიტეტებზე შეიქმნა შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევები. ქართულ ენაზე ამ მხრივ ნაშრომები საკმაოდ მწირეა, რაც შეეხება უცხოელ ავტორთა ნაშრომებს, ისინი ბევრად მრავალმხრივობით გამოირჩევიან. ჩვენს საკვლევ თემაზე მუშაობისას შეძლებისდაგვარად, რაზეც კი ხელი მიგვიწვდა გავეცანით ამ მიმართულებით შექმნილ ცალკეულ გამოკვლევებს რომლებიც დაგვეხმარა ჩვენს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში. ქვემოთ განვიხილავთ მათ ნაწილს:

- საუდის არაბეთის პოლიტიკურ მისწრაფებებზე სპარსეთის ყურესა და ზოგადად რეგიონის ლიდერობაზე განხილულია სამი ავტორის, გიორგი სანიკიძის , გიული ალასანიასა და ნანი გელოვანის ნაშრომში „ ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთბები სამხრეთ კავკასიასთან. თბილისი 2011“. ასევე ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი სპარსეთის ყურის პრობლემებს და ახლო აღმოსავლეთში არსებულ ორგანიზაციებში საუდის არაბეთის როლს.
- საუდის არაბეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკური კურსი როგორც რეგიონში, ისე რეგიონს გარეთ განხილულია რ. გაჩეჩილაძის ნაშრომში „ ახლო აღმოსავლეთის ისტორია, თბილისი 2011 „რომელიც დაგვეხმარა ჩვენთვის საინტერესო საკითხის გაშუქებაში
- პროფ. ნ. გელოვანის მონოგრაფიაში“ თანამედროვე არაბული ქვეყნები. თბილისი 2008“ საიტერესო მასალაა თავმოყრილი საუდის არაბეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან XXI საუკუნის 10-იან წლებამდე. ავტორი ჩენთვისა საინტერესო მთელ რიგ საკითხებს განიხილავს არაბულ წყაროებზე დაყრდნობით.
- საუდის არაბეთის სამეფოში ისლამის როლი და ადგილი განხილულია ალ იასინის ნაშრომში “ Religion and State in the Kingdom of Saudi Arabia Builder , Colo:Westview Press, 1985„მასში მნიშნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენთვის ისეთ საინტერსო საკითხებს, როგორიცაა , პრობლემები საუდის არაბეთში სუნიტებსა და შიიტებს შრის.

- საუდის არაბეთში მიმდინარე შიდა პოლიტიკური ვითარება და მისი საგარეო ურთიერთბები განხილულია რობერტ ლეისის მონოგრაფიაში, „Inside the Kingdom :kings, Clerics, Modernists, Terrorists and the struggle for Saudi Arabia, London: Arrow Books 2009 „მასში ასევე გამახვილებულია ყურადღება ტერორიზმზეც.
- შლომო ბრუმის ნაშრომი „The Middle East Military Balance, 2001-2002. Jaffee Center for Strategic Studies . Tel Aviv University.“ ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, რეგიონში ძალთა ბალანსის კვლევისათვის რაც ბუნებრივია საუდის არაბეთთანაცაა კავშირში.
- ფიშერის სამეცნიერო ნაშრომი „The Middle East : A Physical, Social and Regional Geography 5th edition.” London Methuen, 1966. ჩენი კვლევისათვის საკმაოდ საინტერესოა , რადგან საუდის არაბეთი მნიშვნელოვან გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე , რეგიონში საკმაოდ ძლიერ მოთამაშეს წარმოადგენს.

- ამ მხრივ ასევე მნიშნელოვანია ჩვენი კვლევისათვის ჯ. ჰაბიბის ნაშრომი „Ibn Saud’s Warriors of Islam : The Ikhwan Of Najd and their Role in the Creation of the Saudi Kingdon” 1910-1930. Leiden : Brill, 1978. ის ჩვენთვის კონკეტულად საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში მნიშნელოვანი ადგილი უჭირავს წმინდა ადგილების როლს საუდის არაბეთისათვის ისლამურ სამყაროში.
- პროშინოვს ნაშრომი Саудовская Аравия. ,,Историко-економический очерк”. Москва: Наука.главная редакция восточной литературы, 1964 ჩვენთვის იმ მხრივაა საინტერესო, რომ მასში კარაგადაა გაშუქებული საუდის არაბეთის სახელმწიფოს განვითარების ისტორიული ეტაპები და მისი ეკონომიკური წინსვლის მიზეზები. აქვე ყურადღება გამახვილებულია ნავთობის ფაქტორზე საუდის არაბეთის ეკონომიკურ წინსვლაში. კვლევისათვის ვიყენებთ ასევე ცალკეულ საიტებზე განთავსებულ ინფორმაციას.

თავი I

საუდის არაბეთის შექმნისა და განვითარების ისტორიული ასპექტები

1.1 საუდის არაბეთის შექმნის ისტორიული წინამძღვრები

XX საუკუნეში საუდის არაბეთის განვითარების ისტორია არის აღმოსავლური ქვეყნებს წარმატებული მოდერნიზაციის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი, ხელისუფლების მიერ გატარებული ძირეული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების შედეგად. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ყურის ქვეყნებში მიმდინარე“ უსისხლო რევოლუციამ „ საშუალება მისცა საუდის არაბეთს განეხორციელებინა ნახტომი თავის საზოგადოებრივ განვითარებაში შუა საუკუნეებიდან -XXს-ში.

XX ს-ის დასაწყისში ახალგაზრდა ამირა აბდულ აზიზ ბინ აბდულ რაჰმანი (1882-1953), ას-საუდის დინასტიიდან (მოგვიანებით მსოფლიოში ცნობილი გახდა იბნ საუდის სახელით) შეეცადა აღედგინა არაბეთის ნახევარკუნძულზე ადრე არსებული საუდიანთა სახელმწიფო. თავდაპირველად 1902 წელს დაიკავა პატარა ქალაქი არ -რიადი, 1904 წელს -მთელი ცენტრალური ნეჯდი, ხოლო 1926 წლისათვის თანდათან მან დაიმორჩილა არაბეთის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი და 8 იანვარს მექის დიდ მეჩეთში აბდულ აზიზ იბნ საუდი ჰიჯაზის მეფედ გამოცხადდა. 1932 წლის 18 სექტემბერს მეფემ გამოსცა დეკრეტი " არაბული სამეფოს ნაწილების გაერთიანების შესახებ " და მსოფლიო რუკაზე გაჩნდა საუდის არაბეთის სამეფო [1].

ფაქტობრივად იბნ საუდმა განახორციელა სხვადასხვა მიწების ინტეგრაცია ერთიან სახელმწიფოში ცენტრალიზებული ხელისუფლებით. თუმცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსებას მიჰყვა მრავალი პრობლემა. ძირითადი იყო ეკონომიკური და სოციალური პრობლემები რომლებიც განსაკუთრებით გამწვავდა 1929-1932 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს. შექმნილმა ვითარებამ დააჩქარა ქვეყნის მოდერნიზაციის პროცესის დასაწყისი.[2]

XX ს-ში საუდის არაბეთის, როგორც არა დასავლური საზოგადოების, მოდერნიზაციის პერიოდი, შეიძლება პირობითად 4 ეტაპად დავყოთ: 1-ლი ეტაპი:

---

[1] Rasheed M. 2002 A History of Saudi Arabia.2002 გვ. 39-71

[2] Bligh, A. From Prince to King: Royal Succession in the House of Saud in the Twenthieth century. New York: New York University press, 1984 გვ . 17-44

1920-1930 წწ. -საუდის არაბეთის ძალისმიერი გაერთიანების ციკლი, სახელმწიფოს ჩამოყალიბება ცენტრალიზებული მმართველობით და აბსოლუტური მონარქიით, ხელისუფლების მიერ ეროვნული მასშტაბის კრიზისის აღიარება და სტაბილიზაციის ციკლი, ხელისუფლების გატარება; მე-2 ეტაპი: 1940-1950 წწ.- პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის ციკლი, ხელისუფლების მიერ შემოსავლების საიმედო წყაროების მოძიება სანავთობო შემოსავლების სახით, დაპირისპირება მმართველი დინასტიის შიგნით განვითარების გზის არჩევისთვის ; მე-3 ეტაპი : 1960-1990 წწ. - ძირეული სოციალ-ეკონომიკური რეფორმების ციკლი, ხელისუფლების მიერ განხორციელებული რევოლუცია ზემოდან; მე-4 ეტაპი: 1990-იანი წლების მეორე ნახევარი - XXI ს-ის დასაწყისი, განვითარების არაბული მოდელის ჩამოყალიბება.

იბნს საუდმა ჩამოაყალიბა ახალი სახელმწიფოებრიობა, რომელიც ეფუძნებოდა ადრეული სახელმწიფოს მოდელს, შარიათის ნორმების განუხრელი დაცვით. კანონით მუსლიმ მმართველს არ გააჩნდა დინასტიური ტახტის მემკვიდრეობის უფლება, მაგრამ მან დაარღვია ეს წესი. დინასტიის დასაყრდენს წარმოადგენდნენ მუსლიმი ღვთისმეტყველები და ტომები, რომლებიც იბნ საუდმა ორი ათწლეულის მანძილზე დაიმორჩილა.[3]

იბნ საუდმა დაიწყო ცალკეული ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმების გატარება, რომელთა მიზანი იყო არა ქვეყნის მოდერნიზაცია, არამედ ტომობრივი წყობის ლიკვიდაცია. სამეფო გაყოფილი იყო 14 საამიროდ, რომელთა სათავეში იდგნენ მეფის მიერ დანიშნული მოხელეები. მოხდა მმართველობის სისტემის უნიფიცირება საუდის არაბეთის სხვადასხვა ნაწილში, ხოლო 1927 წელს ჩატარდა სასამართლო რეფორმა, რომლითაც ტომობრივი ადათები შარიათის სამართალწარმოებით შეიცვალა. ამასტან ტომის შახები, როგორც მოსამართლეები, ყადიებმა შეცვალეს. შემოღებულ იქნა კომერციული სასამართლო და დაშვებულ იქნა ადვოკატების საქმიანობა [4].

იბნ საუდმა მოიწვია ქვეყანაში მრჩევლების სახით დასავლელი სპეციალისტები და ევროპეიზირებული მუსლიმები. 1932 წელს მეფემ ჩამოაყალიბა პოლიტიკური კომიტეტი რომელშიც შევიდა 8 წევრი ; მისი ვაჟები - საუდი და ფაისალი; ეგვიპტელი - ჰაფიზ ვაჰბა; ორი სირიელი - ხალიდ ალ - ჰაქამი და იუსუფ იასინი; ლიბანელი- ფუად ჰამზა; ლბიელი - ხალიდ ალ- ღარგინი; ინგლისელი სამხედრო და არაბისტი -ჯონ ფილბი , რომელის ისლამზე მოექცა და მიიღო აბდალაჰის სახელი. საბჭოს თავმჯდომარეობდა მეფე - აბდულ

[3] Wynbrandt , James. A Brief History of Saudi Arabia. New York: Chechmark Book, 2010. გვ. 183

[4] Прошин н.и. Саудовская Аравия .Историко-економический очерк. Москва:Наука.главная редакция восточной литературы,1964 გვ . 85-92

აზიზ ბინ საუდი. ეს კომიტეტი განიხილავდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს (საფინანსო საკითხების გარდა), მაგრამ მას არ ჰქონდა აღმასრულებელი ძალაუფლება და მისი როლი მხოლოდ რჩევებით შემოიფარგლებოდა . [5]

XX ს-ის 20-30 - იან წლებში ქვეყნის ცენტრალიზაცია მიმდინარეობდა ცენტრალურ ხელისუფლებასა და იხვანებს (ბედუინების სამხედრო ძალა) შორის ურთიერთობის გამწვავების ფონზე. იხვანები გამოირჩეოდნენ რელიგიური ფანატიზმით- მტრულად იყვნენ განწყობილი ურწმუნოებისა და ჰიჯაზის ქალაქების მცხოვრებთა მიმართ, რომელთაც „დაივიწყეს“ ჭეშმარიტი ისლამი. იხვანები „ შარიათის გამოგონებად“ მიიჩნევდნენ იმ ტექნიკურ საშუალებებს, რომლებსაც იბნ საუდი ფართოდ ნერგავდა ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად და სამეურნეო და სამხედრო მიზნებისათვის (ავტომობილები, რადიო, ტელეფონი და სხვა) . წინააღმდეგობის დასაძლევად მეფეს მოუხდა ძალის გამოყენებაც, მაგალითად 1930 წელს მან ბრძანა იმ ოფიცერთა სიკვდილით დასჯა, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ რადიომაუწყებლობის წინააღმდეგ იმავდროულად იბნ საუდმა 1935 წელს მოახდინა მონათვაჭრობის ლეგალიზაცია.[6]

საუდის სამეფოს ძირითად შემოსავალს წარმოადგენდა პილიგრიმებზე დაწესებული გადასახადი , მაგრამ ის წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქვეყანას არაბულ სამყაროში (მაგ., 1927 წელს ქვეყნის ბიუჯეტი შეადგენდა 1, 5 მლნ გირვანქა სტერლინგს). თუმცა XX ს-ის 30-იან წლებში ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ნავთობის ფაქტორმა. ამერიკული სანავთობო კომპანიები დაინტერესებული იყვნენ ახლო აღმოსავლეთის სანავთობო რაიონებით, ხოლო იბნ საუდი-დინანსური დახმარების მიღებით. 1933-1938 წწ. საუდის არაბეთში ამერიკული კომპანიები აწარმოებდნენ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს, ხოლო 1939 წლიდან იწყება ნავთობის სამრეწველო მოპოვება. სანავთობო კომპანიებმა გაიყვანეს გზები და ნავთობსადენები, მოამზადეს მუშები სანავთობო სფეროში. წარმოშობილ სისტემაში- მეტროპოლია-კოლონია- საუდის არაბეთი იყო არათანასწორუფლებიანი პარტნიორი, მაგრამ იღებდა მნიშვნელოვან მოგებას დასავლეთიდან.

1940 -იან წლებში - 1950-იანი წლები დასაწყისში მეფემ შემოიღო სამინისტროების სისტემა , გაატარა სამხედრო რეფორმა ამერიკელი და ინგლისელი მრჩევლების დახმარებით, მოიზიდა ქვეყანაში დასავლური

---

[5] Almana, M . Arabia Unified : A portrait of Ibn Saud . London : Hutchinson Benham, 1980 გვ . 191-192

[6] Habib, J. Ibn Saud's Warriors of Islam : The Ikhwan Of Najd and their Role in the Creation of the Saudi Kingdon , 1910-1930. Leiden : Brill, 1978.გვ. 15-16

სანავთობო და სხვა კომპანიები , რითაც საფუძველი ჩაუყარა დასავლური კაპიტალისა და საუდის არაბეთის საზოგადოების თანამშრომლობას, თუმცა არათანასწორუფლებიან პირობებში[7] ამ ღონისძიებების მიუხედავად, მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონე კვლავ ძალიან დაბალი იყო-ისინი ცხოვრობდნენ ანტისანიტარიულ პირობებში, გამუდმებით შიმშილობდნენ, მოკლებული იყვნენ სამედიცინო დახმარებას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 33 წელს. 1952 წელს საუდის არაბეთში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალმა წელიწადში შეადგინა სულ 45 დოლარი (პაკისტანში -5, იორდანიაში -60, ერაყში და ირანში 85 დოლარი)

1953 წელს იბნ საუდის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი საუდ ბინ აბდულ აზიზ ალ საუდი (1953-1964) რომელიც თავის მსოფლმხედველობით აღმოჩნდა აშკარა ტრადიციონალისტი. მართალია, მას ღიად უარი არ უთქვამს იბნ საუდის მიერ განხორციელებულ რეფორმებზე, მაგრამ მის დროს მოხდა საზოგადოებრივი განვითარების აშკარა შეფერხება : სამეფოში ტრადიციული ისლამური ნორმების განსამტკიცებლად 1954 წელს დააწესა პრიზი - 2000 რიალი. მუსლიმთა წმინდა წიგნის- ყურანის ზეპირად დასწავლისათვის.

1958 წლის მარტში საუდმა , რომელმაც ქვეყანა მიიყვანა ფინანსური კრახის ზღვარზე, ძმების ზეწოლით , პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ამირა ფაისალი.

1958 წლის 31 მარტს ფაისალი ფორმალურად გახდა მთავრობის მეთაური, პრაქტიკულად კი მიიღო მთელი ადმინისტრაციული ხელისუფლება ქვეყანაში და მის მიერ მიღებული კანონები და ბიუჯეტი ძალაში შედიოდა მეფის დამტკიცების გარეშე. ივნისში მან მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შეთავაზებული ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამა და 1958-1960 წწ. შეძლო გამოეყვანა ქვეყანა ფინანსური კრიზისიდან. მან განახორციელა არსებითი გარდაქმნები : ჩატარდა უმსხვილესი პორტის - ჯიდას (ჯიდდა) ნაციონალიზაცია, შეიზღუდა უცხოური კაპიტალის მოქმედება ვაჭრობაში -51% უნდა ყოფილიყო საუდელთა საკუთრება; შეიზღუდა ქვეყანაში ფუფუნების საგნები, მათ შორის ძვირფასი ავტომობილების შემოტანა; გატარდა სავალუტო სისტემის რეფორმა. ეს ღონისძიებები განხორციელდა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ საყოველთაო განსჯის საგანი გახდა. რადიკალები კიცხავდნენ ფაისალს, შეზღუდული გარდაქმნების გამო.[8]

1960 წლის დეკემბერში ფაისალი გაანთავისუფლეს პრემიერ-მინისტრის პოსტიდან და საუდმა შეითავსა ეს თანამდებობა. საუდს არა შეეძლო ქვეყნის

[7] Safran, N. Saudi Arabia: The Ceaseless Quest for Security. Cambridge, MA: Harvard University Press, 1985 გვ. 84

[8] Holden, D. & Johns, R. The House of Saud. London : Sidgwick & Jacjson, 1981 გვ . 201-207

ხელმძღვანელობა , ის ცდილობდა მხოლოდ თავისი ხელისუფლების შენარჩუნებას, რისთვისაც იყენებდა სხვადასხვა მეთოდებს. საუდმა მიიწვია მთავრობის შემადგენლობაში ლიბერალები, სათავეში-1მირა ტალალ ბინ აბდულ აზიზი. მთავრობის პირველ სხდომაზე განიხილეს საკითხი ქვეყანაში კონსტიტუციური მმართველობის შემოღების შესახებ. კონსტიტუციის პროექტის - დაგეგმვის უმაღლესი კომიტეტი, სათავეში ამირა ტალალი, სახელმწიფო აპარატში კორუფციასთან ბრძოლისათვის-სპეციალური კომიტეტები.

ამ პროგრამის რადიკალიზმმა გააოცა რეფორმატორები და დააშინა კონსერვატორები. ქვეყნის უმაღლესმა მუფთიმ - მუჰამად ინბ იბრაჰიმმა და რწმენის მორალის დაცვის ლიგის მეთაურმა- შაუხმა იმრ იბნ ჰასანმა მოუწოდა მეფეს უარი ეთქვა ‘’ საშიშ’’ სიახლეებზე და მოსთხოვეს წინასწარ გაეცნო მათთვის კანონპროექტები, რათა დაედგინათ მათი შესაბამისობა ისლამის პრინციპებთან შარიათის კანონებთან. საუდმა ისინი დაამშვიდა, რადგანაც მისთვის ყველა პროექტი მანევრი იყო თავისი ხელისუფლებისადმი საფრთხის შესუსტების მიზნით. 1961 წლის დასაწყისში გამოიცა სამეფო დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას ან სამუდამო პატიმრობას ნებისმიერი გამოსავლისათვის სამეფო ოჯახის წინააღმდეგ. ამავე წლის შემოდგომაზე ამირა ტალილი დაითხოვეს მთავრობიდან თავის მომხრეებთან ერთად (Abir, 1988:94)

1962 წ. ამირა ტალილ ბინ აბდულ აზიზი 4 ძმასთან ერთად წავიდა ლიბანში და იქიდან დაიწყო ბრძოლა საუდის რეჟიმის წინააღმდეგ. მათ გამოაცხადეს მეფის ოპოზიციური ჯგუფის- „თავისუფალი ამირები“ (ალ-უმარა“ ალ აჰრარ) ჩამოყალიბება. ტალალმა დააარსა აგრეთვე ორგანიზაცია „ ეროვნული განთავისუფლების არაბული ფრონტი“ რომლის მიზანი იყო „ საუდის არაბეთში დემოკრატიული რეჟიმის გამოცხადება „ [9] იმავდროულად კაიროში შეიქმნა მეორე ოპოზიციუი ორგანიზაცია-არაბეთის ნახევარკუნძულის შვილების ფედერაცია . სამეფოში მოქმედებდა აგრეთვე 1958 წ. შექმნილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი[10] მეფეზე რამდენჯერმე განხორციელდა თავდასხმა, მოხდა დივერსიები ამარკო-ს კონცესიის ტერიტორიაზე. 1962 წლის სექტემბერში მეზობელ იემებში მოხდა ანტიმონარქიული რევოლუცია და იემენის არაბთა რესპუბლიკის ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული ძალები, საუდს არ შეეძლო დასავლეთზე დაყრდნობა, რადგანაც ვაშინგტონში საუდის ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებები ფასდებოდა როგორც მონარქიის კრიზისის გაძლიერება [11]

[9] Rasheed M. 2002 A History of Saudi Arabia გვ.109-110
[10] Wynbrandt , James. A Brief History of Saudi Arabia. New York: Chechmark Book, 2010.გვ. 222
[11] Partner, P. A Short Political Guide to the Arab World. New York: penguin Books, 1960. გვ. 76

აშკარა საფრთხის პირობებში , საუდიანებმა მიიღეს სათანადო გადაწყვეტილება : 1962 წლის 17 ოქტომბერს ამირა ფაისალი კვლავ დაინიშნა პრემიერ-მინისტრად (4 ოქტომბერს ფაისალი შეხვდა ვაშინგტონის პრეზიდენტს - ჯ.კენედის, რომელმაც აღუთქვა დახმარება)

1962 წლის 6 ნოემბერს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ფაისალმა გამოაცხადა თავისი პროგრამა, რომელიც ცნობილი გახდა , როგორც „ 10 პუნქტი“ [12]ეს იყო ძირეული რეფორმების პროგრამა, რომელიც ფაისალმა სხვა რეფორმატორებისაგან განსხვავებით , თითქმის სრულად განახორციელა. „10 პუნქტი“ მოიცავდა შემდეგ ამოცანებს : საუდის საზოგადოების დახმარება სოციალურ , კულტურისა და განათლების სფეროში; ახალი კანონმდებლობის შემოტანა და იუსტიციის სამინისტროს დაარსება ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის უფასო სამედიცინო დახმარებისა და განათლების უზრუნველყოფა; სოცალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნა და უმუშევრობის ლიკვიდაცია; მონების განთავისუფლება ; გზებისა და კაშხლების აგება; სანავთობო რესურსებისა და რამდენიმე საბანკო დაწესებულების სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნა.[13] „ ჩვენ მივაღწევთ ცხოვრების დონეს, რომელიც მრავალი ქვეყნის ოცნებად რჩება , მივაღწევთ სოციალურ სამართლიანობას ხალხისათვის უფლებებისა და საკუთრების წართმევის გარეშე“-მითიტებული იყო პროგრამაში. „ საუდის სამეფო მალე გახდება სამრეწველო და თვითუზრუნველყოფადი აგრარული ქვეყანა შემოსავლების სხვადასხვა წყაროებით”[14]

პროგრამაში, სოციალ-ეკონომიკურის გარდა მოცემული იყო პოლიტიკური მიზნებიც: „ საუდის არაბეთში მმართველობის ფორმა შეიცვალა საუდის საზოგადოების ცვლილებასთან ერთად. შემუშავდება ქვეყნის ძირითადი კანონი, რომელიც დაფუძნებული იქნება ყურანსა და შარიათზე გაფართოვდება საკონსულტაციო საბჭოს უფლებები“. ფაისალმა ჩართო პროგრამაში ეს დებულებები, რადგანაც კარგად ესმოდა, რომ სამეფოში პოლიტიკური მოთხოვნები აუცილებელი იყო უმნიშვნელო უმცირესობისათვის-ასეულობით მენავთობისათვის ეგვიპტიდან , პალესტინიდან, ლიბანიდან და სირიიდან, მაშინ როცა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის აუცილებელი იყო

[12] Long, D.E. The kingdom of Saudi Arabia. Gainesville: University Center for Strategic and International Studies, 1976 გვ. 11-14

[13] Khadduri, Majid. Arab Contemporaries: The Role Personalities in Politics. Baltimore: Johns Hopkins University Press , 1973 გვ. 25-27

[14] Prince Faisal speaks. Faisal, King of Saudi Arabia, 1906-1975(ed.). New York:Ministry of Information, Prince Faisal Agency, 1963. გვ.6-12

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და არა დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება.

თვითონ ფაისალი იყო „ 10 პუნქტის'' ავტორი, მაგრამ მან გაითვალისწინა ულემთა ინტერესები და მემარცხენე ოპოზიციური ძალების მოთხოვნები. ამ უკანასკნელთაგან მან დაისესხა პროგრამის პრაგმატული ნაწილი, ხოლო კონცეპტუალური მან აიღო ტრადიცინალისტებისაგან, პროგრამის მე-5 და მე-6 პუნქტში გაცხადებული იყო „მთავრობა აღიარებს თავის ვალდებულებას ისლამის მოძღვრების გასავრცელებლად სიტყვით და საქმით. ''10 პუნქტში'' ტრადიციას ეკისრებოდა მნიშვნელოვანი როლი საზოგადოების განვითარებისათვის. საუდის არაბეთში პროგრესული გარდაქმნების გატარება თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების შესაქმნელად დაიწყეს ტრადიციულ-ისლამურ, იდეოლოგიურ პლატფორმაზე „ ამის დადასტურება იყო ფაისალის სიტყვები ერთ-ერთ ინტერვიუში, 1966 წლის დასაწყისში :"ჩვენ განზრახვული გვაქვს წინ წავიწიოთ დიდი გეგმების წყალობით რომლებიც ეფუძვნება ისლამურ კანონებს და რწმენას, ჩვენ ავირჩიეთ ეკონომიკური სისტემა , რომელიც დაფუძვნებულია თავისუფალ მეწარმეობაზე, რადგანაც ჩვენ გვჯერა , რომ ის სრულად შეესაბამება ჩვენს ისლამურ კანონებს და ეთანხმება ჩვენი ქვეყნის პირობებს, აძლევს შესაძლებლობას ინიციატივიან ადამიანებს და ნებისმიერ ჯგუფს იღვაწოს საკუთარი კეთილდღეობისათვის.[15]

მეფე ფაისალის მმართველობის 10 წლის განმავლობაში (ფორმალურად ტახტზე ავიდა 1964წ) საუდის არაბეთმა დიდი ნახტომი განახორციელა თავის განვიტარებაში, ამისათვის ფაისალმა გამოიყენა ორი ბერკეტი: სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი ეკონომიკაში, მისი დაგეგმვითი , რეგულირებადი და კონტროლის ფუნქციის გაძლიერება, აგრეთვე ნავთობის ფაქტორი, რადგანაც სამეფოს ტერიოტორიაზე იყო მსოფლიო სანავთობო მარაგის დაახლოებით 25 %. შეიქმნა სახელმწიფო სანავთობო კომპანია პეტრომინ , რაც გახდა საფუძველი ეროვნული გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის ნაწილობრივ მმართველი და ტექნიკური კადრების მომზადებისათვის. მარკო-ს მოქმედებების მიუხედავად, ქვეყანაში პრაქტიკულად არ იყო ეროვნული მრეწველობა, დაიწყო ათეულობით სამრეწველო საწარმოს მშენებლობა, მაგ., ჰიჯაზის მატერიალური კომბინატის. მიღებულ იქნა კანონი ეროვნული მრეწველობის დაცვის შესახებ და სხვა ღონისძიებები, რაღა დაჩქარებულიყო საუდის კაპიტალით თანამედროვე სამრეწველო დაწესებულებების შექმნა. მაგ., შეიქმნა 6 სასოფლო-სამეურნეო პროექტები: გაიყვანეს მაღალი კლასის საავტომობილო გზები, ხელახლა აშენდა საერტაშორისო აეროპორტების მსხვილ ქალაქებში, ჩატარდა საზღვაო პორტების

[15] Beling, Willard A. King Faisal and the Modernization of Saudi Arabia. Boulder , Colo.: Westview Press, 1980 გვ. 61

რეკონსტრუქცია. ჩამოყალიბდა მრეწველობის დარგი- ზღვის წყლის გამტკნარება- კომუნალური მეურნეობის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. საუდის არაბეთმა, ოპეკ-ის სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად, მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავლები ნავთობიდან. 1976 წელს ეროვნული შემოსავალი 1312 მლნ. დოლარიდან 1963 წ- 31, 725 მლნ დოლარამდე გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები გაზარდა 204 დოლარიდან 3538 დოლარამდე[16]

1.2 ისლამის როლი საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში

ისლამი ამჟამად თითქმის მთიანად დომინირებს ახლო აღმოსავლეთში. ისლამი ოფიციალურად ან ფაქტობრივად სახელმწიფო რელიგიაა ახლო აღმოსავლეთის 12 ქვეყანაში, გარდა კვიპროსის ისრაელის, ლიბანისა და თურქეთისა.

საუდის არაბეთსა და ომანს არა აქვთ დაწერილი კონსტიტუცია: ქუვეითის , ბაჰრეინის კატარისა და გას-ის კონსტიტუციებში არაფერია ნათქვამი რელიგიაზე, აქედან გამომდინარე ამ სახელმწიფოების ისლამური ხასიათი აშკარაა.

საუდის არაბეთში სასამართლო პრაქტიკა ეყრდნობა შარიათს-ისლამურ კანონსა და ქცევის წესებს. ეს ნიშნავს იმას, რომ შუა საუკუნეებში შექმნილი შარიათის წესების მიხედვით ქვებით უნდა ჩაიქოლოს მრუშობაში ბრალდებული ქალი, დამნაშავეს უნდა მოჰკვეთონ ხელი ქურდობისათვის, თავი უფრო სერიოზული დანაშაულისათვის, რომელთა შორისაა მკვლელობა, გაუპატიურება, მამათმავლობა, ნარკოტიკების გავრცელება, ალაჰის გმობა, ჯადოქრობა და სხვა.

ისლამი, ისევე როგორც ქრისტიანობა, დაშლილია მრავალ მიმართულებად, მათ შორის ძირითადია ორი - სუნიტობა და შიიტობა (რომლებიც, თავის მხრივ, მრავალ მიმდინარეობას აერთიანებს)

[16] Rasheed M. 2002 A History of Saudi Arabia გვ. 121-122

სუნიტები, რომლების მსოფლიოს ყველა მუსლიმების თითქმის 90 პროცენტს შეადგენენ, მუსლიმი მოსახლეობის უმრავლესობას ქმნიან ახლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საუდის არაბეთშიც.

თვითიდენტიფიკაციის პრობლემა ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილების მიხედვით თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.კონფესიური ფაქტორი სულ უფრო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე და ხშირ შემთხვევაში ის ხდება კონფლიქტის წყარო. როგორც წესი, კონფესიათა თანაბარი უფლებები ქვეყნის კონსტიტუციით არის განმტკიცებული.

არაბულ ქვეყნებს ახასიათებს ისტორიული, სოციალური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური განვითარების თავისებურებები. ყველა არაბულ ქვეყანაში ისლამი არის სახელმწიფო რელიგია. ისტორიულად და ტრადიციულად, რელიგიური ფაქტორი და მასზე აგებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოადგენდა მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავდა არაბული ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ისლამური პოლიტიკური კონცეფცია გამომდინარეობს იქიდან რომ მუსლიმური სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა ისლამური რწმენის შენარჩუნება და შარიათის დაცვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს რელიგიურ დოგმატიკას, პრაქტიკულ ნორმებს და ისლამურ ეთიკას.

საუდის არაბეთში ისლამი არ არის მხოლოდ სახელმწიფო რელიგია, არამედ სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო და საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის საფუძვლებს, სახელმწიფო მმართველობის სისტემას, ქვეშევრდომთა უფლებებსა და მოვალეობებს. სამოქალაქო და რელიგიური სტრუქტურები აქ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც განასხვავებს საუდის არაბეთს სპარსეთის ყურის სხვა მონარქებისაგან, სადაც სამოქალაქო ხელისუფლება განმსაზღვრელ როლს ასრულებს სახელმწიფო საქმეებში, ხოლო სახელმწიფო არეგულირებს ისლამური დაწესებულებების საქმიანობას, რათა არ გასცდნენ „დადგენილ საზღვრებს“.

1992 წლის საუდის არაბეთის კონსტიტუციით: „ საუდის არაბეთის სამეფო სუვერენული არაბული სახელმწიფოა. მისი რელიგია არის ისლამი, კონსტიტუცია-ყურანი და ალაჰის მოციქულის სუნა. ამ დოკუმენტში არის კატეგორიული მითითება ისლამის აღმსარებლობაზე და ფაქტობრივად არ დაიშვება სხვა რელიგიის გავრცელება. უფრო მეტიც, სახელმწიფომ უნდა დაიცვას ისლამი ყველა საშუალებით. მოსახლეობა იძულებულია შეასრულოს ისლამური, ფაქტობრივად ვაჰაბიტური პოსტულატები და ამას აკონტროლებს სპეციალური „

საზოგადოებრივი მორალის ლიგა“, რომელიც მოქმედებს სამეფოს ყველა დასახლებულ პუნქტში. საკონსტიტუციო ნორმების მიხედვით „ სახელმწიფო დგას ისლამური რწმენის სადარაჯოზე „ , ახორციელებს მის დადგენილებებს. საუდის სამეფოში რელიგიის თავისუფლება მკაცრად არის შეზღუდული. საუდის არაბეთი მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ მუსლიმი. იმ პირებს, რომლებიც არ არიან საუდის არაბეთის მოქალაქეები, აქვთ ქვეყანაში კანონიერად ყოფნის დამდასტურებელი პირადობის მოწმობა (იკამა) , სადაც არის აღნიშნული მათი რელიგიური კუთვნილება : „ მუსლიმი „ ან „არამუსლიმი“. ქვეყანაში არ არის სხვა რელიგიის საკულტო ნაგებობა. ისლამისგან განდომა , თუ განდგომილმა არ მოინანია , სიკვდილით ისჯება. საუდის არაბეთში არის რელიგიური პოლიცია (მუტავვა'ინ) , რომელსაც ჰყავს შეირაღებული და შეუიარაღებელი რაზმები და ისინი აკონტროლებენ ისლამური ნორმების დაცვას ქვეყანაში (დედაქალაქში და 13 პროვინციაში) პოლიციის სპეციალური ცენტრები (50-მდე) , რომლებიც ატარებენ გარკვეულ სამუშაოს, რათა უცხოელები მოექცნენ ისლამზე. თუმცა , ისლამზე ძალით მოქცევა იკრძალება.

შარიათის სასამართლოები მოქმედებს სპარსეთის ყურის ყველა მონარქიაში, მაგრამ ძირითადად კერძო და საოჯახო სამართლის სფეროში. შარიათის მოქმედება განსაკუთრებულია მხოლოდ საუდის არაბეთში და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. ირანის კონსტიტუციის თანახმად : „ ისლამური რესპუბლიკა-ეს არის მმართველობის სისტემა, რომელიც ეფუძნება ერთღმერთიანობის რწმენას, და რომ ღმერთისგან ზეგარდმოვლენილია შარიათის კანონები, და ადამიანი უნდა დაემორჩილოს მის ნებას (მუხლი 2)

არაბულ ქვეყნებში ისლამი არის აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის სისტემის საფუძველი. უპირველეს ყოვლისა , ეს ეხება პრეზიდენტის ინსტიტუტს. სახელმწიფოს მეთაურის პოსტის დასაკავებლად ძირითადი პირობა არის ისლამის აღმსარებლობა, ხოლო პრეზიდენტის თანამდებობაზე ოფიციალური ფიცის დადება ''ალაჰის სახელით''. შარიათის ეს მოთხოვნა განმტკიცებულია ყველა სახელმწიფოს კონსტიტუციაში (ლიბანის გარდა). მუსლიმური რწმენისადმი კუთვნილება სახელმწიფოს მეთაურისათვის აუცილებელია იმიტომ, რომ ის იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს ქვეყანაში. ამდენად ეს გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს ისლამის დოგმებს. მუსლიმი იურისტების აზრით, ამ მოთხოვნას ვერ შეასრულებს სხვა სარწმუნოების აღმსარებელი, რომელსაც შესაბამისი შნაგანი რწმენა არ გააჩნია. გამონაკლისს წარმოადგენს ლიბანის კონსტიტუცია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რამდენად პროპორციულად არიან წარმოდგენილი სხვადასხვა კონცეფციის ადამიანები სახელმწიფო

ხელისუფლების სხვდასხვა ორგანოში. საუდის არაბეთში მთელი ხელისუფლება ეკუთვნის მონარქს. ტაქტის მემკვიდრე ინიშნება მეფის სიცოცხლეში უმაღლესი რელიგიური ავტორიტეტის თანხმობით. საკონსულტაციო საბჭოში(შურა) , რომელსაც თავმჯდომარეობს პრეზიდენტი, არის 150 წევრი. ხოლო 1996 წელს ამ საბჭოში შეიყვანეს ერთი შიიტი , ხოლო 2001 წლის ზაფხულში -სამი, რამაც მუსლიმი რადიკალების პროტესტი გამოიწვია. ამჟამად საბჭოს შემადგენლობაში 5 შიიტია. შიიტებს არ შეუძლიათ აგრეთვე ეროვნული გვარდიის ელიტარულ ქვედანაყოფში და უშიშროების ორგანოებში სამსახური. საუდის არაბეთის 59 გუბერნატორიდან მხოლოდ სამია შიიტი.

საუდის არაბეთში იკრძალება არამუსლიმთა ყოველგვარი რელიგიური აქტივობა და არამუსლიმური სიმბოლოებისა და ლიტერატურის შეტანა ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს დაპატიმრებას, გაშოლტვას ან დეპორტაციას.

არაბულ მონარქიებში სახელმწიფო ცდილობს ისლამური მორალის, კულტურის და ეთიკის განმტკიცებას მოსახლეობის თვითშეგნებაში. ასეთი აუცილებლობა გათვალისწინებულია კონსტიტუციით.

საუდის არაბეთის კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად : „ საუდის არაბეთის საზოგადოების ძირითადი საფუძველი არის ოჯახი. მისი წევრები უნდა აღიზარდონ ისლამური რწმენის საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, უზენაესი ალაჰისა და მისი მოციქულებისადმი ერთგულებით და მორჩილებით. „ ეს მუხლი არის უალტერნატივო ნორმა, რომელიც ავალდებულებს ყველა ოჯახს თავისი ცხოვრება წარმართოს მხოლოდ ისლამური რწმენის საფუძველზე. ასეთივე იმპერატიულ ხასიათს ატარებს მე-13 მუხლი, რომელიც ეხება განათლების საკითხებს სამეფოში : „განათლების მიზანია აღზარდონ მომავალი თაობა ისლამური რწმენის პრინციპებით“ . მუსლიმური რელიგიური განათლება სავალდებულოა საუდის არაბეთის სახელმწიფო სკოლებში. კერძო სკოლებში არამუსლიმ მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ისლამის სწავლა. საუდის არაბეთის ალ-აჰსას უნივერსიტეტში რეგიონში , რომლის მოსახლეობის 50% შიიტია, პროფესორთა შორის -მხოლოდ 2% -ია შიიტი. ხოლო დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებს შორის მხოლოდ 1%. შიიტ მასწავლებლებს არ აქვთ უფლება ასწავლონ რელიგიის ისტორია სკოლებში, განსაკუთრებით სადაც შიიტები ცხოვრობენ, რათა უპირატესობა არ მიანიჭონ შიიზმს. სახელმწიფო ოფიციალურად არ ცნობს შიიტურ ჰავზათს (შიიტური სწავლების ცენტრებს) არ აძლევს მათ სერთიფიკატს.

რაც შეეხება რელიგიურ დღესასწაულებს, ყველა არაბულ ქვეყანაში აღინიშნება ორი დიდი ისლამური დღესასწაული- „იდ ალ -აჰდა“ (მსხვერპლშეწირვის დღესასწაული) და „იდ ალ ფიტრი“ ხსნილის დღესასწაული) საუდის არაბეთში „აშურა“ (შიიტთა მე-3 იმამის- ჰუსაინის გლოვის ათდღიური) დაშვებულია მხოლოდ შიიტების დასახლებულ რეგიონში-კატიფში. და პოლიცია აკონტროლებს .

ცალკე საკითხია არამუსლიმური ტაძრების რეგისტრაცია. ძირითად იმ რელიგიურ თემებს, რომლებიც არ იხსენიება ყურანში (ბაჰაიზმი, ბუდიზმის, ინდუიზმის, სიკჰთა რელიგიის და სხვ, მიმდევრებს) არ შეუძლიათ რელიგიური ღვთისმსახურების შენობის აგება. საუდის არაბეთის რელიგიური ავტორიტეტები აცხადებენ: „ სამეფოში არ შენდება არამუსლიმური საკულტო ტაძრები, რადგანაც ეს იგივე იქნებოდა , რომ მეჩეთი აშენდეს ვატიკანში“.

პოლიტიკის სფეროში მეფე -რეფორმატორმა არაფერი განახორციელა პროგრამაში აღთქმულიდან. კონსტიტუციას არ თვლიდა საჭიროდ, როცა ხალხს აქვს ყურანი; პარლამენტს ის უწოდებდა „ ყავარჯენს სუსტი მმართველობისათვის“ . ამის გარდა გაძლიერდა ხელისუფლების აბსოლუტური ხასიათი, მეფე იღებდა ყველა საკითხზე დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას. შესაძლებელია ეს გამოწვეული იყო არა მხოლოდ ფაისალის მტკიცე ხასიათით, არამედ ქვეყნის ობიექტური პირობებით, იმ გარდამავალ პერიოდში ქვეყანას სჭირდებოდა ძლიერი ხელისუფლება.

1969 წელს მეფის ინიციატივით შეიქმნა ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია. ფაისალი გახდა „ისლამური პოლიტიკის სიმბოლო“ არა მარტო არაბულ სამყაროში , არამედ აზიისა და აფრიკის მუსლიმებს შორის. საუდის არაბეთმა დაიწყო საზღვარგარეთ მუსლიმური განათლების, რელიგიური ცენტრებისა და მეჩეთების დახმარება. 1974 წელს ფაისალმა გადასცა მუსლიმური სოლიდარობის ფონდს 10, 2 მლნ დოლარი[17]. თვითონ სამეფოში გრძელდებოდა ახალი მეჩეთების მშენებლობა და არსებულის, მათ შორის მექისა და მედინის დიდი მეჩეთების , რეკონსტრუქცია. რელიგიური დისციპლინები დიდი მოცულობით იყო ყველა სასწავლო დაწესებულების პროგრამაში. სკოლის მოსწავლეებისათვის ეწყობოდა ეროვნული კონკურსები ყურანის ზეპირად ცოდნაზე.

საუდის მოდერნიზაციას შეხვდა წინააღმდეგობები: ოპოზიცია კიცხავდა ფაისალის რეფორმებს და ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას. ქვეყანაში გააქტიურდა მემარცხენე ოპოზიციური მოძრაობა, ხოლო 1969 წელს გაანადგურეს

[17] Sindi, A. King Faisal and Pan-Islamism. In Beling W. (ed) , King Faisal and the Modernization of Saudi Arabia, London: Croom Helm , 1980 გვ. 195-196

იატაკქვეშა ორგანიზაცია არმიაში , რომელიც ამზადებდა აჯანყებას. ფანატიკურად გამოწყობილი ახალგაზრდების ჯგუფი ისლამური ოპოზიციიდან, რომელთა სათავეშიც იდგა მეფის ძმიშვილი , შეეცადა დაენგრია არ-რიადში სატელევიზიო სადგური, მაგრამ დაშალა პოლიციამ. ფაისალის ძმიშვილი მოკლული იქნა. თუმცა უკმაყოფილების ტალღა თანდათან დაცხრა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაისალმა გარკვეულწილად განსაზღვრა საუდის სამეფოში ახალი, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოებრივი წყობის ძირითადი მახასიათებლები: 1. სახელმფწიფოს გადამწყვეტი როლი ცხოვრების ყველა სფეროში; 2. ხელისუფლებისა და საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება ტრადიციებისადმი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით(რწმენა, ისტორია, ენა, მორალის ისლამური ნორმები, კულტურა და სამოსიც კი); 3. საუდის მოდერნიზაციის მესამე მახასიათებელი გახდა საზოგადოებაში ძველი და ახალი საწყისების მეტნაკლებად წარმატებული სინთეზი.

მეფე-რეფორმატორი ფაისალი მოკლეს 1975 წელს. ის შეცვალა მეფე ხალიდმა (1913-1982), რომელმაც გააგრძელა მოდერნიზაციის კურსი, ხოლო 1982 წელს ხელისუფლების სათავეში მოსულმა ფაჰდმა (1982-2005) ხელი შეუწყო მის დასრულებას სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში და განახორციელა ზოგიერთი რეფორმა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს პოლიტიკა გააგრძელა აბდულაჰ ბინ აბდულ აზიზმა (2005-დღემდე)

ვაჰაბიზმი [18][ალ- ვაჰაბიઃა] -რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა სუნიტურ ისრაელში, რომელიც წარმოიქმნა არაბეთის ნახევარკუნძულზე XVIII ს. შა ხანებში, ჰანბალიტთა მაზჰაბიდან, მუჰამად ბ. აბდ ალ-ვაჰაბის (1703/4-1787) მოძვრების საფუძველზე. ეს მოძღვრება მოითხოვდა მუჰამადის დროინდელ ადრეულ ისლამისკენ დაბრუნებას, ერთღმერთიანობს პრინციპების დაცვას, უარის ტქმას სიახლეებზე (ბიდ'ა), წმინდანებისა და წმინდა ადგილების თაყვანისცემაზე, გმობდა ფუფუნებას, მომხვეჭელობას და დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა საღვთო ომს-ჯიჰადს, როგორც მრავალღმერთიან, ისე იმ მუსლიმებთან , რომლებიც განუდგნენ ადრეული ისლამის პრინციპებს. ვაჰაბიზმის იდეოლოგიას მხარი დაუჭირა და დროშად აიტაცა საუდის საგვარეულომ (ალ სა'უდ) რომელიც იბრძოდა არაბეთის გასაერთიანებლად. XIX ს-ში ვაჰაბიზმმა მტკიცე პოზიციები მოიპოვა არაბეთის ნახევარკუნძულის დიდ ნაწილში. შემდეგ გავრცელდა ინდოეთში ინდონეზიაში, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკაში , ამჟამად ვაჰაბიზმი საუდის არაბეთის ოფიციალური იდეოლოგიის საფუძველია.

[18] ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი თბილისი 1999 გვ.60

90-იანი წლების დასაწყისიდან, მუსლიმურ ქვეყნებში არსებული სხვადასხვა კერძო ფონდების დაფინანსებითა და მეცადინეობით ვაჰაბიზმი ვრცელდება პოსტ-საბჭოთა სივრცეში, უპირველესად კავკასიისა და ცენტრალური აზიის მუსლიმებით დასახლებულ რეგიონებში. ხშირია დაპირისპირება ადგილობრივი ადათ-ჩვეულებებით გაჯერებული ისლამის აღმსარებელთა და „ უნივერსალური ერთიანი“ ისლამის მქადაგებელ ვაჰაბიტებს შორის. ზოგჯერ ვაჰაბიტებად სხვადასხვა ექსტრემისტული და ტერორისტული დაჯგუფებების წევრებს.

1.3 .საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის პროდასავლური ვექტორი (ურთიერთობა ევროპასა და აშშ-სთან)

1933 წლის 7 ნოემბერს შეერთებულმა შტატებმა და საუდის არაბმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საკონსულო და დიპლომატიური მისიების გახსნის შესახებ. შეერთებული შტატები და საუდის არაბეთში 1940 წელს სრული დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა. ამერიკული საელჩო დიდი ხნის განმავლობაში იყო Jeddah- ში და მხოლოდ 1984 წელს გადავიდა რიადში. უკვე 1943 წელს გაფორმდა ორმხრივი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც აშშ-მ 7 წლის განმავლობაში 5176000 უნცია ფედერალური ვერცხლი 7 წლის განმავლობაში გადასცა საუდის არაბეთს , რაც ომის დასრულებიდან 5 წლის შემდეგ დაუბრუნა აშშ-ს.

როგორც უმრავლესობა, ასევე არაბული ქვეყნები ინგლისის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა , დამოუკიდებელი საუდის არაბეთი ცივი ომის დასაწყისში აშშ-ის მნიშვნელოვანი მოკავშირე გახდა. 1946 წელს საჰარის ტერიტორიაზე დასრულდა ამერიკული სამხედრო საჰაერო ბაზების Dhahran- ის მშენებლობა, რომლის იჯარის ხელშეკრულება 5 წლის განმავლობაში დაიდო, რის შემდეგაც ბაზა გადაეცა საუდის მთავრობას სამთო მრეწველობის, სატრანსპორტო და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის . 1952-1954 წლებში საუდის არაბეთმა აშშ-სგან 5 მილიონ დოლარი მიიღო დახმარების სახით . თუმცა მეფეს ამ დახმარებისა სანაცვლოდ დათმობებზე წასვლა მოუწია.დაეშვა აშშ-ის ფინანსური მისია ქვეყანაში და შეექმნა საუდის არაბეთის სავალუტო სააგენტო

(ცენტრალური ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს მსგავსი), რომელსაც უხელმძღვანელებდა ამერიკელი Дж. Блауэрз..

არაბულ და ისლამური სამყაროში საუდის არაბეთის უნიკალური როლი მის მსოფლიოში ყველაზე დიდი ნავთობის მარაგების მფლობელობასა და სტრატეგიულ პოზიციაში მდგომარეობს -რაც ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. ორივე ქვეყანას აქვს საერთო ინტერესები და ისინი მჭიდროდ ითანამშრომლებენ რეგიონალური უსაფრთხოების, ნავთობის ექსპორტისა და იმპორტის, მდგრადი ეკონომიკური განვითარების და ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესების საკითხებზე. საუდის არაბეთი არის აშშ-ს ძლიერი პარტნიორი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე სამხედრო, დიპლომატიური და ფინანსური სფეროში საუდის ხელისუფლება მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-ს სამართალდამცავ ორგანოებთან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებში.

2013 წელს, აშშ-საუდის არაბეთის ურთიერთობების გაციება დაიწყო აშშ-სა და ირანს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების გამო, რომელიც სპარსეთის ყურეში სამეფოს მთავარი მეტოქე იყო. აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდეგ და მისი საუდის არაბეთში სტუმრობის შემდეგ, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კვლავ გაუმჯობესდა. ამჟამად, საუდის არაბეთი შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირეა.

ამერიკის შეერთებული შტატები ,საუდის არაბეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და ამ ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული საექსპორტო ბაზარი ახლო აღმოსავლეთშია. ორივე ქვეყანამ ხელი მოაწერა თანამშრომლობის საინვესტიციო ხელშეკრულებას. ნავთობის სანდო წყაროების მუდმივი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით საუდის არაბეთიდან, აუცილებელია ამერიკის შეერთებული შტატების კეთილდღეობაზე, ასევე ევროპასა და იაპონიაში. საუდის არაბეთი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ნავთობის ერთ-ერთი წამყვანი წყაროა, რომელიც აშშ-ს ბაზარზე დღეში მილიონ ბარელზე მეტია. საუდის არაბეთი ასევე აშშ-ის მსხვილი კრედიტორია. მხოლოდ 2016 წლის მარტის მდგომარეობით საუდის არაბეთში აშშ-ს მთავრობის დავალიანება შეადგენდა 116.8 მილიარდ დოლარს

ამერიკული მძიმე კრეისერი „ ქუინზი „ (USS Quincy) ისტორიაში შევიდა : მისი სახელი Quincy House , ჰქვია ამერიკის საელჩოს შენობას საუდის არაბეთის დედაქალაქ არ- რიადში.

1945 წლის 14 თებერვალს, როდესაც მეორე მსოფლიო ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული , სუეცის არხის შუაში მდებარე „დიდ მწარე ტბაში

„გაჩერებულ კრეისერ „ ქუინზის“ გემბანზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ამერიკის პრეზიდენტი -ეს იკო ფრანკლინ დელანო რუზველტი და საუდის არაბეთის მეფე - ეს იყო სამეფოს დამაარსებელი აბდულაზიზ იბნ-საუდი. ამ კრეისერზე შედგა საიდუმლო გარიგება (რომელიც ახლა აღარაა საიდუმლო !), რომლითაც ნავთობის სტაბილური მიწოდების სანაცვლოდ დემოკრატიის უმთავრესმა ბასტიონმა უსაფრთხოების გარანტია მისცა შუა საუკუნეების დესპოტიზმში ჩარჩენილ სამეფოს, სადაც 1962 წლამდე ოფიციალურად დაშვებული იყო მონობა, რომლის გაუქმებას პრეზიდენტ ჯონ კენედის ზეწოლას უკავშირებენ.ადამიანის უფლებების ზოგიერთი დამცველი ამაში „ ეშმაკისეულ გარიგებას „ ხედავს.

აშშ-სა და საუდის არაბეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობაა, რომელიც 1933 წელს დაიწყო, სწორედ ამ წელს დამკვიდრდა დიპლომატიური ურთიერთობები. მიუხედავად ამ ორი ქვეყანას შორის არსებული განსხვავებებისა, რომელიც ეხება ისლამურ აბსოლიტურ მონარქიასა და სეკულარიზმს, მაინც ორივე ქვეყანა მოკავშირეა. ყოფილ პრეზიდენტებს, ჯორჯს ბუშსა და ბარაკ ობამას საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის უფროსთან, საკმაოდ ახლო და ამასთანავე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ.

აშშ-სა და საუდის არაბეთის ალიანსი შექმნილია დეკადების საიდუმლო კოოპერაციებითა და ბიზნესის მჭიდრო კავშირით, რომელშიც დომინანტია აშშ. ურთიერთობები მაინც გრძელდება სხვადასხვა გამოწვევების მიუხედავად, როგორიცაა 1973 წლის ნავთობის ემბარგო და 9/11 ტრაგედია, რომელშიც მონაწილეობდნენ საუდის არაბეთის მოქალაქეები.

ამერიკის ადმინისტრაცია მიიჩნევს , რომ საუდის არაბეთი რეგიონში კრიტიკულად სტრატეგიული პარტნიორია.

ურთიერთობები ამ ორ ქვეყანას შორის განსაკუთრებით გაიზარდა და ''დათბა'' დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს მუჰამედ ბინ სალმანთან, რომელიც არჩეული იქნა 2017 წელს.

ამერიკის „ სანავთობო „ ინტერესები“ რეგიონში ახლა შედარებით მეორე პლანზეა გადასული, ამერიკული კომპანიები 1930 -იანი წლებიდან ძალიან დიდ როლს თამაშობდნენ ნავთობის მოპოვებაში ახლო აღმოსავლეთში და უზარმაზარ მოგებასაც ნახულობდნენ. მაგრამ ამ კომპანიების წილი ნავთობწარმოებელ ქვეყანაში თანდათან შემცირდა: საბადოები ნაციონალიზებულია, გამოჩდნენ სხვა ქვეყნების დიდი კომპანიებიც, თანაც, ამერიკას სულ უფრო ნაკლებად ესაჭიროება არაბული ნავთობი.

ამერიკის ინტერესებშია, რომ ნავთობი მხოლოდ აშშ დოლარებში იყიდებოდეს.

ნავთობის მსოფლიო ფასი 1860-იანი წლებიდან დღემდე მხოლოდ 1შშ დოლარებში განისაზღვრება. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რაოდენ გაუფასურდება ამერიკული დოლარი , რომელიც ახლა ტრილიონობითაა დაგროვილი სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში და ტრიალებს ამერიკის ფარგლებს გარეთ, თუკი ნავთობი სხვა ვალუტაზეც გაიყიდება.

XXI საუკუნის დამდეგს ერთიანი ევროპული ვალუტის, ევროს გამოჩენამ ერთხანს მცირე პანიკა წარმოქმნა: ხომ არ ჩაანაცვლებდა „ პეტროდოლარებს „ „პეტროევროები“ თუმცა ჯერჯერობით ეს გამოირცხულია.

საუდის არაბეთი და მასთან ერთად ყველა დანარჩენი ნავთობმომპოვებელი არაბული ქვეყანა მტკიცედ იცავს „ერთგულებას აშშ დოლარისადმი“ ანუ ნავთობს და გაზს მხოლოდ ამერიკულ ვალუტაში ჰყიდის.

საუდის არაბეთის აბსოლიტური მონარქია, სადაც ვაჰაბიტური ისლამი სახელმწიფო რელიგიაა და შარიათის მკაცრ ნორმებს იცავენ, სავსებით აკმაყოფილებს ვაშინგტონს. რამდენადაც ეს სამეფო არის მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მთავარი მიმწოდებელი და ძირითადად მასზეა დამოკიდებული მსოფლიო ფასების განსაზღვრა ამ ნედლეულზე. ამავე დროს, აშშ მიიჩნევს საუდის არაბეთს საპირწონედ ირანისათვის.

ერთიანი არაბული ლობი ვაშინგტონში არ არსებობს: ასეთ ჰიპოთეტურ ერთიან ლობის არაბული ქვეყნების მკვეთრად განსხვავებული და ხანდახან დაპირისპირებული ინტერესები უნდა დაეცვა. ყველა არაბულ ქვეყანას საკუთარი ლობისტები ჰყავს. მათგან ყველაზე გავლენიანია საუდის არაბეთის ლობი.

იქნებ ამ ლობისტების დამსახურებაა , რომ ურთიერთობა ამ ქვეყანასა და ამერიკას შორის, თუნცად ერთგვარად გაციებული, არაბულ დიპლომატიურ დონეზე იქნა შენარჩუნებული. მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკისა და ვაშინგტონზე ტერორისტული თავდასხმის ჩამდენთა უმრავლესობა საუდის არაბეთის მოქალაქე იყო?

ახლო აღმოსავლეთში „სანავთობო გზით „ თავის დამკვიდრებას ასევე ცდილობს რუსეთი. 2007 წლის ოქტომბერში საუდის არაბეთის მეფე პირველად ეწვია მოსკოვს, მეფე სალმან ბინ აბდულაზიზმა, როგორც ჩანს მოილაპარაკა პრეზიდენტ პუტინთან ნავთობის ფასებზე და ამ საკითხში ამერიკის დაბლოკვაზე. ამერიკა მსოფლიოს უდიდესი ნავთობმწარმოებელი გახდა, მაგრამ ნავთობის

მსოფლიო ფასს განსაზღვრავს OPEC-ის (სადაც საუდის არაბეთი დომინირებს) და რუსეთის შეთანხმებული პოლიტიკა.

ჩინეთ-ირანის თანამშრომლობა გარკვეულ წილად აშფოთებს ყურის არაბულ ქვეყნებს, მაგრამ ისინიც ვერ უძლებენ ცდუნებას ისარგებლონ პეკინის შეღავათიანი შეთავაზებით. 2017 წელს საუდის არაბეთისათვის პირველი სავაჭრო პარტნიორი გახდა ჩინეთი. იმ წელს მეფე სალმან ბინ აბდულაზიზმა პეკინში ხელი მოაწერა 60 მილიარდზე მეტი აშშ დოლარის სავაჭრო გარიგებათა ურთიერთგაგების მემორანდუმებს, რომლებიც ეხება სამეფოში ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარებას, სამხედრო დრონების ქარხნის მშენებლობას, ჩინეთში სხვადასხვა ტექნოლოგიებისა და შეიარაღების შეძენას.

საუდის არაბეთის მმართველი უფლისწულისათვის წამგებიანი აღმოჩნდა 2018 წლის ოქტომბერში „ ჯამალ ხაშოგის“ ინციდენტი, როდესაც სტამბოლში საუდის არაბეთის საკონსულოს შენობაში არ-რიადიდან საგანგებოდ მივლინებული ჯალათების ჯგუფმა მოკლა იქ დაბარებული საუდელი ჟურნალისტი, რომელიც ბედავდა დინასტიისა და პირადად უფლისწულის კრიტიკას. ხაშოგის დანაწევრებული სხეული გააქრეს. ამ ფაქტმს საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა, რადგან ჯამალ ხაშოგის ამერიკაში ბინადრობის უფლება ჰქონდა და თავის ბოლო ბლოგს ის აქვეყნებდა გავლენიანი ამერიკულ გაზეთ Washington Post-ში.

თითქმის სამი კვირის განმავლობაში არ-რიადი ცრუობდა, თითქოს მკვლელობა არ მომხდარა და ხაშოგი საკონსულოდან გავიდა. ბოლოს კი საერთაშორისო ზეწოლის შედეგად (ძალიან აქტიურობდა თურქეთის პრეზიდენტი) საუდის არაბეთის მთავრობა იძულებული გახდა , ეღიარებინა ჟურნალისტის „წინასწარგანზრახული მკვლელობა“ და გამოაცხადა, რომ გაასამართლებს დამნაშავე პირის უშუალო მკვლელებს. სასამართლო, როგორც მოსალოდნელი იყო, დახურულია: დაპატიმრებულთა გვარებიც კი არ გამოქვეყნებულა!

„ხაშოგის ინციდენტის გამო, ბრიტანეთმა და საგრანგეთმა აღშფოთება გამოთქვეს, გერმანიამ საუდის არაბეთს გაუუქმა ზოგიერთი სამხედრო კონტრაქტი. თურქეთის პრეზიდენტმა მოითხოვა მკვლელობაში ეჭვმიტანილების თურქეთში გასამართლება.

აშშ-ის ადმინისტრაციას არ მიუღია დანაშაულის ადეკვატური დიპლომატიური ზომები საუდის არაბეთის მიმართ, პრეზიდენტმა ტრამპმა მომხდარი მკაცრად დაგმო, თუმცა არ დაეთანხმა აშშ-ის ცენტრალური

სადაზვერვო სააგენტოს დასხვნას („საფუძვლიან ეჭვს“) , რომ მკვლელობის ბრძანება მსოფლიოს უმაღლეს დონეზე უფლისწულის მიერ გაიცა.

„ხაშოგის ინციდენტი“ ვერ გამოიწვევს სრულფასოვან ეკონომიკურ სანქციებს ვაშინგტონთან , რადგან:

ამერიკის სამხედრო მრეწველობაში დასაქმებული ათობით ათასი მუშა-მოსამსახურე დაკარგავს სამუშაოს, თუკი ვაშინგტონი უარს იტყვის არ-რიადისათვის სამხედრო საჭურველისა და ტექნიკის რამდენიმე ათეულ მილიარდ დოლარად მიყიდვაზე. ჩინეთი და რუსეთი კი დაუყონებლივ შეავსებენ ამერიკის გამოთავისუფლებულ სარფიან ნიშას.

- ამერიკის ჰიპოთეტური სანქციები გამოიწვევს არ-რიადის უკურეაქციას, მაგალითად. მის მიერ ნავთობის მოპოვების შემცირებას, რაც სწრაფად გაზრდის მსოფლიოს ფასს, მით უმეტეს , რომ ამერიკამ განუახლა სანქციები ირანს და შეზღუდა ნავთობის გატანა , ნავთობის ფასის ზრდა გამოადგება ამ ნედლეულის ექსპორტიორ რუსეთს , ნავთობის ომპორტიორ დასავლეთ ევროპაში კი ეკონომიკური ვითარება გართულდება;
- ამერიკის მიერ ირანის წინააღმდეგ განახლებული სანქციების გატარებისას საუდის ატებეთი არის აშშ-ის მოკავშირე.

თავი II

საუდის არაბეთი როგორც ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი აქტორი

2.1 ნავთობის ფაქტორი საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში

XX ს-ის 50 - იანი წლებიდან საუდის საზოგადოებაში, რომელიც იყო ახლო აღმოსავლეთის ყველაზე ღარიბი ქვეყნების რიგში, იზრდებოდა ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება და ძლიერდებოდა სერიოზული გარდაქმნების სურვილი. ქვეყანაში რევოლუციურ ავანგარდად იქცნენ აღმოსავლეთ პროვინციების მუშა-მენავთობეები. 1953 წელს მოხდა ნავთობკომპანია საუდი არამკო-ს პერსონალის (მუშები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები)საყოელთაო გაფიცვა ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნებით: ხელფასების მომატება (უცხოელებთან გათანაბრებული), სამუშაო ადგილებზე ავტობუსებით მიყვანა, რელიგიური დღესასწაულების გამცხადება არასამუშაო დღეებად და სსვა. თავდაპირველად, ხელისუფლება, გადაწყვიტა ძლით ჩაეხშო ეს გამოსვლა და ნავთობსარეწებზე გააგზავნა არმია მაგრამ რამდენიმე ათეული მუშის სიკვდილმა ვერ შეაჩერა უკმაყოფილოთა ტალღა. ქვეყანაში დაარსდა პირველი პოლიტიკური გაერთიანება- ეროვნული რეფორმების ფრონტი. უკვე მისი სახელწოდება მეტყველებდა ორგანიზაციის მიზნებზე, ხოლო მის საპროგრამო დებულებებში იყო არა მხოლოდ , სოციალ-ეკონომიკური(ერკოვნული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, ბრძოლა წერა - კითხვის უცოდინრობასთან და სხვა.) არამედ პოლიტიკურიც (დასავლეთთან ურთიერთობის ხასიათის შეცვლა; კონსტიტუციის შემორება , სიტყვის თავისუფლება; პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების საქმიანობის ნებართვა, მონობის გაუქმება). ხელისუფლებამ მოახდინა ზეწოლა ამარკო-ს ხემძღვანელებზე, რომლებიც წავიდნენ დათმობაზე და კონფლიქტი

ნავთობსარეწებზე მოიხსნა. თუმცა გაფიცვები და დემონსტრაციები აღმოსავლეთ პროვინციებში გაგრძელდა 1956 წლამდე .[19]

ქვეყნის მომავლისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა არამკო-სთან სახელმწიფოს უფრო თანასწორუფლებიანი ურთიერთობებისათვის ბრძოლას, რომლის ინიციატორი გახდა სანავთობო რესურსების მინისტრი- აბდულაჰ რატიკი. 1950-იანი წლების შუა ხანებში, ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების შემდეგ, ამერიკული კომპანიები დათმობაზე წავიდნენ ზოგიერთ საკიტხთან მიმართებაში: ნედლი ნავთობის მოპოვებიდან მიღებული მოგების განაწილებისას გაიზარდა საუდელთა წილი 50%-მდე , კომპანიამ დააბრუნა ვალი და კონცესიის გამოუყენებელი ნაკვეთები , კომპანიის შტაბ-ბინა გადატანილ იქნა აშშ-დან სამეფოში, კომპანიის მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს 2 საუდელი.

თუმცა საუდი ვერ აანალიზებდა, რომ ეროვნული რეფორმების ფრონტის მოთხოვნები იყო არაბული საზოგადოების სისტემური კრიზისის შედეგი. სამეფო ოჯახში საუდი იყო კონსერვატორთა ჯგუფის ლიდერი. მის ძმების თაოსნობით კი ჩამოყალიბდა რეფორმატორების(სათავეში ამირა ფაისალი) და ლიბერალების (სათავეში - ამირა ტალილი) ჯგუფები. საუდიანთა მმართველ წრეებს შორის დაიწყო განხეთქილება ქვეყნის მომავალი განვითარების გზასთან მიმართებაში .[20]

1958 წლის მარტში საუდმა , რომელმაც ქვეყანა მიიყვანა ფინანსური კრახის ზღვარზე, ძმების ზეწოლით, პრემიერ - მინისტრად დანიშნა ამირა ფაისალი. ამერიკელი მკვლევარი პ. მენსფელდი წერს „ საუდის არაბეთში ერთადერთი ჯგუდი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ აზრს- სამეფო ოჯახის პრინციპები, შეიხები და ულემები - გაერთიანდნენ, რაღა ეხსნათ საუდის მონარქია და სამეფოს ერთობა და აიძულეს საუდი გადაეცა აღმასრულებელი ხელისუფლება უმცროსი ძმისათვის- ტახტის მემკვიდრე ფაისალისათვის. [21]

რეგიონში მრავლადაა სასარგებლო წიაღისეულის გამოსავლები. თუმცა უმეტესად ისინი წარმოდგენილია არცთუ დიდი საბადოების სახით (ენერგორესურსების გარდა) და თანამედროვე პირობებში მათი ექსპლუატაცია ყოველთვის ეკონომიკურად გამართლებული არცაა.

---

[19] Rasheed M. 2002 A History of Saudi Arabia გვ. 112-113

[20] Abir, M., 1988. გვ. 92

[21]Mansfield, P 1976. გვ. 401

რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო მეტია ალბათობა , რომ იქ სასარგებლო წიაღისეულიც აღმოაჩნდეს.

თუ არ ჩავთვლით ნავთობსა და ბუნებრივ გაზს, საექსპორტოდ გამოსადეგი მინერალური სიმდიდრე ჯერ-ჯერობით მხოლოდ თურქეთსა და ირანშია აღმოჩენილი. რეგიონი მსოფლიოში გამოირჩევა მხოლოდ ქრომის ექსპორტით.

საუდის არაბეთში არის ნავთობის მსოფლიოში უდიდესი მარაგი, ბევრია ბუნებრივი გაზი. მას აქვს ბოქსიტები, რკინის მადანი, ოქრო, ვერცხლი, თუთია, ფოსფატები. მისი დიდი ტერიტორიის წიაღი კიდევ ბევრ აღმოჩენას ჰპირდება გეოლოგებს.

მსოფლიო ეკონომიკისა და ამდენად პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი XX საუკუნის დასაწყისიდანვე გახდა ახლო აღმოსავლეთის ნავთობი. 2016 წელს ანგარიშობდნენ , რომ ამ რეგიონში თავმოყრილი იყო ნავთობის დადგენილი მსოფლიო მარაგის 48 პროცენტი და ბუნებრივი გაზის დადგენილი მსოფლიო მარაგის 44 პროცენტში (გაზში იგულისხმება კონვენციური- დამოუკიდებელი ბუდობების სახით არსებული, ან ნავთობის თანმხლები აირი) ეს რესურსები აქ ათობით, ზოგან ასზე მეტი წლის განმავლობაში არ ამოიწურება. თანაც, ახალი ბუდობების აღმოჩენა აქ იშვიათობა აქ იშვიათობა არაა.

ნავთობისა და გაზის მარაგი ძირითადად თავმოყრილია მსოფლიოში უდიდესი - სპარსეთის ყურის ნავთობმომცემ პროვინციაში- ყურის ორივე ნაპირზე და მის ფსკერქვეშ-კონტინენტურ შელფზე.

ნავთობის უდიდესი მარაგი აქვთ საუდის არაბეთს, ირანს, ერაყს, ქუვეითს გას-ს. მოცულობით ნაკლები მაგრამ საექსპორტოდ მაინც საკმარისი ნავთობი აქვთ

ახლო აღმოსავლეთის წილი ნავთობის მსოფლიო მარაგში ბოლო წლებში ერთგვარად შემცირდა (2001 წელს 64 პროცენტი იყო , 2016 წელს 48%0 რადგან ბოლო ათწლეულებში აღმოჩნდა ახალი რესურსები ვენესუელაში (იქ მსოფლიო მარაგის 15 % ვარაუდობენ) ანგოლაში, ყაზახეტში, კანადაში და სხვ. მაგრამ ახლო აღმოსავლეთი დღემდე ფლობს ნავთობის მსოფლიო მარაგის ნახევარს, თანაც მისი ნავთობი ხარისხით უკეთესია, ვიდრე მაგალითად ვენესუელის ან ყაზახეთისა. მოპოვებაც ახლო აღმოსავლეთში უფრო იაფი ჯდება.

ახლო აღოსავლეთს გააჩნია უპირატესობა მსოფლიოს სხვა ნავთობმომპოვებენ რეგიონებთან შედარებით:

ძირითადი ნავთობმომცემი ფენები ძალიან დიდია და არც ისე გრმად განლაგებულია მიწის ზედაპირიდან;

- ბევრ საბადოში ნავთობი იმყოფება დიდი წნების ქვშ, ამოღებული ნავთობის ადგილს დაუყონებლივ იკავებს თანმხლები გაზი, რაც აადვილებს ნავთობის მოპოვებას;
- ჭაბურღილის გაყვანის შემდეგ ზოგგან საჭირო არაა სატუმბი მოწყობილობა- ნავთობი შადრევანად ამოდის და საკნარისია მილსადენების სისტემასთან მიდის მიერთება (თუმცა მერე წნევა ეცემა და ტუმბო მაინც საჭირო ხდება)
- ზოგან, განსაკუთრებით სამხრეთ ირანში , სადაც ნავთობსარეწები უფრო მაღლა მდებარეობს ვიდრე ნავთბგადამამუშავებელი ქარხნები და ნავთობჩამომსხმელი ნავსადგურები, ნედლი ნავთობი , ნაწილობრივ მაინც, თვითდინებით მიედინება;
- მოპოვება ხშირად ხდება დაუსახლებელ ადგილას, უდაბნოში.
- მილსადენის მშენებლობა არ მოითხოვს სასოფლო- სამეურნეო სავარგულების ანგა განაშენიანებული ადგილების გადაკვეთას;
- რეგიონი საკმაოდ ახლოსაა მსხილ მომხმარებლებთან- შორეულ აღმოსავლეთთან, სამხრეთ აზიასა და დასავლეთ ევროპასთან;
- მნიშვნელობა ენიჭება იაფ მუშახელს- აზიის ქვეყნებიდან მოსული მუშენი იქ ნაკლებ ხელფასს ღებულობენ, ვიდრე მენავთობეები აშშ-სა ან დასავლეთ ევროპაში.

რეგიონის ნავთობმომცემი რაიონები არაჩვეულებრივად დიდია და მოპოვების ზონაში ცოტაა ფუჭად გაყვანილი ჭაბურღილები. მაგალითად, საუდის არაბეთში 1848 წელს აღმოჩენილი გაუარის ნავთობის ბუდობი (Ghawar oilfield) ადრე ხუდ დამოუკიდებელ ბუდობად ითვლებოდა. მოგვიანებით კი გამოირკვა, რომ ეს არის 200- კილომეტრიანი უწყვეტი ნავთობმომცემი ზოლი , სადაც 170 მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგი დააადგინეს (100 მილიარდი უკვე ამოღებულია)

საუდის არაბეთში კიდევ ათი ბუდობია, თითოეულში 7-30 მილიარდი ბარელი ნავთობით. რეგიონში მდებარეობს 24 სუპერგიგანტური საბადო თითოეულში 5 და მეტი მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგით.

ყველა ამ ფაქტორმა განაპირობა სარსეთის ყურის დასავლეთ ნაპირზე ნავთობის დაბალი თვითღირებულება . XX საუკუნის ბოლოს თითო ბარელის მოპოვება აქ საშუალოდ 1-3 დოლარი ჯდებოდა, მაშინ როცა ნავთობის ყველაზე იადად მოპოვება მაგალითად აზერბაიჯანში 6-7 დოლარი ხოლო ჩრდილოეთ ზღვაში-15 დოლარზე მეტი.

საუდის არაბეთის წლიური ნეტო შემოსავალი ნავთობის იმპორტისგან 2011-2014 წლებშ 300-350 მილიარდ დოლარს შეადგენდა, მაგრამ 2016 წელს ის 133 მილიარდამდე შემცირდა. ასევე შემცირდა ოპეკ-ის სხვა წევრების შემოსავალი.

თანამედროვე არაბული ქვეყნები მნიშვნელოვან კონკურენციას უწევენ მსოფლიო ბაზარზე ისეთ სახელმწიფოებს როგორებიც არიან ამერიკა, რუსეთი, ევროკავშირის ქვეყნები. რაც განპირობებულია განვითარებული ეკონომიკური სისტემით და მეტწილად ნავთობის მოპოვებით. სპარსეთის ყურის ექვსი არაბული ქვეყანა - ბაჰრაინი, კატარი, ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ომანი და საუდის არაბეთი ფლობენ ნავთობის მსოფლიო მარაგის ნახევარს. ამ რეგიონში ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებული დანაკარგები ყველაზე მცირეა. ნავთობის მოპოვების ღირებულება მერყეობს მაგ. საუდის არაბეთში 1-1.5 დოლარამდე ბარელზე, ხოლო ომანში 4 დოლარამდე, რაც ჩრდილოეთ ზღვაში 15 დოლარია. ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ ოპეკის არსებობით. ეს არის ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრიანებული არიან ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები, რათა ერთობლივი ძალით წინააღმდეგობა გაეწიათ ნედლი ნავთობის ხელოვნურ გაიაფებასთან. ამჟამად ოპეკის წევრია სპარსეთის ყურის ყველა არაბული ქვეყანა, ბაჰრაინისა და ომანის გამოკლებით.

ოპეკი მეტ-ნაკლებად ცდილობს ფასები არეგულიროს და გარკვეული თანაფარდობით გადაანაწილოს კვოტა წევრ ქვეყნებს შორის. ეს იყო 1960 წელს მისი დაარსების მიზეზი. ორგანიზაციის პირველი წევრები სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნებიდან იყვნენ საუდის არაბეთი, ერაყი და ქუვეითი. 1961 წელს კი კატარიც შეუერთდა მათ.საუდის არაბეთი

ნავთობის მარაგით პირველია ამ ქვეყნებს შორის. საუდის არაბეთში ნავთობის მოპოვება დაიწყო 40-50 იან წლებში, როცა ამერიკამ დაიწყო ნავთობის მოპოვება და სწრაფად გადაიქცა ერთ-ერთი წამყვან სახელმწიფოდ. განსაკუთრებული როლი ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკურ ცხოვრებაში აქვს ნავთობ -კომპანია „არამკოს“. 1980 წელს ქვეყანამ გამოისყიდა უცხოური წილი ამ ფირმაში და უწოდა „საუდი-არამკო“. საუდის არაბეთის

ინდუსტრიის საფუძველი არის ნავთობისა და გაზის მრეპველობა. ნავთობის საექსპორტო შემოსავლები მართლაც რომ კოლოსალურია, მაგრამ საუდის არაბეთს აქვს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შიდა ვალი 170 მლრდ. დოლარი.

ოპეკ-ის წევრ ქვეყნებმა, იმავე საუდის არაბეთის მეთაურობით მონახეს გამოსავალი: ისინი შეუტანხმდნენ ნედლი ნავთობის სხვა უდიდეს ექსპორტიორს რუსეთის ფედერაციას - და ყველამ ერთად შეამცირა ნავთობის მოპოვება.

კასტელური გარიგების (ე.წ OPEC+) წყალობით მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიწოდების ხელოვნური დეფიციტი შეიქმნა და 2017 წლიდან მისმა ფასმა ზრდა დაიწყო. 2018 წელს ბარელი ნავთობის მსოფლიო ფასი 70-75

დოლარის ირგვლივ ტრიალებდა, ერთდროულად აღდგა აშშ-ის ნავთობმოპოვების რენტაბელობაც. ასე რომ, არ არის გამორიცხული ნავთობის სიჭარბის ხელახალი წარმოქმნა და ფასის ისევ დავარდნა, თუმცა ბევრია დამოკიდებული სპეკულაციურ მოქმედებებზე, რაც მსხვილ კომპანიებსა და ნავთობექსპორტიორ ქვეყნებს ხელეწიფებათ,

საერთო ჯამში კი XX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან ნავთობის ფასმა მოიმარა (გავიხსენოთ, რომ 1970 - იან წლებამდე ბარელი ნავთობი ორი დოლარიც არ ღირდა!) . XX საუკუნის ბოლოდან გაძვირდა გაზიც. ამას შედეგად მოჰყვა მსოფლიო

ისტორიაში სიმდიდრით ჯერ არ ნახული გეოგრაფიული გადანაწილება: სპარსეთის ყურის უდაბური, ხალხმცირე , ღარიბი საშეიხოები და საამიროები მოულოდნელად თავს დატეხილმა შემოსავალმა მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებად აქცია.

მაგალითად განვიხილოთ მსოფლიოში ნავთობის უდიდესი მარაგის მქონე საუდის არაბეთი. ნავთობის ექსპორტმა ქვეყანას 1962 წელს მოუტანა 410 მილიონი დოლარი, 1972 წელს-2, 7 მილიარდი. 1874 წელს , ფასის მკვეთი ნახტომის წყალობით, შემოსავალმა 20 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო 1981 წელს 113 მილიარდი შეადგინა. 1984 წლიდან დაიწყო საკმაოდ ხანგრძლივი სტაგნაცია, როდესაც ნავთობის ფასი შედარებით დაბალი იყო. მაგრამ XXI საუკუნის დასაწყისში ფასმა ისევ მოიმატა და საუდის არაბეთის საექსპორტო შემოსავალმაც იმატა.

2.2 სპარსეთის ყურის ომები და საუდის არაბეთის პოზიცია

1958 წლამდე ერაყსა და საუდის არაბეთს შორის არსებული მტრული დამოკიდებულება მათ მონარქიული რეჟიმების ქიშპობის შედეგი იყო. ჯერ კიდევ 1925 წელს იბნ საუდმა ბაღდადის ჰაშიმიანი მმართველები ჰიჯაზიდან გააძევა. უკანასკნელი მრავალი წლის განმავლობაშ წარუმატებლად იბრძოდნენ დაკარგული პოზიციების აღდგენისათვის. 1958 წლის ერაყის რევოლუციის

შემდეგ ერაყ-საუდის არაბეთის წინააღმდეგობამ იდეოლოგიურ სფეროში გადაინაცვლა. კონფრონტაცია გაძლიერდა 70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ერაყმა არმიის მოდერნიზაცია ჩაატარა და მხარი დაუჭირა იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას, საუდელთა საზღვართან დაბანაკებულ ომანელ მეამბოხეებს.

ერ-რიადმა უფრო მიზანშეწონილად ჩათვალა შაჰის რეჟიმთან დაახლოება, რაც გარკვეულწილად მონარქიული სოლიდარობითა და ორივე ქვეყნის პროამერიკული ორიენტაციით იყო განპირობებული. მაგრამ 1975 წელს ალჟირში დადებულმა ხელშეკრულებამ ერაყსა და ირანს საგარეო პოლიტიკური კურსის გადასინჯვისკენ უბიძგა.

1977 წელს ერაყმა მიიერთა საუდის არაბეღის საზღვართან არსებული ნეიტრალური ზონა, რითიაც ერ-რიადის უკმაყოფილება გამოიწვია. ირანმა იმ ინციდენტის ხელშეკრულების შემდეგ არაბულ სამყაროში მომხდარი განხეთქილების დროს ბაღდადი არ შეუერთდა ანტიიმპერიალისტურ ფრონტს და საუდის არაბეთს მიემხრო.

ირანის ისლამურმა რევოლუციამ და შაჰის ტახტიდან ჩამოგდებამ სპარსეთის ყურეში ძალთა თანაფარდობა მნიშვნელოვნად შეცვალა. კიდევ უფრო გამწვავდა პოლიტიკური წინააღმდეგობა ირანსა და საუდის არაბეთს შორის აიათოლლა ხომეინიმ საუდელ მონარქებს რელიგიურ-იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრეტენზიები წაუყენა. ისლამური რევოლუციის ლიდერების ამბიციურმა მოთხოვნებმა ერთმორწმუნე თეირანი აქცია ერ- რიადის მოწინააღმდეგედ. რომელიც საუდის არაბეთის ეროვნულ ინტერესებს ემუქრებოდა. ყოველივე ეს გამოიხატა ისლამური რესპუბლიკის საუდელთა საწინააღმდეგო პროპაგანდის გაძლიერებისა და შიიტურ ტერორისტულ აქტებში : მაგალითად, 1979 წლის ნოემბერში მექას მთავარი მეჩეთის დაკავებასა და 1980 წლის: თებერვალში ქალაქ ელ- კატიფში ხომეინისტური დემონსტრაციების მოწყობაში.

საუდის არაბეთის საწინააღმდეგო პოლიტიკამ ისლამური რეჟიმის მხრიდან ხელი შეეშალა ერ-რიადის ზესახლმწიფოების მიმართ ე.წ „ ბალანსირებული პოლიტიკის“ გატარებასა და მოკავშირის არჩევაში. ამიტომ საუდელებმა ერაყთან ახლო ურთიერთობის დასამყარებლად ზომები მიიღეს. შიიტური ჰეგემონიზმისაგან თავის დასაცავად ბაღდადმა და ერ-რიადმა 1979 წლის თებერვალში დადეს ხელშეკრულება თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ. 1980 წლის აგვისტოში სადამ ჰუსეინმა პირველად იმოგზაურა საუდის

არაბეთში, ხოლო სექტემბერში ერ-რიადში- ვიზიტით იმყოფებოდა ერაყის პრეზიდენტის დიპლომატიური წარმომადგენელი. ადრე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დამყარებული პოლიტიკური აქტივობა იმაზე მიუთითებდა, რომ ირანთან შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში, ერაყი და საუდის არაბეთი ერთმანეთს დაეხმარებოდნენ. იმის დასაწყისში ერ-რიადი ბაღდადს მორალურ უჭერდა მხარს მას სამხედრო აეროდრომის გამოყენების ნებაც დართო. თუმცა საუდელთა პოზიცია ამ ომში სიფრთხილესა და პოლიტიკური მოვლენების გულდასმით შესწავლაზე იყო დაფუძნებული. ერ რიადში კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული , რომ ერაყის გამარჯვებისა და მისი სამხედრო პოლიტიკური გაძლიერების შემდეგ საუდის არაბეთს სპარსეთის ყურეში გავლენის დაკარგვა ემუქრებოდა, მაგრამ სადამ ჰუსეინის ბლიცკიგი ჩაიშალა და ომმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. ამასთანავე, ირანის დამხედრო-საზღვაო ძალებმა გააძლიერეს კონტროლი რეგიონალურ ნაოსნობაზე და საფრთხე შეუქმნეს ერაყის ნავთობის ექსპორტს. საუდელები მიხვდენენ, რომ ბაღდადის რეჟიმისათვის ეკონომიკური დახმარების აღმოჩენა იყო საჭირო . ისინი სათავეში ჩაუდგნენ ერაყის ფინანსური ხელშეწყობის კომპანიას და მარტო 1982 წელს ამისათვის 25 მლრდ დოლარი გამოყვეს. 1980 წლის ნოემბერში საუდის არაბეთმა წითელი ზღვის პორტები დაუთმო ერაყის სამხედრო და სავაჭრო გემებს. 1981 წელს ჯიდდას ჩრდილოეთით მდებარე პორტი ჯადიმა ძირითადად ერაყის იმპორტ- ექპოსტით იყო დაკავებული. ირან ერაყის ომში საუდის არაბეთმა სრულად ვერ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიმართ და შედეგად მძიმე პოლიტიკური დილემის წინაშე აღმოჩნდა. როგორც ერთი ისე მეორე ქვეყნის გამარჯვების შემთხვევაში, ჩამოყალიბდებოდა რეგიონალური „ზესახელმწიფო“. რომელიც სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოებზე მოინდომებდა გაბატონებას. ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების მიღწევა და კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარება დაპირისპირებული მხარეების პარიტეტულ საწყისებზე განვითარების პირობებს შექმნიდა მშვიდობას განამტკიცებმა, გაიზრდებოდა ნავთობის მოპოვება და შესაბამისად მისი ექსპორტიც. ნედლეულის დამატებითი რაოდენობის მიწოდების შედეგად მსოფლიო ბაზარზე შემცირდებოდა ფასები ნავთობპროდუქტებზე რაც საუდის არაბეთისა და სხვა ნავთობმომპოვებელი არაბული სახელმწიფოების ეკონომიკურ ინტერესებში არ შედიოდა. გაცილებით ხელსაყრელი იყო ომის გაჭიანურება, რომელიც საგრძნობლად დაასუსტებდა საუდის არაბეთის რეგიონალურ მეტოქეებს , ხოლო ერ-რიადი ამით ისარგებლებდა და სპარსეთის ყურეში გავლენის გაძლიერებას შეეცდებოდა, მაგრამ ახლოაღმოსავლური კონფლიქტის გახანრგძლივებაც სახიფათო იყო, რადგან არსებობდა საშიშროება, რომ საომარი მოქმედებები სპარსეთის ყურის სხვა

ქვეყნებშიც გავრცელდებოდა ეს კი უდაოდ გამოიწვევდა ფართომასშტაბიან ომში აშშ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ჩარევას.

კონფლიქტის გაჭიანურება, რომელიც სპარსეთის ყურის აკვატორში საბრძოლო მოქმედებების გააქტიურებას იწვევდა, ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აყენებდა რეგიონალურ სახელმწიფოებს. ტანკერებსა და ჭაბურღილებზე თავდასხმა იწვევდა მწყობრიდან გამოსვლას, რაც რეგიონალურ ინფრასტრუქტურას საფრთხეს უქმნიდა. დაზიანდა სანაპირო ზოლში განლაგებული ელექტროსადგურები . ირან ერაყის ომის გაგრძელებას ფართო მასშტაბის ეკოლოგიური კატასტროფა მოჰყვებოდა,მოიშლებოდა რეგიონის სამეურნეო მექანიზმი , საუდის არაბეთის ეკონომიკა კი საგრძნობლად დასუსტდებოდა , ამრიგად, ირან-ერაყის ომის გაგრძელების შესაძლო ვარიანტებიდან , არცერთი არ იყო ხელსაყრელი ერ-რიადისათვის, რომლის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს აშშ- ეგიპტის ურთიერთობა, კონფლიქტთან დასავლეთის დამოკიდებულება და რეგიონალური ქვეყნების პოზიცია განსაზღვრავდა.

სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები ახლოაღმოსავლურ კონფლიქტში საკუთარი ინტერესების დაცვას ცდილობდნენ. ჯერ კიდევ, ომის დაწყებისთანავე რეგიონალურ სახელმწიფოებში გაჩნდა სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოში (ასთს) ინტეგრაციის ტენდენცია. ირან-ერაყის შეიარაღებულმა კონფლიქტმა ბიძგი მისცა გადაწყვეტილების მიღებას ამ რეგიონალური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის 1981 წლის თებერვალში . ხოლო მაისში „ საბჭოს“ წევრი ქვეყნების მეთაურებმა დაამტკიცეს წესდება, მისი სტრუქტურის შესახებ, ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს მიზანს რეგიონალური ინტეგრაცია , ერთიანობა და პოლიტიკის კოორდინაცია წარმოადგენდა რაც საერთო ისტორიული წარსულით, მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური სისტემით, ეროვნული და რელიგიური ერთიანობით იყო განპირობებული. მაგრამ 1983-1987 წლებში ასთს საქმიანობაში ძირითადი ყურადღება სამხედრო თანამშრომლობას დაეთმო. ამას ხელი შეუწყო ირან- ერაყის ომის გაჭიანურებამ, კონფლიქტის ესკალაციამ, რომელიც „ ტანკერების ომში“ და დაპირისპირებული მხარეების“ ქალაქების ურთიერთმტრობაში „ გადაიზარდა. ასთს წევრი ქვეყნების მილიტარიზაციას აქტიურად უჭერდნენ მხარს საუდის არაბეთი და ომანი. მათ შეძლეს ასთს-ში შემავალი ყველა სახელმწიფოს დაყოლიება ამ ორგანიზაციის ეგიდით ერთობლივი მანევრების ჩატარების, გაერთიანებული სამხედრო ხელმძღვანელობის სამხედრო თავდაცვის სისტემების შექმნაზე.

სპარსეთის ყურის ასთს წევრი ქვეყნების სავალუტო მარაგი 300 მდრლ დოლარად იყო შეფასებული მათ შორის გფრ-ში , საფრანგეთში აშშ-ში ინგლისსა და ბრაზილიაში შეიძინეს უახლესი სამხედრო აღჭურვილობა . კერძოდ „ ტანკები „ჩიფთენი „ , „ლეოპარდ-2“ , სარაკეტო კომპლექსები-" ეგზოსეტი", დუდი სიშორის რადიოლოკაციური თვალთვალის თვითმფრინავები ე-3 ავაქსი, ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენები " მირაჟ -2000", ფ-15,ფ-5, ტანკსაწინააღმდეგო, საზენიტო სისტემები, კავშირის ელექტრონული აპარატურა და კატარღები დაკეტილი დანადგარებით. 1984-1985 წლებში ასთს-მა ხელი მოაწერა შეთანხმებას დასავლეთთან 2 მლრდ 220 მლნ დოლარის სამხედრო ტექნიკის შესყიდვის თაობაზე. ირან-ერაყის ომის დროს ასთს გვერდის ავლით რეგიონალურმა არაბულმა ქვეყნებმა ერაყს 45 მლრდ დოლარის ფინანსური დახმარება აღმოუჩინეს.

2.3 ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და საუდის არაბეთის პოლიტიკა

ბოლო ხანს საუდის არაბეთში სულ უფრო ხშირად საუბრობენ სამეფოს საგარეო კურსის შესაძლო ცვლილებაზე. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები, განსაკუთრებით ირანის ბირთვული იარაღის საკითხი და სირიის სამოქალაქო იმი,მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეფოს პოლიტიკის წარმოებაში. ამ საკითხებზე აშშ-ის გასხვავებული დამოკიდებულება კი მოკავშირეების 80-წლიანი ურთიერთობების გაფუჭებისა და იმ განცხადებების მიზეზი გახდა, რომელიც სამეფოსთვის ახალი შესაძლებლობების სპექტრზე მიანიშნებდა მსოფლიოს სხვა მმართველ ძალებთან სტრატეგიული ურთიერთობებით დაწყებული, არაბულ სამყაროში ირანის მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობების განმტკიცებით დასრულებული. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო ვერ მოახერხებს ირანის ბირთვული ამბიციების შეჩერებას და იგი გააგრძელებს ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას.

ექსპერტების განცხადებით, საუდის არაბეთი ყველანაირად შეეცდება ამერიკაზე ხანგრძლივი დამოკიდებულება როგორმე შეამციროს , საფრანგეთთან , რომელმაც ხისტი პოზიცია დაიკავა ირანის საკითხზე, ურთიერთობის გაღრმავება

ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. სწორედ საფრანგეთი მოიაზრება დასავლეთში მის მოკავშირედ. გასული თვეების განმავლობაში არ-რიადი მჭიდროდ თანამშრომლობდა პარიზთან სირიისა და ირანის საკითხებზე. ოქტომბერში სამეფოში ვიზიტით მყოფმა საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა მოლაპარაკებები გამართა ტავის კოლეგასთან თავდაცვისა და შეიარაღების საკითხებზე მიღწეული იქნა კონკრეტული შეთანხმებებიც. გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, საფრანგეთი განახორციელებს სამეფოს 4 ფრეგატისა და ორი ხომალდის საფუძვლიან შესწავლა-შეკეთებას, რაც საუდის არაბეთს 1.1 მლრდ ევრო დაუჯდება. ასევე განხილულ იქნა 2 მლრდ ევროს ღირებულების შეთანხმება, რომელიც საუდის არაბეთის საჰაერო თავდაცვის მოდერნიზებას გულისხმობს. აღნიშნული შეთანხმება რომელიც საუდის არაბეთის საჰაერო თავდაცვის მოდერნიზებას გულისხმობს. აღნიშნული შეთანხმებისა და კონტრაქტის გასააქტიურებლად 29 დეკემბერს რიადში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი. სწორედ ოლანდის ვიზიტის დროს განაცხადა საუდის არაბეთმა , რომ მზადაა ლიბანის არმიისათვის 3 მლრდ დოლარის ღირებულების ფრანგული იარაღის სისტემა და აღჭურვილობა შეიძინოს. გარიგებამ უკვე გამოიწვია არაერთგვაროვანი რეაქცია ლიბანის შიგნითვე, სამეფოს ერთ-ერთ მთავარ მიზანს შიიტური „ჰიზბალაჰის“ პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების შესუსტებაა, რომელიც ბაშარ ასადის რეჟიმისა და ირანის მნიშვნელოვანი მოკავშირეა. მით უმეტეს , რომ ლიბანში არა ქვეყნის არმია, არამედ სწორად ‘’ ჰიზბალაჰი’’ წარმოადგენს ყველაზე ძლიერ სამხედრო ძალას. ერთ-ერთი ვერსიით, საუდის არაბეთის მიერ გაღებული შემოწირულობების მიზანი ამერიკის გავლენის შემცირებაა იმ ქვეყნებში სადაც იგი ბოლო წლებში დომინირებდა.

საუდის არაბეთის კიდევ ერთ შესაძლო, თუმცა უჩვეულო , მოკავშირედ მოიაზრებენ ისრაელს. პალესტინური საინფორმაციო სააგენტოს ალ-მანარის (al-Manar) და ისრაელის რადიოს ინფორმაციით, საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე სალმან ბინ სულთანი (რომელიც სამეფოს უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის ძმაცაა) ორ მაღალჩინოსანთან ერთად საიდუმლო ვიზიტით იმყოფებოდა ისრაელში, სადაც ისრაელის უშიშროების წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრები. ორივე ქვეყანას ერთი პოზიცია აქვთ ირანის ბირთვული იარაღის საკითხთან მიმართებაში. ორივეს ერთნაირად აშფოთებს ირანისა და ამერიკის ურთიერთობების დალაგებაც. ისრაელის პრემიერ მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ჟენევის შეთანხმებას „ ისტორიული შეცდომა“ უწოდა და დასძინა, რომ თელ-ავივის საერთო არაფერი ექნება ამ შეთანხმებასთან. სპარსეთის ყურის დიპლომატიური წყაროების თანახმად, სამეფო, რომელშიც არასტაბილური ვითარებაა, არ გარისკავს თავის არამუსლიმ მოკავშირეებთან

ურთიერთობების გაფუჭებას. ვაშინგტონი კვლავ რჩება საუდის არაბეთისათვის ყველაზე ახლო პარტნიორად და თანამოაზრედ ახლო აღმოსავლეთის საკითხებში. მართლაც, იმის გათვალისწინებით თუ როგორ ძლიერადაა საუდის არაბეთი ამერიკაზე დამოკიდებული (ეკონომიკურ, სამხედრო თუ პოლიტიკურ ასპექტებში) , ნაკლებად სავარაუდოა მას ვაშინგტონთან ურთიერთობებს სერიოზულად გაფუჭება სურდეს.

XX და XXI საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთი ქრონიკური კონფლიქტების მხარეა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ რეგიონის პოლიტიკურ განვითარებას ყველაზე ხშირად განიხილავენ ისრაელისა და არაბული სამყაროს კონფლიქტის პრიზმაში.

2011 წელს რეგიონში განვითარდა მოვლენები, რომელთაც „ არაბული გაზაფხული“ დაერქვა. მოვლენები კი ასე დაიწყო:

2010 წლის 17 დეკემბერს თუნისის ერთ პროვინციულ ქალაქში ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე ახალგაზრდის მიმართ გამოჩენილი პოლიციური უსამართლობა, რაც სამწუხაროდ არაბულ ქვეყნებში ლამის ჩვეულებრივი ამბავია , ტრაგიკულად დამთავრდა. პროტესტის ნიშნად ახალგაზრდამ ქალაქის მერიის წინ თავი დაიწვა. ინციდენტს არ ჩაუვლია უკვალო. ის ცნობილი გახდა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომელთაც მთელ თუნისში ააგორეს საპროტესტო ტალღა. ტელევიზიამ , მობილურმა ტელეფონმა, სოციალურმა ქსელებმა განაპირობეს პროტესტის მასობრივი ხასიათი. თუნისელ ხალხში წლების განმავლობაში გროვდებოდა რეჟიმით უკმაყოფილება. ახლა მან გამოსავალი იპოვა.

პოლიციის მხრიდან დემონსტრაციების დაშლის უხეშ მცდელობას მოჰყვა 200-ზე მეტი ადამიანის დაღუპვა. ამან პროტესტი მკვეთრად გაამძაფრა. არმია ფაქტობრივად განუდგა პრეზიდენტ ზინე ელ -აბიდინ ბენ ალის, რომელიც მანამდე 23 წლის განმავლობაში რკინის ხელით მართავდა ქვეყანას. 2011 წლის 14 იანვარს ბენ ალი ოჯახთან ერთად გაიქცა საუდის არაბეთში და როგორც მერე გაირკვა ხელს გააყოლა თუნისის სახელმწიფო ბანკის 1,5 ტონა ოქრო.

უნდა ითქვას, რომ რევოლუციის შემდეგ თუნისის ახალი ხელისუფლება დემოკრატიული გზით აირჩიეს და იქ მართლაც გატარდა ზოგი რეფორმა.

დასავლეთის მასმედიამ 2011 წლის მოვლენებს გამოუძებნა სახელი „არაბული გაზაფხული“ რადგან გაჩნდა იმედი, რომ არაბმა ხალხებმა ზამთრის ძილისგან გამოიღვიძეს, კორუფციას დაუპირისპირდნენ , მალე დემოკრატიული გარდაქმნების მომსწრენი გავხდებითო !

ზოგიერთ არაბულ მონარქიაში , მათ შორის საუდის არაბეთში თუნისისა და ეგვიპტის ამბების შემდეგ დაუყონებლივ მიიღეს წინმსწრები ზომები- სახელმწიფო მოხელეებს გაუზარდეს ხელფასი, რიგით მოქალაქეებს პენსია ან შემწეობა.

არ-რიადი თავის უმთავრეს მეტოქედ მიიჩნევს შიიტურს ირანს იმის გამო რომ თეირანი ეხმარება მთავრობის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ შიიტებს თვით საუდის არაბეთში , აგრეთვე ბაჰრეინში. ირანი მხარს უჭერს ერაყის, ლიბანის, იემენის შიიტებს , ხოლო სირიაში ბაშარ ალ-ასადს ეხმარება, რომელსაც საუდის არაბეთი მტრად სახავს.ამავე დროს სუნიტური საუდის არაბეთი თავს ზოგადად ისლამის ცენტრად მიიჩნევს რადგან საუდის არაბეთში მექას და მედინას უდიდესი სიწმინდეებია განლაგებული.

დღესდღეისობით ნაკლებად იყენებენ ტერმინს „იმპერიალისტური სახელმწიფო“ იგი ჩაანაცვლა ტერმინმა „ დიდი პოლიტიკური მოთამაშე/ აქტორი“.

რეგიონსგარე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეებს ახლო აღმოსავლეთში დიდი მიზნები ჰქონდათ , ზოგს დღემდეც აქვს, ზოგს კი ხელახლა უჩნდება.

არსებობს გეოპოლიტიკური თამაშის ზოგი ირიბი შედეგი, რომელიც პატარა ქვეყნისათვის პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს. „რეგიონსგარე იმპერიალიზმმა“ იხსნა რეგიონის რამდენიმე ქვეყანა. ასე ვთქვათ „ შიდარეგიონალური იმპერიალიზმისგან“

ბოლო ათწლეულების ისტორიიდან მაგალითად გამოდგება ის რომ

- სადამ ჰუსეინის დროინდელ ერაყს არ შერჩა 1990 წლის პატარა ქუვეითის კოალიცია ქუვეითის გადასარცენად: მისი მმართველი ას-საბაჰის დინასტიის ბედზე მეტად ვაშინგტონს აწუხებდა ქუვეითისა და მაშნ სავსებით შესაძლებლად მიჩნეული საუდის არაბეთის ნავთბის მდიდარი ბუდობების გადასვლა სადამ ჰუსეინის ხელში.
- ერაყის არმია ბრძოლით განიდევნა ქუვეითიდან, სადაც „განთავისუფლების დღე“ მთავარ ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა;
- „შიდაარაბული გარჩევების „ დროს პატარა კატარს მისხმა მეზობელმა არაბულმა ქვეყნებმა -საუდის არაბეთმა , გას-მა , ბაჰრეინმა და აგრეთვე ეგვიპტემ-2017 წელს მხოლოდ დიპლომატიური და ეკონომიკური ემბარგო მოუწყვეს. კატარზე „სამხედრო ზემოქმედებას“ კი ისინი ვერ ბედავენ: ეს უპირველესად იმის გამო ხდება , რომ კატარს ამერიკასთან სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს და დადებული და კატარში აშშს სამხედრო ბაზაა განლაგებული.

უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი ქვეყანა -საუდის არაბეთის სამეფო-არც თუ უმნიშვნელო სამხედრო-პოლიტიკურ ძალად იქცა და ცდილობს რეგიონის სხვა არაბულ ქვეყნებს (მაგალითად , ლიბანს, კატარს, ქუვეიტს) უკარნახოს პოლიტიკური ქცევა. 2015 წლიდან სამეფო უკვე მეორედ ჩაერთო იემენის სამოქალაქო ომში ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ:პირველად ეს მოხდა 1062-1970 წლების იემენის სამოქალაქო ომის დროს.

თავი III

საუდის არაბეთი- სპარსეთის ყურის რეგიონალური ცენტრი

3.1 ქვეყანაში დაპირისპირება სუნიტებსა და შიიტებს შორის და მისი გავლენა საგარეო პოლიტიკაზე

თანამედროვე საუდის არაბეთის მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ მუსლიმი-სუნიტები. ოფიციალური რელიგიური ინსტიტუტის საფუძველს შეადგენენ ულემები, რომლებიც არიან ჰანბალიტური მოძღვრების მიმდევრები, სწორედ ისინი შედიან უმაღლესი ულემების საბჭოში და პრაქტიკულად ხელმძღვანელობენ რელიგიურ , სასამართლო, საგანმანათლებლო სფეროს, აგრეთვე მეჩეთებს, ვაკუფებს და სხვა . ისლამის სხვა საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლებისა და მიმდინარეობების წარმომადგენლები პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მიღებაში მონაწილეობას არ ღებულობენ. როგორც წესი, ყველა ქვეყანაში კონფესიების თანაბარი უფლებები განმტკიცებულია კონსტიტუციით უზრუნველყოფილია მათი პროპორციული წარმომადგენლობა სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში, ამ თვალსაზრისით, საუდის არაბეთში განიცდიან დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით. ამის შესახებ ღიად განაცხადა საუდის არაბეთის შიიტური თემის წარმომადგენელმა შაიხ ჰაშიმ სალმანმა „ ეროვნული დიალოგის“ წარმომადგენელთა მეორე შეხვედრაზე მექაში 2004 წლის იანვარში. თუმცა ე.წ „შიიტური საკითხის „ მოხსენიება საერთოდ არ ხდება არც ოფიციალური წრეების და არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ. არ-რიადში ხაზს უსვამენ, რომ საუდის არაბეთის სამეფო არის სახელმწიფო რომელიც თანაბარ უფლებებს

და შესაძლებლობებს აძლევს თავის ქვეშევრდომებს მათი რელიგიური კუთვნილების მიუხედავად.[22]

ზუსტი მონაცემები საუდის არაბეთში შიიტების შესახებ არ არსებობს. მათი რაოდენობა დაახლოებით 2,4 -დან 3,6 მლნ-მდე უნდა იყოს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 10-15%-ს შეადგენს.სამეფოს დედაქალაქში არ- რიადში ცხოვრობს 30, 000 მდე შიიტი [23] .

საუდის არაბეთში სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირისპირებას აქვს ისტორიული ხასიათი და მომდინარეობს XVII საუკუნეში ვაჰაბიტების მიერ შემუშავებული რელიგიურ- იდეოლოგიური დოქტრინიდან, რომელიც გამოირჩეოდა უკიდურესი ფანატიზმით და სისასტიკით იმ მუსლიმებისადმი, ვინც არ იზიარებდა მათ შეხედულებებს.ისტორიკოსი ა. ვასილიევი აღნიშნავდა, რომ „ ვაჰაბიტები ებრაელებს და ქრისტიანებს ექცეოდნენ უფრო ლმობიერად, ვიდრე მუსლიმებს“ [24] ეს ვითარება დღეს შეიცვალა, მაგრამ შიიტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება მაინც რჩება.

საუდის არაბეთის შიიტების უმრავლესობა ცხოვრობს ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციაში, სადაც ისინი შეადგენენ ადგილობრივი მოსახლეობის 60%-ს . აღმოსავლეთ პროვინციის და ქალაქ მედინის შიიტები იმამიტები, ანუ თორმები იმამის ამღიარებლები არიან. იანბუს რაიონში წარმოდგენილი არიან შიიტი-კაისანიტები. შიიტი- ისმაილიტები თავმოყრილი არიან სამხრეთით , სანსაკუთრებით ნაჯრანში. ზაიდიტები კი - ქვეყნის სამხრეთ და დასავლეთ რაიონებში. ეთნიკური კუთვნილების მიხედვით საუდის არაბეთის შიიტები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: საკუთვრივ საუდის არაბეთის არაბები და უცხოელები, ძირითადად ირანელები და იემენელები , ადგრეთვე ინდოეთისა და პაკისთანის მცხოვრებლები.

1913 წელს საუდის არაბეთის მომავალმა მეფემ აბდ ალ-აზიზ იბნ საუდმა დაისაკუთრა ალ - ჰასას და ალ -კატიფის ოაზისებიდან. ადგილობრივი შიიტი მუჯთაჰიდების- მუსა იბნ აბდალაჰ აბუ ხამსინის (1874-1832) , ალი იბნ ჰასან ალი ალ ხუნაიზის (1868-1944) და სხვა ავტორიტეტული შიიტი რელიგიური მოღვაწეების მოწოდებამ თავიაანთი ერთმორწმუნეებისადმი- არ

[22] The Shiite Question in Saudi Arabia. Crisis Group Middle East Report No 45, September 19, 2005. გვ. 1

[23] Логинов,И.В.О Статусе Шиитской Обшины в Саудовской Аравии.Ближний Восмок и современность.Вып. семнадцатый,МосквaЬ Ближнего Востока ,2003, გვ.104-110

[24] Васильев А.М. Пуритане ислама. Ваххабизм и первое государство Саудидов в Аравии (1744/1745-1818) Москва :Наука, 1967 გვ. 127

შეწინააღმდეგებოდნენ- მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იბნ საუდის გამარჯვებაში . მეფემ ხელი მოაწერა შიიტთა რელიგიურ ლიდერებთან შეთანხმებას „ პროვინციის მცხოვრებლებისათვის რელიგიური თავისუფლების გარანტიის შესახებ“ მათი მორჩილების სანაცვლოდ ახალი სახელმწიფოებისადმი. ამასთან, აბდ ალ -აზიზმა განსაზღვრული ღონისძიებები გაატარა აღმოსავლეთ პროვინციებში ადგილობრივი შიიტი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. მან ნება დართო შიიტებს, ჰქონოდათ საკუთარი მეჩეთები , შეესრულებინათ თავიაანთი რელიგიური რიტუალები და ჰქონოდათ საკუთარი სასამართლოები. ალ - კატიფში შარიათის სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა შაიხი ალ - ხუნაიზი, რომელსაც გამოჰქონდა სასამართლო განაჩენი როგორც შიიტების ისე სუნიტების საქმეებთან დაკავშირებით.

1925 წელს „ იხვანებმა „ პოლიტიკური ხელისუფლებისაგან მოითხოვეს აეკრძალათ ალ -ჰასას და ალ-კატიფის შიიტებისათვის საჯაროდ თავიაანთი რელიგიური რიტუალების შესრულება, შეეწყვიტათ მოციქულის და ალის დაბადების დღის აღნიშვნა, პილიგრიმობა ქერბალასა და ნაჯაფში. აბდ ალ - აზიზმა არ შეასრულა ეს მოთხოვნები.

ვაჰაბიტებსა და შიიტებს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად შეიცვალა 1926 წელს. „ იხვანებმა“ მეფეს წაუყენეს მთელი რიგი ბრალდებები, უპირველეს ყოვლისა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ არ სურდა შიიტებისათვის თავს მოეხვია „ სწორი“ ისლამი, როგორც ეს განმარტებულია იბნ აბდ ალ- ვაჰაბის წიგნში „ ათ- თავჰიდ“. 1926 წლის ოქტომბერში „იხვანებმა“ კონფერენცია მოაწყვეს არტავიაჰში, სადაც მათ გააკრიტიკეს იბნ საუდი. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო შიიტური თემის სტატუსი და მათი „ისლამიზაცია“ . მეფე აბდ ალ -აზიზმა „ იხვანთა“ კრიტიკის საპასუხოდ, 1927 წლის იანვარში მოაწყო კონგრესი რიადში, სადაც მიიწვია ულემები და „იხვანების „ მეთაურები. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მეფემ შიიტებთან ურთიერთობის საკითხი განსახილველად გადასცა უმაღლესი ულემების კომიტეტს და მოითხოვა მათთან შესაბამისი ფათვა (საღვთისმეტყველო-სამართლებრივი დასკვნა) . ულემებმა თავის ფათვაში (1927 წლის თებერვალი) მოსთხოვეს აბდ ალ-აზიზის გარკვეული შეზღუდვების დაწესება შიიტების მიმართ და მათი იძულება მიეღოთ ვაჰაბიზმი.[25] ულემები არწმუნებდნენ იბნ საუდს- გაეგზავნა ინსტრუქტორები და მასწავლებლები ალ - ჰასაში და ალ- კატიდში რათა დაერწმუნებინათ შიიტები მიეღოთ „ჭეშმარიტი ისლამი“.[26] შესაბამისად შიიტების დიდმა ნაწილმა აღიარა ვაჰაბიზმი, ხოლო

[25] Kostiner, Joseph. On Instruments and Their Designers: The Ikhwan od Najd and the Emergence of Saudi State. MES, 1985, Vol , 21, No 3 . pp298-323

[26] Al-Yassini , Ayman. Religion and State in the Kingdom of Saudi Arabia. Builder , Colo: westview Press, 1985 გვ. 49-50

ნაწილი გადავიდა , ბაჰრაინში. იმათ შორის, ვისაც აიძულეს ვაჰაბიზმზე გადასვლა, იყო მუსა იბნ აბდალლაჰ აბუ ხამსინი, ალ -ჰასას ცნობილი მუჯთთაჰიდი[27] მეფემ აკრძალა შიიტებისათვის იმამ ჰუსაინის საჯარო დატირება და ბრძანა დაენგრიათ შიიტ წმინდანთა საფლავები მედინაში და საუდის არაბეთის სხვა ადგილებში. „იხვანთა“ მოძრაობის ლიკვიდაციამ (1930) მოხსნა დაძაბულობა ოფიციალურ რელიგიურ ინსტიტუტებსა და შიიტებს შორი ურთიერთობაში. თუმცა გაჩნდა ისეთი ძალებიც ვაჰაბიტებს შორის, რომელთაც შიიტებთან თანაარსებობა შესაძლებლად მიაჩნდათ მხოლოდ იმ პირობებში , თუ მათ ექნებოდათ ზიმმიების(მფარველობის ქვეშ მყოფი ხალხი) სტატუსი. არის ცნობა იმის შესახებ, რომ მეფე იბნ საუდმა ჯიზია (არამუსლიმთათვის დაწესებული გადასახადი) დააკისრა ალ-ჰასას შიიტებს და არამუსლიმებს , ძირითადად ქრისტიან ვაჭრებს[28]

XX საუკუნის 50-60 იანი ნავთობის მრეწველობის აღმავლობამ აღმოსავლეთ პროვინციაში უზრუნველყო შიიტების დასაქმება და პროვინციაში იმიგრანტების დიდი რაოდენობით მოზიდვა. აქ ჩამოყალიბდა სხვადასხვა მიმართულების მუშათა და პოლიტიკური მოძრაობა, რომელიშიც ადგილობრივმა შიიტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. თუმცა მათ არ წამოუყენებიათ ამ მოძრაობის სხვა მონაწილეებისაგან განსხვავებული მოთხოვნები.[29]

მეფე ფაისალის (1964-1975) დროს ვაჰაბიტმა ულემებმა გამოსცეს რამდენიმე სპეციალური ფათვა შიიტების მიმართ, რაც უკრძალავდა მათ საჯაროდ რელიგიური რიტუალების შესრულებას და მეჩეთების აშენებას, რამდენიმე წინასწარმეტყველმა საერთოდ გამოაცხადა, რომ შიიტების მიერ დაკლული ცხოველის ხორცი არ შეიძლებოდა გამოეყენებინათ მუსლიმებს საკვებად [30] 1974 წელს შიიტთა წინამძღოლი ჰასან ას -საფარი და მისი ახალგაზრდა მიმდევრები : თავფიკ ას-საიფი და მისი ძმები, ფავზი და მაჰმადი, იუსუფ სალმან ალ-მაჰდი, ჰასან მაქი ალ-ხუვაილიდი, ჰუსაინ აბუ ხამსინი წავიდნენ ქუვეიტში , სადაც აიათოლა მუჰამად ალ-ჰუსაინი აშ-შირაზიმ (იმ დროს ერაყის ოპოზიციური ჯგუფის რელიგიური წინამძღოლი) თავის ძმიშილთან-მუჰამად თაკი ალ-მუდარასისთან ერთად დააარსა რელიგიური სკოლა. ამ დროს ქუვეიტში იყო ბევრი ერაყელი შიიტი აქტივისტი, რომელთაც

[27] Steinberg , Guido. The Shiites in the Eastern Province of Saudi Arabia (al-ahsa') , 1913-1953. In Bruner, Rainer and Ende, Werner (eds), The Twelver Shia in Modern Times: religious Culture and Political History.Leiden Brill, 2001 გვ. 248-251

[28] Al-Hasan, H. al –shi'a fi al-mamlaka al –'arabiyya al-sa'udiyya [The Shi'a in the kingdom of Saudi Arabia] Vol. II.Riyadh: Dar al –Shuf, 1993. გვ. 34

[29]Al-Rasheed,, Madawi. The Shi'a of Saudi Arabia: A minority in Seasch of Cultural Authenticity. BJMES, 1998, Vol.25, No 1 , pp.121-138.___2003. გვ. 97-100

[30] Al-Hasan, H. al –shi'a fi al-mamlaka al –'arabiyya al-sa'udiyya [The Shi'a in the kingdom of Saudi Arabia] Vol. II.Riyadh: Dar al –Shuf, 1993. გვ. 58

დიდი გავლენა მოახდინეს საუდის არაბეთის შიიტების მსოფლმხედველობაზე. 1977 წელს ას-საფარი და მისი თანამოაზრეები დაბრუნდნენ ალ-კატიფში და საფუძველი ჩაუყარეს „ შიიტური რეფორმების მოძრაობას[31] ისინი ორი წლის განმავლობაში თეირანის რადიოგადამცემის საშუალებით აკრიტიკებდნენ საუდის არაბეთის სამეფო ოჯახს. ამან ხელი შეუწყო პოლიტიკური შიიზმის გაძლიერებას საუდის არაბეთის აღმოსავლეთ ნაწილში.

XX საუკუნის 90-იან წლებში საუდის არაბეთის პოლიტიკაშ მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა „ შიიტურ საკითხთან“ მიმართებაში. ამას ხელი შეუწყო საუდის არაბეთში ირანის პრეზიდენტის ხათამის ვიზიტმა 1999 წელს. ამის შემდეგ რეგულარულად ხდება შიიტთა წარმომადგენლების შეხვედრა ირანის ხელისუფლებასთან.

ანტიშიიტური განწყობილებების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ის ფაქტი, რომ ოფიციალური რელიგიური ინსტიტუტის წარმომადგენელთა ნაწილი საერთოდ არ თვლის შიიტებს მუსლიმებად და ზოგიერთ მათ ჩვეულებებს განიხილავს, როგორც „ უდიდეს მრავალღმერთიანობას“ (აშ-შირკ ალ -ახბარ) . ამ აზრს იზიარებს საუდის არაბეღში „ ზომიერი სალაფიტების წარმომადგენელი შაიხი სალმან მუჰამად ალ-უდა. 1991 წელს აბდალაჰ იბნ აბდ არ-რაჰმან ალ-ჯიბრინმა, იმ დროს ულემთა უმაღლესი საბჭოს წევრმა , გამოსცა ფათვა, რომლითაც შიიტები სარწმუნოებისაგან განდგომილად გამოცხადდნენ. [32]

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამ ერაყში სერიოზული გავლენა მოახდინა საუდის არაბეთის შიიტებზე, რომლებმაც უფრო აქტიურად დაიწყეს თავიაანთი მოთხოვნების წამოყენება. პირველად სამეფოს ისტორიაში, ეს მოთხოვნები ჩამოყალიბებული იყო დოკუმენტში, რომლის სათაურია „ პარტნიორები სამშობლოში“. ეს დოკუმენტი გადაეცა მემკვიდრე პრინცს, პრემიერ მინისტს-აბდალაჰ იბნ აბდ ალ-აზიზს 2003 წლის 30 აპრილს. ამ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ შიიტები არიან საუდის არაბეთის მოქალაქეები, სამეფო არის მათი ერთადერთი სამშობლო და ისინი მისი ეთგულები არიან. საფრთხე ემუქრება მთლიანად მუსლიმებს, რაც მოითხოვს მათ გაერთიანებას. საუდის არაბეთს უკავია წამყვანი პოზიცია მთელს არაბულ და ისლამურ სამყაროში, იმის გამო, რომ აქ მდებარეობს ორი მუსლიმური წმინდა ქალაქი. ამასთან საუდის არაბეთის ხელისუფლება დაკავებულია ისლამური სოლიდარობის პრობლემების გადაწყვეტით , თუმცა ამ ისტორიული მისიის შესრულებაში მას ხელს უშლის

[31] Fandy, M. Saudi Arabia and politics of Dessent . New York : St, Martin ‘s Press, 1999 გვ. 198
[32] The Shiite Question in Saudi Arabia. Crisis Group Middle East Report No 45, September 19, 2005. გვ. 10

ეთნოკონფესიური კონფლიქტები. ქვეყანაში არიან რელიგიური ფანატიკოსები, რომლებიც თესავენ სიძულვილს ისლამის სხვა მიმდინარეობების, განსაკუთრებით შიიტების მიმართ, ამდენად უპირველეს ყოვლისა ისინი ხელისუფლებისაგან ითხოვენ : 1 . კონფესიური ურთიერთობების მოგვარებას სამეფოში და ხელისუფლების მიერ ამ ორი ისლამური მიმდინარეობის თანასწორობის აღიარებას კანონმდებლობით; 2. კონფესიური ნიშნით დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოვლინების მოგვარებას კანონმდებლობით; 3. ყველა ადმინისტრაციული განკარგულების გაუქმებას, რაც იწვევს დისკრიმინაციას. 4. უშიშროების ორგანოების მიერ შიიტების მიმართ უკანონოდ განხორციელებული ქმედებების (დაპატიმრებები, თვალთვალი დაკითხვა, საზღვარგარეთ წასვლის აკრძალვა, საზღვარზე შეჩერება, პირადი ჩხრეკა) რასაც თან ახლავს პირადი შეურაცხყოფა, შეწყვეტას; 5. ავტორიტეტული ეროვნული კომიტეტის შექმნას შიიტების მონაწილეობით , რომელიც განიხილავს კონფესიური ნიშნით დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და შესაბამის ღონისძიებებს განახორციელებს. ასეთ ღონისძიებად მიიჩნევენ შიიტთა წარმომადგენლობის გაზრდას საკონსულტაციო საბჭოში , ხელმძღვანელ თანამდებობებზე მინისტრთა საბჭოში და არმიაში; 6. საუდის არაბეთის ოფიციალური მიმართულების ულემებსა და სხვა მიმართულების ულემებს შორის კავშირის დამყარებას; 7. საშუალების მიცემას ისლამის ყველა მიმდინარეობას, რომ ჰყავდეს წარმომადგენელი ისლამურ ინსტიტუტებში, მაგ., უსლამური სამყაროს ლიგა მეჩეთების უმაღლესი საბჭო, დახმარების საყოველთაო ისლამური ფონდი და სხვა დაწესებულებებში. პრინცი დაპირდა შიიტებს, რომ განიხილავდა ამ მოთხოვნებს. ამის შემდეგ , 2004 წლის მარტში, საუდის არაბეთში აშშ სახელმწიფო მდივნის - კოლინ პაუელი ვიზიტის წინ, ხელისუფლებამ დააპატიმრა აქტივისტები , და მათ შორის სამი ცნობილი შიიტი ლიდერი, რომლებიც მონაწილეობდნენ რეფორმების პროექტის შედგენაში- ნაჰიბ ალ-ხუნაიზი , ადნან ალ-შუხუსი და ამრ აბუ ხამსინი, რომლებიც შემდეგ გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ ხელს არ მოაწერდნენ მთავრობის საწინააღმდეგო პეტიციას. [33]

შიიტური მოსახლეობის სტატუსი თანამედროვე საუდის არაბეთში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. ერთის მხრივ სამეფოში არ არსებობს იურიდიული პრაქტიკა, რომელიც რაღაც ფორმით ზღუდავს შიიტების სამოქალაქო-სამართლებრივ და სოციალურ-პოლიტიკუ უფლებებს. მათ უფლება აქვთ იმსახურონ არმიაში და პოლიციაში, ეროვნული გვარდიის და უშიშროების სამსახურის ელიტარული ქვედანაყოფის გარდა. თუმცა არსებობს გარკვეული შეზღუდვები. მათთვის საერთოდ მიუწვდომელია დიპლომატიის სფერო. არ

[33] The Shiite Question in Saudi Arabia. Crisis Group Middle East Report No 45, September 19, 2005. გვ. 6

არსებობს შიიტებისათვის სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები, რის გამოც ისინი იძულებული არიან ისლამური განათლება მიიღონ ყუმის, თეირანის , მეშჰედის და სხვა ისლამურ უნივერსიტეტებში. შიიტ ქალებს ეკრძალებათ დაიკავონ ხელმძღვანელი თანამდებობა მათ შორის განათლების სამინისტროს გოგონათა სწავლების დეპარტამენტში .

არც ოფიციალური პირების მიერ და არც საინფორმაციო საშუალებებით არ ხდება შიიტთა უმცირესობების საკითხის მოხსენიება. მეორე მხრივ სუნიტი ულემებისათვის იდეოლოგიურად მიუღებელია შიიზმი. სამეფოში შიიტების მიერ ჩამოყალიბებული თემი განიხილება, როგორც „ სოციალური ანომალია“[34]. ამასთან ისინი შიიტებს სამეფოსათვის პოტენციურ საფრთხედ მიითნევენ

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, საუდის არაბეთის ურთიერთობა ამერიკასთან , მის სტრატეგიულ პარტნიორთან მნიშვნელოვნად შეიცვალა. მას შემდეგ, რაც საუდის არაბეთი დაადანაშაულეს ისლამისტური ორგანიზაციების ფინანსურ დახმარებაში, სამეფოს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს საზოგადოების კონსოლიდაციას. შესაბამისად განხორციელდა ცვლილებები შიიტურ საკითხთან მიმართებაშიც. დაიწყო შიიტთა თვალსაჩინო წარმომადგენლების ჩართვა ადგილობრივ ორგანოებში(პრეფექტურა, მუნიციპალიტეტი) და საკონსულტაცო საბჭოში. 2001 წელს ამ საბჭოს შემადგენლობა 120-ით განისაზღვრა და მათ შორის სამი შიიტია. (Логинов, 2003: 107) 2005 წელს ამ საბჭოს რაოდენობა 150 -მდე გაიზარდა, რომელშიც ოთხი შიიტია. თუმცა ამის პარალელურად გამკაცრდა ხელისუფლების კონტროლი შიიტთა თემის საქმიანობაზე .

2009 წლის დეკემბერში რელიგიურმა პოლიციამ დახურა შიიტური მეჩეთები აღმოსავლეთის პროვინციის ქალაქებში, ხობარი , რას ტანური, ხარფჯა და აბკაიკი , 2010 წლის აპრილში კი დააპატიმრა ამავე პროვინციაში შიიტური თემის რამდენიმე წარმომადგენელი რელიგიური რიტუალების შესრულების გამო სახლში, რისთვისაც მიუსაჯეს ერთთვიანი პატიმრობა.[35]

უკანასკნელ წლებში საუდის არაბეთში განვითარებული მოვლენები ადასტურებს, რომ საუდოს არაბეთის სტაბილურობა დამოკიდებულია ოფიციალური რელიგიური ინსტიტუტების შესაძლებლობაზე- გარდაიქმნას ქვეყანაში არსებული ცვალებადი ვითარების გათვალისწინებით და მმართველი რეჟიმის შესაძლებლობაზე- მისცეს სწორი იმპულსი ამ ტრანსფორმაციას. საუდის

[34] Al-Rasheed,, Madawi. The Shi'a of Saudi Arabia: A minority in Seasch of Cultural Authenticity. BJMES, 1998 გვ. 131

[35] Danied Dignity. Systematic Discrimination and Hostility toward Saudi Shia Citizens.Human Rights Watch. 2009. www.hrw.org გვ. 45-55

არაბეთის მეფის აბდალაჰ იბნ აბდ ალ - აზიზის სიტყვებით, „ რეგიონალური კონფესიური განსხვავებები ზრუნვის ობიექტია და არა საფრთხის ‘’ .

3.2 საუდის არაბეთი და რეგიონალური სახელმწიფოების დაპირისპირება

ყურის გეოპოლიტიკური რეგიონის ჩამოყალიბება განეკუთვნება 1970 -იან წლებს, როდესაც რეგიონის ყველა ქვეყანამ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. რეგიონალიზაციის პროცესს ხელი შეუწყო ნავთობის ფაქტორმა, რომლის მნიშვნელობა გაიზარდა 1973-1974 წლების ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ. XXს-ის 70-იან წლებში ლიკვიდირებული იქნა უცხოური კონცესიები, რომლებსაც მონოპოლიზებული ჰქონდათ ნავთობის მოპოვება ამ ქვეყანაში და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა გადავიდა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. ყურის ქვეყნები გახდა ნახშირწყალბადის რესურსების მსხვილი მიმწოდებელი მსოფლიო ბაზარზე, რამაც გამოიწვია მათი მნიშვნელობის ზრდა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მზარდი ფინანსური შესაძლებლობების წყალობით ამ ქვეყნებმა განამტკიცეს საკუთარი პოლიტიკური პოზიციები და გავლება მსოფლიო პოლიტიკაში.

სპარსეთის ყურის რეგიონი მოიცავს 8 ქვეყანას- არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრამანი, ერაყი, ირანი, ყატარი, ომანი, ქუვეითი, რომელთაც აქვთ გასასვლელი ყურეში. მათ შორის გამოიყოფა 3 რეგიონალური ცენტრი-ირანი , ერაყი და საუდის არაბეთი. თუმცა მათი უპირატესი გავლენა რეგიონში ითვლებოდა კონკრეტული ისტორიული პირობებიდან გამომდინარე. გარკვეულ პერიოდში ირანი ფლობდა უპირატესობას რეგიონში, შემდეგ მოხდა ერაყის პოზიციების გაძლიერება , რაც გახდა მათ შორის რვაწლიანი (1980-1988) დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი. ბოლო პერიოდში საუდის არაბეთმა მოიპოვა პოლიტიკური პრესტიჟი თავისი აქტიური მონაწილეობის გამო ახლოაღმოსავლური კონფლიქტისა და ერაყის კრიზისის დარეგულირებაში და ირანის ბირთვული პროგრამისადმი დაპირისპირების გამო. ამის გარდა, ყურის

სხვა მცირე სახელმწიფოები , რომელთაც საკუთარი ინტერესები აქვთ , მჭიდროდ თანამშრომლობენ საუდის არაბეთთან ეკონომიკურ და სამხედრო სფეროში და ამიტომ რეგიონალური სახელმწიფოების მეტოქეობაში მხარს უჭერენ საუდის სამეფოს რაც მატებს მას პოლიტიკურ ქულებს.

რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა დღეს ეჭვს აღარ იწვევს, რაც დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, ნავთობის რესურსებთან და სტრატეგიულ მდებარეობასთან (ის მდებარეობს აზიის , აფრიკის და ევროპის კონტინენტების გასაყარზე) თუმცა დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ამ რეგიონში მდებარეობს მთავარი მუსლიმური სიწმინდეები, რაც განსაზღვრავს ყურის ქვეყნების განსაკუთრებულ სტატუსს მუსლიმურ ქვეყნებში.

1970-იანი წლები ყურის რეგიონში აღინიშნა განსაზღვრული ინტეგრაციული ტენდენციებით. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე , უპირველეს ყოვლისა , სანავთობო სფეროში, ყურის ქვეყნები ადგენდნენ პროექტებს რეგიონალური გაერთიანებების შესაქმნელად. ამ გეგმაში ყველაზე მეტ აქტიურობას იჩენდა ირანი. 1971 და 1975 წწ. მან შესთავაზა ყურის ქვეყნებს თავისი პროექტები ერთიანი თავდაცვითი ბლოკის შესაქმნელად, მაგრამ მხარდაჭერა ვერ მიიღო საუდის არაბეთისაგან, რომელიც უნდობლობით უყურებდა შაჰის ირანის რეგიონალური პოზიციების გაძლიერებას. 1976 წ ერთ-ერთ კონფერენციაზე , რომელშიც მონაწილეობა მიიღო ყურის ყველა ქვეყანამ , წარმოდგენილ იქნა სამი პროექტი (ირანის , ერაყის და ომანის მიერ) უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის რეგიონის ქვეყნების გაერთიანებული ძალებით. მართალია, ეს პროექტები არ მიიღეს მაგრამ მათი განხილვა მოწმობდა, რომ რეგიონის ქვეყნები აცნობიერებდნენ თანამშრომლობის-რეგიონალური ერთობის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

რეგიონალური ურთიერთობების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ისლამურმა რევოლუციამ, აქცენტი გადატანილ იქნა ისლამზე, როგორც რეგიონის ყველა ქვეყნის სახელმწიფო იდეოლოგიაზე, ირანის გაძლიერებამ გამოიწვია მეზობელი არაბული ქვეყნების შეშფოთება, რადგანაც ისინი ეკუთვნოდნენ ერთიან არაბულ გეოპოლიტიკურ სივრცეს და თავიაანთი საშინაო და საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიურ საფუძვლად მიიჩნევდნენ არაბული ნაციონალიზმის იდეებისადმი ერთგულებას. ყველაზე მწვავე რეაქცია ჰქონდა ერაყს, რომელმაც ეგვიპტის მიერ კემპ-დევიდის ხელშეკრულების დადების შემდეგ, დაიკავა

არაბული სამყაროს ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია. 1980-1988 წწ. ირან -ერაყის ომმა გამოიწვია რეგიონალური ურთიერთობების შემდგომი კრისტალიზაცია.

1981 წელს არაბეთის ნახევარკუნძულის 6 მონარქია (საუდის არაბეთი,არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრაინი, ყატარი, ომანი, ქუვეითი) გაერთიანდა ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო-ში. ეს რეგიონალური ორგანიზაცია დღეს არის ყველაზე წარმატებული არაბულ სამყაროში. მასში შედიან ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მოწინავე ქვეყნები, რომლებიც ნავთობისა და გაზის კოლოსალური მარაგის წყალობით ანვითარებდნენ ეკონომიკას და დიდ თანხებს აბანდებდნენ სოციალურ სფეროში. ისინი ეროვნული შემოსავლებით (მათ შორის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებით) მნიშვნელოვნად განსხვავდებიან არაბული ქვეყნებისაგან. ეს ქვეყნები დონორის როლს ასრულებენ ნაკლებად განვითარებულ არაბულ ქვეყნებში. ეკონომიკური კავშირების თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება წევრ-ქვეყნებშ შორის თანამშრომლობას. ორგანიზაციის საფუძველია საუდის არაბეთი, სადაც თავმოყრილია ეკონომიკური რესურსების პოტენციალის ძირითადი ნაწილი და აქვს დიდი პოლიტიკური წონა, როგორც არაბულ სამყაროში ისე მის ფარგლებს გარეთ. თუმცა ყურის თითოეული ეს ქვეყანა გამოირჩევა თავისი სპეციფიკით და ცდილობს საკუთარი უპირატესობის წარმოჩენას, რასაც ზოგჯერ მოსდევს არატრადიციული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და თანამშრომლობის საბჭოს პოლიტიკური კურსიდან გადახვევა. მაგ: ყატარმა, საბჭოს წევრი სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, დაიწყო ურთიერთობის განვითარება ისრაელთან.

(სპარსეთის) ყურის თანამშრომლობის საბჭო 1981 წლის 25 მაისს შეიქმნა საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში. მისი დამფუძნებელი წევრები არიან 6 არაბული მონარქია: საუდის არაბეთის სამეფო, არაბთა გაერთიანებული საემიროები, კატარი, ომანის სულთანატი, ბაჰრეინის სამეფო და ქუვეიტი. წევრთა რაოდენობა დღემდე არ შეცვლილა. დამფუძნებელი ხელშეკრულების მეოთხე თავში გადმოცემულია ამ ორგანიზაციის მიზნები: წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანობის მიღწევის მიზნით ორგანიზაციამ გავლენა უნდა მოახდინოს მათ შორის თანამშრომლობაზე, ინტეგრაციასა და ურთიერთკავშირზე ყველა სფეროში. ეს სფეროებია: ეკონომიკა და ფინანსები; საბაჟო საქმიანობა, ვაჭრობა და კომუნიკაციები; განათლება და კულტურა. ორგანიზაციის მიზნებშივე მოხსენებულია რომ უნდა მოახდინოს სამეცნიერო და ტექნოლოგიური წინსვლის სტიმულირება წიაღისეულის მოპოვების, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და წყლის რესურსების მენეჯმენტის სფეროებში.[2] ამ მიზნების მისაღწევად

საბჭოს ორი მნიშვნელოვანი ორგანო აქვს: მინისტრთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს კოორდინირებულ პოლიტიკას სხვადასხვა სფეროებში და უმაღლესი საბჭო, რომელსაც ევალება გადახედოს მინისტრთა საბჭოს პროექტებს, სურვილისამებრ შეიტანოს ცვლილებები და შემდეგ მინისტრთა საბჭოს დაუბრუნოს იმპლემენტაციისთვის.

2003 წელს ძალაში შევიდა საბაჟო გაერთიანება, რომლის მიხედვით დაწესდა ერთიანი ტარიფები გარეშე ქვეყნებისთვის და წევრ ქვეყნებს შორის გაუქმდა ისინი.

2009 წლის დეკემბერში გამართულ დოჰას სამიტზე წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ შექმნილიყო ერთიანი ბაზარი, მონეტარული სისტემა და საერთო ვალუტა. ამ შეთანხმების მიხედვით, GCC-ს წევრი ქვეყნების ნებისმიერ მოქალაქეს GCC-ს ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე ენიჭება სრული თავისუფლება დასაქმების, ჯანდაცვის, განათლების და რაც მთავარია ეკონომიკური საქმიანობის.

მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ 1984 წელს ორგანიზაციამ შექმნა ”ნახევარკუნძულის ფარის ძალები” (The Peninsula Shield Force - PSF) რომელშიც ექვსივე ქვეყნის სამხედრო ნაწილები შედიოდნენ, ხოლო 2011 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, PSF-ს რაოდენობის 30 000 ჯარისკაცამდე გაზრდის შესახებ. წევრ ქვეყნებს შორის ასევე დადებულია ხელშეკრულება სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარების შესახებ (2004). (შედარებისთვის: 1984 წელს ევროგაერთიანებას საერთო საგარეო პოლიტიკა ჩანასახში თუ ჰქონდა, ხოლო საერთო თავდაცვის პოლიტიკაზე სერიოზულად არც ფიქრობდნენ)

2012 წლის მარტში ცნობილი გახდა ერ-რიადის სამიტის შეთანხმების შესახებ, სადაც ლიდერებმა მიიღეს გადაწყვეტილება რეგიონული ბლოკი GCC კონფედერაციად (GC – Gulf Confederation) ექციათ, თუმცა ექვსივე ქვეყანა იქნებოდა დამოუკიდებელი და სუვერენული. GCC -ს ექნება საელჩო სხვა ქვეყნებში, რომელიც ჩაანაცვლებს წევრი ქვეყნების დანარჩენს საელჩოებს და ანალოგიურად უცხო ქვეყნებსაც ეყოლებათ საელჩოები ყურის კონფედერაციაში.

არის თუ არა GCC რეგიონი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში ანსი პაასის რეგიონული ინსტიტუციონალიზაციის თეორია დაგვეხმარება. თუმცა ჯერ უმჯობესი იქნება ვეძებოთ საერთო მახასიათებლები წევრ-სახელმწიფოებს შორის.

პირველ რიგში მათ საერთო აქვთ რელიგია - ისლამი; ასევე სასაუბრო ენაც - არაბული; კოლონიური წარსული - ყველა მათგანი ბრიტანეთის კოლონიას ან პროტექტორატს წარმოადგენდა. მათ აერთიანებთ პრობლემები მტკნარი წყლის რესურსებთან დაკავშირებით. ყველა წევრი სახელმწიფოს მმართველობის სისტემა მემკვიდრეობითი მონარქიაა; ამ ქვეყნებში ძირითადი სამაუწყებლო არხი ალ-ჯაზირაა. 6 წევრიდან 4 - საუდის არაბეთის სამეფო, ქუვეითი, კატარი, არაბთა

გაერთიანებული საემიროები - უმსხვილესი ნავთობკარტელის - "ოპეკის" წევრები არიან; ახლა მივყვეთ პაასის რეგიონის ინსტიტუცონალიზაციის საფეხურებს:

ტერიტორიის ფორმირება - რეგიონის საზღვრები გამოკვეთილია - საბაჟო გაერთიანებამ და ერთიანი ბაზრის შექმნამ აშკარა გახადა დემარკაცია რეგიონს შიგნით და მის გარეთ.

სიმბოლური ფორმირება - როგორც ვიცით, ისლამი ეროვნებას არ ცნობს. ხოლო GCC-ს ექვსივე წევრის რელიგია ისლამია. საუდის არაბეთში მდებარეობს მექა და მედინა, მუსლიმთა წმინდა ადგილები. ისლამი კი იმდენად ყოვლისმომცველი რელიგიაა, რომ კულტურისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებაში წამყვან როლს თამაშობს.

ინსტიტუციური ფორმირება - რეგიონს ჰყავს ინსტიტუციური მმარველობის ორგანო GCC-ს Supreme Council, რომელიც არის გადაწყვეტილების მიმღები და წარმართავს საერთორეგიონულ პოლიტიკას, რომელიც, რა თქმა უნდა, წევრი ქვეყნების კოორდინირებული მუშაობის შედეგია. ეს ორგანო ზრუნავს რეგიონული ერთობის შენარჩუნებაზე.

რეგიონის ჩამოყალიბება და რეგიონული ცნობიერების შექმნა - ის ფაქტი, რომ (სპარსეთის) ყურის თანამშრომლობის საბჭო უნდა გადაკეთდეს ყურის კონფედერაციად ამის კარგი მაჩვენებელია, კერძოდ იმაზე მიუთითებს რომ იგი საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე იმოქმედებს როგორც ერთიანი აქტორი. რეგიონული ცნობიერების ჩამოყალიბებას და მის აღქმას რეგიონად ასევე ხელშემწყობი ფაქტორია, რომ საელჩოები სხვადასხვა ქვეყნებში გაიხსნება არა როგორც ცალკეული ქუვეიტის, არაბთა საემიროები, ან საუდის არაბეთის, არამედ როგორც ყურის კონფედერაციის საელჩო. მნიშვნელოვანი ფაქტია საერთო ბაზარი და საბაჟო სისტემის გამარტივება. გადაადგილება თავისუფალი იქნება რეგიონულ ერთეულს შიგნით, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მოსახლეობაში რეგიონული ერთობის შეგრძნებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ რომ GCC უკვე ჩამოყალიბებულია როგორც რეგიონი.

1979 წელს ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია, ხოლო ქვეყანამ საგარეო პოლიტიკურ კურსად გამოაცხადა ისლამური რევოლუციის ექსპორტი და ამ მიმართულებით აქტიური ქმედებები წამოიწყო ლიბანში, ამ დროისთვის კი სპარსეთის ყურის უმრავლეს ქვეყნებში გვაქვს მემკვიდრეობითი მონარქიები (გარდა სეკულარული ერაყისა და რადიკალური ისლამური ირანისა).

ნეორეალიზმი რეგიონულ ინტეგრაციას განიხილავს როგორც რეაქციას გარე ფაქტორებზე (გარედან შიგნით). ყურადღებას ამახვილებს სისტემის შეზღუდულობასა და ძალისმიერი პოლიტიკის მნიშვნელობაზე. ამ ხედვით, რეგიონი არის ალიანსის შექმნის მცდელობა საერთო გარე საფრთხის წინააღმდეგ. სწორედ ეს მოხდა GCC-ს შემთხვევაში - ყურის მონარქიულმა სახელმწიფოებმა უზარმაზარი და რევოლუციონისტურად განწყობილი ირანი აღიქვეს საფრთხედ - შეიძლება ითქვას რომ ადგილი ჰქონდა მონარქიულ-ავტორიტარულ სოლიდარობას - მსგავსი რეჟიმები გაერთიანდნენ საერთო საფრთხის წინააღმეგ და შექმნეს GCC ირანისგან მომავალი რევოლუციური საფრთხის აღსაკვეთად.

რაც შეეხება შემდგომ ინტეგრაციას, აქ უკვე ნეორეალიზმი აღარ გამოდგება, რადგან იგი სისტემური დონის თეორიაა. უფრო რომ დავაზუსტოთ, დროთა განმავლობაში ისლამური რევოლუციის საფრთხე განელდა და ინტეგრაცია სხვადასხვა სფეროებში უფრო გაღრმავდა, რაზეც საბაჟო გაერთიანება, საერთო ბაზარი, ერთიანი მონეტარული სისტემის პროექტი და კონფედერაციის ინიციატივა აგვირგვინებს.

2002 წლის ოქტომბერში ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება შეექმნათ კიდევ ერთი ორგანო თავდაცვის სფეროში კოორდინაციისათვის- უმაღლესი სამხედრო კომიტეტი კოლექტიური უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის გაზრდისათვის. არაბული მონარქიების სამხედრო თანამშრომლობა დაიწყო 1980 წელს როდესაც გართულდა სპარსეთის ყურის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ირან-ერაყის ომის გამო. 1983 წელს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე დაიწყო ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შექმნა- „ნახევარკუნძულის ფარი“, მაგრამ დღეისათვის არაბული მონარქიების ინტეგრაცია სამხედრო სფეროში ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

ყურის რეგიონი ბოლო პერიოდში მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ იმ ფაქტთან, რომ აქ თავმოყრილია ნავთობისა და გაზის რესურსების მსოფლიო მარაგის ყველაზე

მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ რეგიონის სახელმწიფოში მიმდინარე კარდინალურ ცვლილებებთან.

ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია[36] (იკო)- [ალ- მუნაზზამა ალ მუ'თამარ ალ-ისლამი; Organization the Islamic Conference , OIC] _ საერთაშორისო სამთავრობო ისლამური ორგანიზაცია. შეიქმნა 1971 წელს, მაისში, ჯიდაში(საუდის არაბეთი) , იმ გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომლებიც მიიღეს 1969 წ. სექტემბერში რაბათში(მოროკო) მუსლიმი მეფეების, ისლამური სახელმწიფოებისა და მტავრობის მეთაირების I კონფერენციაზე, ისლამური სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციებზე : 1970 წ მარტში ჯიდასა და იმავე წლის დეკემბერში- ყატარში (პაკისტანი) . 1972 წლის მარტში მისი წესდება მოიწონა საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის მესამე სესიამ, რომელიც ჯიდაში შედგა.

იკო შექმნილია რელიგიურ საფუძველზე და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში რელიგია - ისლამი თამაშობს მთავარ როლს. ითვლება, რომ მასში გაწევრიანების უფლება აქვთ მხოლოდ მუსლიმურ ქვეყნებს, თუმცა როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, იკო-ს ზოგიერთ წევრ -სახელმწიფოში ისლამს არ აღიარებს მოსახლეობის დიდი ნაწილი.

იკო-ში ამჟამად 54 წევრია: ავღანეთი, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ალჟირი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბანგლადეში, ბაჰრეინი, ბენინი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბრუნეი დარ უსსალამი, ბურკინა ფასო, გაბონი, გამბია, გვინეა, გვინეა ბისაუ, ეგვიპტე , ერაყი , თუნისი, თურქეთი, თურქმენეთი, იემენი, ინდონეზია, იორდანია , ირანი, კამერუნი, კატარი, კომორის კუნძულები, ლიბანი , ლიბია , მავრიტანია, მალაიზია, მალდივის რესპუბლიკა, მალი, მოროკო, ნიგერიამ ომანი, ჰაკისტანი, პალესტინის ავტონიმია, საუდის არაბეთი, სენეგალი, სიერა ლეონე, სირია, სომალი, სუდანი, სურინამი, ტანზანია, ტაჯიკისტანი, უზბეკეთი, უგანდა , ქუვეითი , ყირგიზეთი, ჩადი , ჯიბუტი. (სტატისტიკური მონაცემები იკო-ს წევრ-სახელმწიფოთა შესახებ იხ. დამატება II) . დამკვირვებლის სტატუსი აქვთ კვიპროსის ფედერალური სახელმწიფოს მუსლიმურ თემს (რომელმაც 1983 წ. გამოაცხადა ჩრდ. კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა) და მოზამბიკს.

იკო-ს მიზნებია : 1. ხელი შეუწყოს ისლამურ სოლიდარობას მის წევრ-სახელმწიფოთა შორის, 2. განამტკიცოს მათი თანამშრომლობა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამეცნიერო და სხვა სფეროებში , მოაწყოს კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციების წევრ- სახელმწიფოებთან, 3.

[36] ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი თბილისი 1999 გვ.98

მოსპოს რასობრივი სეგრეგაზია და დისკრიმინაცია, აღმოფხვრას კოლონიალიზმი ყველა სფეროში, 4. მიიღოს აუცილებელი ზომები სამართლიანობაზე დამყარებული საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხარდასაჭერად, 5. მოახდინოს ყველა ღონისძიების კოორდინაცია წმინდა ადგილების დასაცავად და მხარი დაუჭიროს პალესტინის ხალხის ბრძოლას. დაეხმაროს მას თავისი უფლებების აღდგენასა და თავისი მიწა-წყლის განთავისუფლებაში, 6. გააძლიეროს ყველა მუსლიმის ბრძოლა თავიაანთი ღირსების, დამოუკიდებლობისა და ეროვნული უფლებების დასაცავად, 7. შექმნას ხელსაყრელი ატმოსფერო წევრ-სახელმწიფოთა და სხვა ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების გასავითარებლად.

იკო-ს სტრუქტურა. ორგანიზაციის უზენაესი ორგანოა მუსლიმი მეფეების ისლამური სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების ისლამური კონფერენცია (სამიტი) რომელსაც იწვევენ სამ წელიწადში ერთხელ. სხდომებს სამი წლის განმავლობაში თავმჯდომარეობს ორგანიზატორი. დღემდე ჩატარდა 8 სამიტი (უკანასკნელად- 9-11. XII. 1997 წ. თეირანში). რომელთაც თავმჯდომარეობდნენ საუდის არაბეთი , პაკისტანი , სენეგალი, ქუვეითი, მოროკო (სამჯერ) და ირანი. იკო-ს გენერალური პოლიტიკის განხორციელების საშუალებებს განიხილავს ისლამური საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია რომელსაც იწვევენ ყოველწლიურად. აღმასრულებელი ორგანოა გენერალური სამდივნო. მას ხელმძღვანელობს ისლამური სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის მიერ ოთხი წლის ვადით არჩეული გენერალური მდივანი (ამჟამად დოქტ. ჰამედ ალ- ღაბიდი ნიგერიიდან), რომელსაც ჰყავს ოთხი თანაშემწე. სამდივნოს საქმეები განაწილებულია დეპარტამენტებში , რომელთა ხელმძღვანელები (უპირატესად გენერალური მდივნის თანაშემწეები) პასუხისმგებლები არიან გენერალური მდივნის წინაშე. იკო-ს საქმიანობის განსახორციელებლად შექმნილია სპეციალიზებული კომიტეტები: იერუსალიმის (ალ -კუდსის); ინფორმაციის კულტურისა და სოციალურ საქმეთა მუდმივი ისლამური კომიტეტი; სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივი კომიტეტი; სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობის იკო-ს მუდმივი კომიტეტი; მშვიდობის ისლამური კომიტეტი, ეკონომიკის, კულტურის და სოციალური საქმეების ისლამური კომისია; მუდმივი საფინანსო კომიტეტი, საფინანსო კონტროლის ორგანო; ავღანეთის, სამხრეთ აფრიკისა და ნამიბიის , საჰილის ხალხებთან ისლამური სოლიდანობის, ფილიპინების მუსლიმთა მდგომარეობის კომიტეტები, პალესტინის 6-წევრიანი კომიტეტი; ბოსნია-ჰერცოგოვინას საკონტაქტო ჯგუფი; იკო-ს დამხმარე ორგანოებია: ისლამური ფიკჰის (იურისპრუდენციის) აკადემია; ვაჭრობის განვითარების ისლამური

ცენტრი; ტექნიკური და პროფესიული მომზადების და კვლევის ისლამური ცენტრი; ისლამური ქვეყნების სტატისტიკური, ეკონომიკური, სოციალური მომზადების ცენტრი, ისლამური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო კომისია; ისლამური სოლიდარობის ფონდი, მეცნიერების , ტექნოლოგიისა და განვითარების ისლამური ფონდი. იკო-ს ეკუთვნის ნიგერიისა და უგანდის ისლამური უნივერსიტეტები. იკო-ს სპეციალური ორგანოებია : ისლამური საერთაშორისო ახალი ამბების სააგენტო; ისლამური განვითარების ბანკი; საერთაშორისო ნახევარმთვარის ოსლამური კომიტეტი, ისლამური საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია; ისლამური სახელმწიფოების რადიომაუწყებლობის ორგანიზაცია; ისლამური მთავრობის ახალი ამბების ორგანიზაცია. საფილიალო დაწესებულებებია: მრჩეველთა ფედერაცია ისლამური ქვეყნებიდან, გემთმფლობელობის ისლამური ასოციაცია; ცემენტის ისლამური პალატა; სპორტის ისლამური სოლიდარობის ფედერაცია; ისლამური დედა ქალაქებისა და ქალაქების ორგანიზაცია; არაბულ-ისლამური საერთაშორისო სკოლების მსოფლიო ფედერაცია: ისლამური ბანკების საერთაშორისო ასოციაცია.

იკო-ს სამუშაო ენებია: არაბული, ინგლისური და ფრანგული. მისი მუდმივი შტატი 140 თანამშრომელზე მეტია, ადმინისტრაციის და იკო-ს მოღვაწეობის ხარჯებს ფარავენ წევრი-სახელმწიფოები ეროვნული შემოსავლის შესაბამისად.

იკო ახორციელებს ღონისძიებებს ისლამის სიწმინდის დასაცავად. 1989 წ. ისლამური ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ სარწმუნოებიდან განდგომილად გამოაცხადა „სატანური ლექსების“ ავტორი სალმან რუში და მოითხოვა ამ ნაწარმოების ამოღება გაყიდვიდან. მან მოუწოდა თავის წევრ სახელმწიფოებს გამოეცხადებინათ ბოიკოტი იმ გამომცემლობებისათვის, რომლებიც უარს განაცხადებდნენ რუშდის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე. იკო ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს მუსლიმურ თემებს, რომლებიც დაზარალდნენ ომებში და ბუნებრივი კატასტროფების დროს. მან დახმარება აღმოუჩინა გვალვით დაზარალებულ საჰილის ქვეყნებს (ბურკინა ფასო, ჩადი, გამბია, გვინეა, გვინეა ბისაუ, მალი, მავრიტანია, ნიგერი, სენეგალი) 1993 წ აპრილში ომით დაზარალებულმა ბოსნია-ჰერცოგოვინას მოსახლეობამ იკო-სგან დახმარების სახით მიიღო 80 მლნ აშშ-ს დოლარი.

იკო აქტიურია პოლიტიკურ სფეროში. 1980 წ იანვარში ისლამური ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ მოითხოვა საბჭოთა ჯარების დაუყონებლივი გაყვანა ავღანეთიდან. ის მხარს უჭერდა

პალესტინელებს. 1981 წ , ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის სამიტმა გამოაცხადა ჯიჰადი „ იერუსალიმის და ოკუპირებული ტერიტორიების გასათავისუფლებლად“ . 1982 წ. ისლამური საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო ისრაელის ბოიკოტისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ისლამური ბიუროები. 1990 წ. აგვისტოში ისლამური საგარეო საქმეთა მინისტრების უმრავლესობამ დაგმო ერაყის ჯარების გაყვანა ქუვეითიდან, 1991წ. კი უარი თქვა ერაყის მოთხოვნაზე მოეხსნათ მისთვის ეკონომიკური სანქციები. იკო მხარს უჭერდა ბოსნია-ჰერცოგოვინის მუსლიმურ მოსახლეობას , ინდოეთის შტატების-ჯამუს და ქიშმირის მუსლიმთა უფლებებს, იკო-მ დაგმო სომხეთის პოზიცია აზერბაიჯანთან კონფლიქტში. უკანასკნელ VIII სამიტზე (9-11. XII. 1997 წ.) თეირანში მიღებულ იქნა რეზოლუცია აზერბაიჯანის წინააღმდეგ სომხეთის აგრესიის შესახებ.

იკო-მ დღის წესრიგში დააყენა საერთო ისლამური ბაზრის შექმნა, რომელიც მოიცავს დედამიწის 26 მლნ.კვ.კმ-ზე მეტ ფართობზე მცხოვრებ 1 მილიარდზე მეტ მუსლიმს.

არაბული სამყაროს ბოლო პერიოდის ისტორიაში იყო მცდელობები ერთიანი ხალიფატის აღდგენისა, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს ვერ განხორციელდა არაბთა ლიგის ჩამოყალიბებამდე.

შეთანხმებას არაბული სახელმწიფოების ლიგის შექმნის შესახებ ხელი მოეწერა 1945 წლის 22 მარტს კაიროში. ხელმომწერ ქვეყნებს თავდაპირველად წარმოადგენდნენ ეგვიპტე, ერაყი, ლიბანი, საუდის არაბეთი, სირია, ტრანსიორდანია (ამჟამინდელი იორდანია) და იემენი. მოგვიანებით ლიგას შეუერთდნენ სხვა არაბული ქვეყნებიც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ჩათვლით. ლიგის შექმნის მიზანს წარმოადგენდა არაბული ტერიტორიების გაერთიანება ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. მისი წევრები ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ ისრაელის სახელმწიფოს შექმნას და მხარს უჭერდნენ პალესტინის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ლიგის უმაღლესი ორგანოა ლიგის საბჭო, რომელშიც ყოველ წევრ სახელმწიფოს საკუთარი ერთი წარმომადგენელი ჰყავს. ლიგის სტრუქტურაშია ასევე სამდივნო, ეკონომიკური საბჭო, თავდაცვის გაერთიანებული კომიტეტი და სხვა მრავალი კომიტეტები. შტაბ-ბინა მდებარეობს კაიროში.

1950 წლიდან არაბული სახელმწიფოების ლიგას გაეროს ეგიდით მიენიჭა დამკვირვებლის სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ ლიგის წევრ სახელმწიფოებს შორის არ სუფევს ერთიანი აზრი. მათ ასევე არ გააჩნიათ ერთიანი პოლიტიკური ხედვა. სწორად ამ გარემოების გამო ლიგა მაინც ფორმალური ხასიათის გაერთიანებად რჩება. წევრთა უმეტესობას პროდასავლურად განწყობილი სახელმწიფოები წარმოადგენენ.

1967 წელს ისრაელთან არაბების დამარცხების შემდეგ ლიგის წევრების ხედვა ისრაელის კონფლიქტის დარეგულირების საკითხთან დაკავშირებით კვლავ ორად გაიყო. კერძოდ ალჟირი, ერაყი და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია შეეწინააღმდეგენ ეგვიპტისა და იორდანიის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე ხელისმოწერას, რომელიც შემუშავებულ იქნა აშშ-ს მიერ.

1979 წელს ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ ლიგის წევრებმა მოითხოვეს ეგვიპტის გარიცხვა კავშირიდან და შტაბბინის კაიროდან გადატანა. ეგვიპტე ლიგას კვლავ დაუბრუნდა 1989 წელს. ლიგის წევრებს შორის განხეთქილება კვლავ გამოიწვია სპარსეთის ყურის პირველმა კონფლიქტმა 1990-1991 წლებში, როდესაც ანტიერაყული კოალიცია – საუდის არაბეთი, ეგვიპტე, სირია და მაროკო შეეწინააღმდეგენ იორდანიას, იემენს და ლიბიას.

ლიგის მიერ განხორციელებულ კულტურულ პროექტებს შორის გამოირჩევა კაიროში არაბული კვლევების უმაღლესი ინსტიტუტის დაარსება და არაბულ სამყაროსთან დაკავშირებით მრავალი სამეცნიერო კონფერენციების გამართვა.

ბაღდადის პაქტი არის 1955 წელს გაფორმებული ხელშეკრულება თურქეთს,ირანს ,ერაყს,დიდ ბრიტანეთს და პაკისტანს შორის.ეს პაქტი წარმოადგენდა თავდაცვით ორგანიზაციას და დაფუძნებული იყო სამხედრო და ეკონომიკურ მიზნებზე.ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაციის მსგავსად,ბაღდადის პაქტის მთავარი მიზანი იყო,კომუნისტური თავდასხმების თავიდან აცილება და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება.1958 წელს ერაყში მოხდა რევოლუცია,რის შედეგადაც დაემხო მონარქია და ერაყი გახდა რესპუბლიკა.ამის შემდეგ ერაყის ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა გამოსულიყო ბაღდადის პაქტიდან,რომელიც მისთვის არ იყო ხელსაყრელი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება.

1959 წელს მას ეწოდა ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია ანუ CENTO,მას შემდეგ რაც ერაყმა დატოვა პაქტი.

1950-იანი წლების დასაწყისში შეერთებული შტატების მთავრობა გამოხატავდა ინტერესს შეექმნა ახლო აღმოსავლეთის ოლქი,რათა რეგიონი დაეცვა კომუნისტთა ხელყოფისაგან და საბჭოთა კავშირის გავლენისაგან,რადგანაც 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან რეგიონში გაიზარდა აშშ-ს გავლენა,რომელმაც დიდი ბრიტანეთი ჩაანაცვლა.აშშ-ს სურვილი იყო ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სსრკ-ს პოლიტიკური გავლენა შეესუსტებინა და ის ამისთვის სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავდა და ერთ-ერთი მათგანი იყო „ბაღდადის პაქტი“.რეგიონში მიმდინარე ზოგიერთ დაძაბულობას ,როგორიცაა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის კონფლიქტი და ეგვიპტის ხელმძღვანლობით ანტი-კოლონიალისტური პოლიტიკა,ეს პრობლემები ამ ალიანსს უნდა მოეწესრიგებინა და ყოფილიყო რეგიონში აშშ-ს ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური დასაყრდენი. ფაქტია რომ აშშ-მ თავისი ყურადღება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე, უფრო შორს გადაიტანა რაც გულისხმობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საზღვრების ჩამოყალიბებას.ის ფიქრობდა,რომ ახლო აღმოსავლეთში არსებული პრობლემები,მათ შორის,ისეთები როგორიცაა საზღვრების პრობლემა უფრო მარტივად უნდა მოგვარებულიყო ბაღდადის პაქტში შემავალი ქვეყნების მეშვეობით.ბაღდადის პაქტის იდეა იყო, რომ ის დააკავშირებდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებს ნატოსთან,თურქეთთან,სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის კოლექტიური უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციასთან და პაკისტანთან.

აღნიშნული ორგანიზაციის ჩამოყალიბება ერთბაშად არ მომხდარა.ის ასე დაიწყო;ჯერ თურქეთმა და პაკისტანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას 1954 წელს,რეგიონში უსაფრთხოების და სტაბილურობის გაზრდის მიზნით,შემდეგ 1955 წლის თებერვალში თურქეთმა და ერაყმა ხელი მოაწერეს „ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას“ ბაღდადში რომლის მიხედვითაც ისინი წინააღმდეგობას გაუწევდნენ აგრესიას.

აპრილში გაერთიანებულმა სამეფომ გამოაცხადა რომ დაიცავდა კონტრაქტის პირობებს და მას მიჰყვა პაკისტანი და საბოლოოდ ირანიც.

იორდანიის მეფე განიხილავდა რომ შეერთებოდა აღნიშნულ ბაღდადის პაქტს, მაგრამ მან ვერ შეძლო მასში გაწევრიანება,რადგან მისი და პაქტის პოზიციები არ ემთხვეოდა ერთმანეთს.

აშშ-მ ხელი მოაწერა ინდივიდუალურ ხელშეკრულებას პაქტის წევრ ყველა ქვეყანასთან,მაგრამ ის ფორმალურად არ შეერთებია ამ ორგანიზაციას.მიუხედავად ამისა მან მონაწილეობა მიიღო ბაღდადის პაქტის კომიტეტის სხდომებში და იგი იყო ასევე როგორც დამკვირვებელი.

წლების განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს ახლო აღმოსავლეთში მოჰყვა პაქტის შესუსტება.1956 წელს ეგვიპტის ლიდერმა გამალ აბდ ალ ნესერმა მოახდინა სუეცის არხის ნაციონალიზაცია (1956წ.).

ისრაელი გამოეხმაურა სინაის ნახევარკუნძულზე ბრიტანეთისა და საფრანგეთის ძალების ჩარევას.ინციდენტის შედეგად რეგიონში ბრიტანეთის პრესტიჟი შეილახა და ამან ინგლისს ლიდერის პოზიციებიც დაათმობინა პაქტში.

1958 წლის მოვლენების სერია,რომელიც მოიცავდა ეგვიპტე-სირიის კავშირს,მათ გაერთიანებას ერთიან არაბულ სახელმწიფოდ,ერაყის რევოლუციას და ლიბანის სამოქალაქო არეულობას,საფრთხეს უქმნიდა რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას.

1959 წელს ერაყმა განაცხადა რომ სურდა პაქტის დატოვება და ამის გამო ბაღდადის პაქტის რეიტინგი რეგიონში კიდევ უფრო დაეცა.ის თავს ვეღარ ართმევდა გამკლავებოდა რეგიონში არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებას.1959 წელს ერაყმა ბაღდადის პაქტი დატოვა. ბაღდადის პაქტის სხვა ხელმომწერებმა შექმნეს ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია CENTO.მიუხედავად იმისა რომ,აშშ ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზაციის წევრი ხელი მოაწერა ორმხრივ დახმარების ხელშეკრულებებს პაკისტანთან,ირანთან და თურქეთთან რითაც უზრუნველყო ის, რომ იგი აქტიურია და გააგრძელებს წევრების მხარდაჭერას.

CENTO არასდროს არ ყოფილა თავის წევრების კოლექტიური დაცვის გარანტია.ბაღდადის პაქტიდან ერაყის გასვლის შემდეგ, CENTO-ს ცენტრმა გადაინაცვლა ანკარაში,თურქეთში და ამერიკამ განაგრძო ორგანიზაციის მხარდაჭერა როგორც ასოციაციის და არა როგორც CENTO-ს წევრმა. CENTO-ს არასდროს შეუქმნია მუდმივი შეიარაღებული ძალები მაგრამ ამერიკა მას ამ მხრივ დახმარებას უწევდა.ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის დასასრულს ნათელი გახდა CENTO-ს წევრებისთვის რომ ორგანიზაცია უფრო ეფექტური იყო ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობისთვის ვიდრე როგორც სამხედრო ალიანსი. CENTO 1979 წელს ოფიციალურად დაიშალა[37]

ბაღდადის პაქტში ერაყისა და ირანის ერთობლივი თანაარსებობა მიუხედავად მათი განსხვავებული პოლიტიკური ხედვებისა მაინც მნიშვნელოვანი მოვლენაა.ერთ სამხედრო ორგანიზაციაში მათი წევრობა იმაზე მიუთითებდა,რომ ერაყმა და ირანმა შეძლეს საერთო ენის გამონახვა.ამ ქვეყნებმა

[37] The Baghdad Pact (1955) and the Central Treaty Organization (CENTO) გვ.1. https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/lw/98683.htm

პაქტში ერთად სულ 4 წელი დაჰყვეს.როგორც უკვე ავღნიშნეთ ბაღდადის პაქტი 1959 წელს დაიშალა,რამაც მათ საგარეო პოლიტიკურ კურსში განსხვავებულობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.იმ პერიოდისათვის ერაყთან შედარებით ირანს გაცილებით კარგი მდგომარეობა ჰქონდა და რაც მთავარია მისი მოკავშირე იყო აშშ.

ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ინგლისური centreal treaty organization - CENTO) - ე.წ. ბაღდადის პაქტი, სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ახლო და შუა აღმოსავლეთში. იგი შეიქმნა 1955 წელს დიდი ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით. დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ერაყის, ირანისა და პაკისტანის შემადგენლობით. 1958 წელს კავშირიდან ერაყის გასვლამდე ეწოდებოდა ბაღდადის პაქტი. აშშ არ შევიდა ბლოკში და დასჯერდა მეთვალყურის სტატუსს, მაგრამ ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა მის მუშაობას. სენტოს მთავარი ორგანოები იყო მუდმივი მინისტრთა საბჭო, სამდივნო და 4 კომიტეტი (სამხედრო,

"ძირგამომთხრელი საქმიანობის" წინააღმდეგ ბრძოლის, ეკონომიკის და კავშირგაბმულობის). ჰქონდა სამხედრო დაგეგმვის გაერთიანებული შტაბი, მთელი რიგი ქვეკომიტეტები და ტექნიკური ჯგუფები. რეგულარულად ეწყობოდა შეიარაღებული ძალების ერთობლივი წვრთნები და მანევრები. ბლოკის შიგნით არსებულმა, აგრეთვე მის დასავლელ და აღმოსავლელ პარტნიორებს შორის წამოჭრილმა წინააღმდეგობებმა 1979 წელს გამოიწვიეს სენტოს დაშლა.

3.3 ადამიანის უფლებები და საუდის არაბეთის პრობლემები საგარეო ურთიერთობებში

ადამიანის უფლებები საუდის არაბეთში არის მარადიული განხილვის საგანი, რადგან საუდის არაბეთი გამოირჩევა მძიმე დამოკიდებულებით საკუთარი მოქალაქეების მიმართ როდესაც ისინი კანონს არღვევენ, მათი კანონები კი

პირდაპირ კავშირშია მათ რელიგიასთან. კანონები , რომლების ადამიანების უფლებებს ეხება შეგვიძლია შევადაროთ ყველაზე საშინელს საშინელთა შორის. აღნიშნული ქვეყნის კანონებში ჩვენ გვხვდება ხელისა ან ფეხის ამპუტაცია, ქურდობის ჩადენისა ან სიმთვრალისათვის. ასევე გაროზგვა , სქესის განურჩევლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კანონი გაროზგვას არ უსჯის დამნაშავეს, ამას აკეთებს მოსამართლე, რომელიც თვითონ წყვეტს რამდენჯერ უნდა მოხდეს დამნაშავის გაროზგვა. მაგალითად ის უსჯის 1000 გაროზგვას და 10 წლიან პატიმრობას. გაროზგვა შესაძლოა გადანაწილდეს რამდენიმე კვირაზე, თვეზე, გააჩნია პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

განსაკუთრებით მკაცრია კანონები მათ მიმართ ვინც რელიგიას შეურაცხყოფს, ან რაიმე კრიტიკულ კომენტარებს აკეთებს მასზე. მაგალითად 2016 წელს საუდის არაბეთში მამაკაცს , რომელმაც სიციალურ ქსელში კრიტიკული განცხადება გამოაქვეყნა ისლამის შესახებ და თავის განცხადებაში ღმერთის არ არსებობაზეც შეეხო თემას, მიესაჯა 2000 როზგი , 10 წელი და 5300$.

კანონი საუდის არაბეთს ასევე სიკვდილით დასჯის უფლებასაც აძლევს. რაც დამნაშავის თავის მოკვეთას გულისხმობს.

თავის მოკვეთით დამნაშავეები ისჯებიან შემდეგ დანაშაულებში მონაწილეობისათვის , მაგ: მკვლელობის, გაუპატიურების, ნარკოტიკების მოხმარების, მრუშობისა ან ღალატისათვის და ა.შ.

მაგალითად ალი ალ-ნიმრი რომელიც 17 წლის ასაკში არაბული გაზაფხულის საპროტესტო აქციაში მინაწილეობისათვის დააკავეს. მას 18 წლის შესრულებისთანავე თავის მოკვეთა მიესაჯა.

2005 წელს 191 ადამიანი დასაჯეს სიკვდილით. 2006 წელს 38. 2007 წელს 153 და 2009 წელს 102.

განსაკუთრებით მნიშნელოვანია ქალების უფლებები საუდის არაბეთში. სადაც სისტემატიურად ხდება მათი დისკრიმინაცია. საუდელი ქალები ბევრ ასპექტში არიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი, როგორც კანონის ასევე კაცების მხრიდან. ქალების დიდი რაოდენობა ხდება საკუთარი მამაკაცი ნათესავების მხრიდან შეზღუდული . საუდის არაბეთში სწამთ, რომ ქალის ადგილი არის სახლში, სადაც ის მოუვლის საკუთარ ქმარსა და ოჯახს.

ქალებისთვის აუცილებელია ჰქონდეთ მეურვე მამაკაცის ნებართვა, თუ სურთ გადაწყვეტილების მიღება საკითხებზე, როგორიცაა ქორწინება, მოგზაურობა, პასპორტის მისაღებად განაცხადის შეტანა, სამედიცინო დახმარების

მიღებაც კი და, ზოგ შემთხვევაში, დასაქმებაც. მეურვეობის სისტემის ბევრი ასპექტი განისაზღვრება არა კანონით, არამედ ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკით.

როგორც აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩმა გამოაცხადა, ქალებს არ დასჭირდებათ მეურვე მამაკაცის ნებართვა მართვის მოწმობის მისაღებად და არც მეურვე მამაკაცის ყოფნა ავტომანქანაში, რომლის საჭესაც მიუჯდებიან. წელს, უფრო ადრე, მეფე სალმანმა გამოსცა ბრძანებულება, რომელიც ქალებს ანიჭებს მეურვე მამაკაცების თანხმობის გარეშე, მაგალითად, განათლების ან სამედიცინო დახმარების მიღების უფლებას. მაგრამ უფლებადამცველები აღნიშნავენ, რომ ახალი წესი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში სრულდება.

ქალებს აქვთ სასამართლოში ჩვენების მიცემის უფლება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მათი ჩვენების ფასი იმის ნახევარია, მამაკაცის ჩვენებას რომ ენიჭება. საუდის არაბეთში გაუქმდა მოთხოვნა, რომ ქალმა სასამართლოში მიიყვანოს ნათესავი მამაკაცი მისი ვინაობის დასადასტურებლად. 2013 წელს საუდის არაბეთში ქალებს პირველად მიენიჭათ ადვოკატის ლიცენზია, კლიენტების ინტერესების დასაცავად და საკუთარი საადვოკატო კომპანიების შესაქმნელად. ბოლო წლებში გაუმჯობესდა ქალთა უფლებრივი მდგომარეობა იმ მხრივაც, რომ მათ თავადვე შეუძლიათ იზრუნონ პირადობის მოწმობის აღებაზე ან გაყრილი და დაქვრივებული ქალის „საოჯახო ბარათების“ აღებაზე. ასეთ დოკუმენტებში აღწერილია ოჯახური მდგომარეობა და ისინი, უფლებადამცველ ორგანიზაცია „ჰიუმან რაიტს უოჩის“ ინფორმაციით, აუცილებელია ბიუროკრატიული პროცედურებისათვის.

ქალებს მოეთხოვებათ სადად, მოკრძალებულად ჩაცმა, თუმცა არ არაოფიციალურად განსაზღვრული წესები და ტანისამოსი განსხვავებულია სხადასხვა რეგიონსა და სხვადასხვა ვითარებაში. ზოგადად, საუდის არაბეთის მკვიდრ ქალებს მოეთხოვებათ გრძელი, მუქი ფერის მოსასხამით („აბაია“) და სახის დამფარავი თავსაბურით („ჰიჯაბი“) სიარული. ჩაცმულობას აკვირდება რელიგიური პოლიცია და „დარღვევებისათვის“ არაერთი ქალი დაუკავებიათ. ჩაცმულობის მკაცრი წესები, ჩვეულებრივ, არ ვრცელდება უცხოელ ქალებზე.

საუდელი მამაკაცები და ქალები - თუ ოჯახის წევრები ან ნათესავები არ არიან - ერთად, ერთმანეთის გვერდით არ უნდა იმყოფებოდნენ. ამიტომ ქალებსა და მამაკაცებს ცალ-ცალკე ადგილები აქვთ მიჩენილი რესტორნებსა და კაფეებში, საკონცერტო დარბაზებში და კონფერენციებზე. ბიზნესის სფეროში დასაქმებული ქალი შეიძლება საერთოდ არ შეუშვან შენობის იმ ნაწილში, რომელშიც კომპანიის ხელმძღვანელები - როგორც წესი, მხოლოდ მამაკაცები - მუშაობენ. სეგრეგაციის პოლიტიკის გამო დამსაქმებლები დიდად არ არიან დაინტერესებული სამსახურში

ქალების აყვანით. სეგრეგაცია ვრცელდება სამთავრობო უწყებებსა და კერძო ბიზნესზე. გამონაკლისია გიგანტური ნავთობკომპანია „საუდი არამკო“ და რამდენიმე უცხოური კომპანია.

ქალებს ოფიციალურად არ ეკრძალებათ უძრავი ქონების ყიდვა ან გაქირავება, მაგრამ ეს ამოცანა, უფლებადამცველი ორგანიზაციების ინფორმაციით, იოლი არ არის, თუ ნათესავი მამაკაცი არ გეხმარება.

საუდის არაბეთის მთავრობას სურს ხელი შეუწყოს შრომის ბაზარზე ქალთა გააქტიურებას. შრომის კოდექსში გაუქმდა ქალთა დასაქმებაზე დაწესებული შეზღუდვები და ოფიციალურად გაუქმდა მოთხოვნა, რომ ქალს მეურვე მამაკაცის თანხმობა ჰქონდეს მიღებული მუშაობის დასაწყებად. თუმცა ზოგი დამსაქმებელი მაინც მოითხოვს მეურვე მამაკაცის თანხმობას.

საუდელი ქალები ადგილს იმკვიდრებენ პროფესიებში, რომლებიც დიდხანს იყო მიჩნეული მხოლოდ მამაკაცების საქმედ: ისინი უკვე მუშაობენ გამყიდველებად, ავიადისპეტჩერებად, მუშაობენ სატელეფონო საინფორმაციო ცენტრებში. მაგრამ ბიზნესკომპანიებისა და სამთავრობო უწყებების ხელმძღვანელთა დიდ უმრავლესობას მაინც მამაკაცები შეადგენენ და არსებობს დაწესებულებები, რომლებშიც არათუ ქალები არ მუშაობენ, ქალის ტუალეტიც კი არ არსებობს...

კონსერვატიულ მუსლიმ სასულიერო პირებს არაერთხელ გამოუთქვამთ აზრი, რომ ქალი, რომელიც ფიზიკურად ვარჯიშობს, „უწესოა“, თუნდაც ამას საჯაროდ ან კაცების დასანახად არ აკეთებდეს. მაგრამ საუდის არაბეთის განათლების სამინისტრომ ივლისში გამოაცხადა, რომ საჯარო სკოლებში იწყება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები გოგონებისთვისაც. 2012 წელს სამეფომ პირველად გაგზავნა სპორსტმენი ქალები ოლიმპიურ თამაშებზე - ორი ქალი. 2016 წლის ოლიმპიადაზე მათი რიცხვი ოთხამდე გაიზარდა.

საუდის არაბეთში ძალაში შევიდა სამეფო ბრძანებულება, რომელიც ქალებისთვის ავტომობილის მართვის უფლების მინიჭებას ითვალისწინებს. აღნიშნულ დოკუმენტს 2017 წლის სექტემბერში ხელი მეფე სალმან იბნ აბდულ-აზიზმა მოაწერა.

ტელეარხ Al-Arabiya-ის ინფორმაციით, ბევრი ქალი გათენებას არ დაელოდა და საჭესთან შუაღამის შემდეგვე დაჯდა. ისტორიულ მოვლენას პოლიცია მომზადებული შეხვდა. სამართალდამცავები ქალ მძღოლებს ვარდებს ურიგებდნენ და სამეფო ხელისუფლების სახელით მართვის უფლების მოპოვებას ულოცავდენენ.

აქამდე საუდის არაბეთი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც ქალებს ავტომობილის მართვა ეკრძალებოდათ. მართვის მოწმობას მხოლოდ მამაკაცები იღებდნენ, ხოლო ის ქალები, ვინც საჯაროდ ავტომობილის ტარებას რისკავენ, ჯარიმდებოდნენ. ქალზე პირველი მართვის მოწმობა მიმდინარე თვის დასაწყისში გაიცა. როგორც მაშინ ხელისუფლებამ განაცხადა, კანონის ძალაში შესვლის მომენტისთვის, ეს დოკუმენტი დაახლოებით 2 000 ქალ მძღოლს ექნებოდა.

მრავალწლიანი აკრძალვის გაუქმება ტახტის მემკვიდრე პრინცის, მუჰამედ ბინ სალმანის სახელს უკავშირდება, რომლის პროგრამაც საუდის არაბეთში საზოგადოების ცხოვრების გარკველი ასპექტების მოდერნიზებას ითვალისწინებს[38].

2017 წლის აგვისტოში, ქალაქ ჯიდაში, დააპატიმრეს მოზარდი, რომელიც ქუჩაზე გადასვლის დროს ცეკვავდა. პოლიციამ განაცხადა, რომ ის საგზაო მოძრაობის წესებს და ზნეობის საფუძვლებს არღვევდა. იმავე თვეში, სამართალდამცველებმა დააკავეს ცნობილი საუდელი მომღერალი და ტელეწამყვანი აბდალ შაჰანი მას შემდეგ, რაც მან პირდაპირ ეთერში ცეკვა Dab-ის მოძრაობა შეასრულა. ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ამ კონკრეტული ცეკვის მოძრაობა მარიხუანის მოხმარების პროპაგანდაა. თავისთავად ცხადია, რომ საწინააღმდეგო სქესის ადამიანებთან ნებისმიერი ცეკვა მკაცრად იკრძალება.

საუდის არაბეთის ხელისუფლება ძალიან სერიოზულად ეკიდება მაგიის და ჯადოქრობის ნებისმიერ გამოვლინებას. შესაბამისად, ჰარი პოტერის თავგადასავლებზე ყველა წიგნი და ფილმი აკრძალულია. ჯადოქრობისთვის საუდის არაბეთში სიკვდილით სჯიან. ქვეყნის პოლიციაში მასთან ბრძოლის სპეციალური განყოფილება მუშაობს.

საუდის არაბეთის ხელისუფლება არ უკრძალავს ქრისტიანებს ქვეყანაში შესვლას, მაგრამ მათ ეკრძალებათ საჯარო ლოცვა ან ღია ღვთისმსახურება. აკრძალულია ეკლესიების მშენებლობაც. ქრისტიანებს ერთად ლოცვა თავიანთი კერძო სახლის საზღვრებში შეუძლიათ. ანალოგიური წესები ვრცელდება სხვა რელიგიებზეც, გარდა სუნიტური ისლამისა.

საუდის არაბეთში ჩასვლა ბოლო დრომდე ეკრძალებოდათ იუდეველებს. თუმცა 2014 წელს, შრომის სამინისტრომ გამოაქვეყნა 10 რელიგიის სია, რომლებისთვისაც ქვეყანაში კერძო სექტორში პრაქტიკა ნებადართულია. სიაში

[38] საუდის არაბეთში ქალებს ავტომობილის მართვის უფლება მიენიჭათ. გვ.1 https://reginfo.ge/world/item/7913-saudis-arabetshi-qalebs-avtomobilis-martvis-upleba-mienichat

მოხვდა იუდაიზმი და კომუნიზმი. ისრაელის ებრაელ მოქალაქეებს საუდის არაბეთში შესვლა დღემდე ეკრძალებათ. იმავდროულად, ისრაელის მოქალაქე ათასობით არაბი-მუსლიმი თავისი ისრაელური პასპორტით ყოველწლიურად სტუმრობს მექას.

ზოგჯერ ამ ქვეყნის ხელისუფლება მოქნილობას ავლენს. სპარსეთის ყურეში პირველი ომის წინ ქვეყანაში დაახლოებით 450 ათასი ამერიკელი სამხედრო გაიგზავნა. ზოგიერთი ებრაელი იყო, ზოგიც - ქალი და სამხედრო ტრანსპორტს მართავდა. ერ-რიადი არაფერს იმჩნევდა - თითქოს არც იცოდა, რომ იქ ებრაელები იყვნენ ან ქალები კაცებთან ერთად მსახურობდნენ.

ზოგადად, ფოტოგრაფია საუდის არაბეთში არ იკრძალება, მაგრამ არაფრით შეიძლება სამეფო ოჯახის კუთვნილი შენობების და სასახლეების გადაღება. ქუჩაში კაცების გადასაღებად მათი თანხმობაა საჭირო, ხოლო ქალების გადაღება არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება.

ბარქბექიუ, მწვადი და წვეულებების მოწყობა საკუთარ ბაღში აკრძალული არ არის. მაგრამ ადამიანებს ეკრძალებათ საკუთარი სახლის მიღმა (ბაღში და მხოლოდ მწვადზეც კი) შეკრება პოლიციის სპეციალური ნებართვის გარეშე.

საუდის არაბეთში არსებობს აკრძალული სახელების ოფიციალური სია. მაგალითად, არ შეიძლება ბავშვისთვის მალიკის ან ბენიამინის, ასევე ნაბის (წინასწარმეტყველი) ან ნაბიას დარქმევა. ზოგიერთი სახელი სიაში რელიგიური, ზოგიერთი კი აშკარად - პოლიტიკური მოსაზრებების გამო მოხვდა. მაგალითად, ბენიამინი ჰქვია ისრაელის პრემიერმინისტრს. ბავშვს ვერ დაარქმევენ ვერც აბდელ ნასერს - ასე ერქვა ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტს, რომელიც თავის ქვეყანაში ისლამისტურ მოძრაობას ახშობდა და რომელსაც საუდის არაბეთთან ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა.

საუდის არაბეთში ალკოჰოლი და ღორის ხორცის არც შეტანა და არც წარმოება არ შეიძლება. აკრძალულია ასევე ნებისმიერი სხვა პროდუქტი, რომელიც შეიძლება ამ ორიდან რომელიმეს შეიცავდეს. აკრძალულია ასევე ისეთი ცხოველების ხორციც, რომლებიც შარიათის კანონების დაცვით არ მოუკლავთ. რადგან საუდის არაბეთში ცხვრის ხორცის უდიდესი ნაწილი ავსტრალიიდან ან ახალი ზელანდიიდან არის, ცხოველები არაბეთის ნახევარკუნძულზე ან ცოცხლები გადაჰყავთ ან ახალზელანდიელები ადგილობრივ იმამებს ქირაობენ,

რომლებიც წყვეტენ, ვარგისია თუ არა ხორცი მოხმარებისთვის შარიათის კანონების თანახმად.[39]

დასკვნა

საუდის არაბეთის სახელმწიფო ჩამოყალიბდა იმ ტერიტორიაზე სადაც მუსლიმთა წმინდა ადგილებია. ამ ქვეყნის ძირითადი კანონი შარიათია. აქედან გამომდინარე ისლამს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

საუდის არაბეთი თავის საგარეო პოლიტიკაში გათვლებს არა აკეთებს მხოლოდ მის სამეზობლო ქვეყნებზე ან თუნდაც მთლიანად მუსლიმურ სამყაროზე. მის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროპის ქვეყნებთან და აშშ-სთან ურთიერთობას. მიუხედავად იმისა , რომ საუდის არაბეთი ისლამური ქვეყანაა და მისთვის უმთავრესი ყურანი და შარიათია, ეს არ ქმნის ბარიერს იმისათვის, რომ საუდის არაბეთმა აქტიური საგარეო პოლიტიკა აწარმოოს ამ ქვეყნებთან, იქიდან გამომდინარე, რომ აშშ-სა და დასავლეთ ევროპისათვის საუდის არაბეთს რეგიონში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ის მათი ერთ-ერთ დასაყრდენია ახლო აღმოსავლეთში.

ეს ქვეყანა ნავთობით ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა რეგიონში , რაც თავისთავად აისახა ძალზედ დადებითად მის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამავე დროს მდიდარი ნავთობსაბადოები საუდის არაბეთის პოლიტიკური სიძლიერისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა.

საუდის არაბეთი არის როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის, ისე სპარსეთის ყურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა,. უფრო მეტიც ის მოიაზრება სპარსეთის ყურის ერთ- ერთ ლიდერ ქვეყანად. აქედან გამომდინარე საუდის არაბეთის

[39] რა იკრძალება და რა - არა საუდის არაბეთში? ისტორია.გვ.1 https://imedinews.ge/ge/theme/162/ra-ikrdzaleba-da-ra--ara-saudis-arabetshi-istoria

პოზიციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სპარსეთის ყურის როგორც პირველ ისე მეორე ომში.

საუდის არაბეთი თავისთავად მეტ ნაკლებად ჩართულია ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებში. ის ყოველთვის პრაგმატულ პოზიციას იკავებს ამ კონფლიქტებში ჩართვის დროს. ყველაზე მეტად საუდის არაბეთი ჩართული აღმოჩნდა იემენში ამჟამად მიმდინარე კონფლიქტში, სადაც ის აშშ-ს მხარდაჭერით მონაწილეობს. ამას გარდა აღსანიშნავია, რომ მას იემენთან დაკავშირებით თავისი ინტერესებიც ამოძრავებს.

ამ ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობა, სუნიტი მუსლიმია, მაგრამ იქ შიიტი მოსახლეობაც ცხოვრობს. განსაკუთრებით კი ნავთობით მდიდარ პროვინციებში. ამავე დროს საუდის არაბეთი შიიტური ირანის უშუალო მეზობელია, შესაბამისად აქვს ადგილი დაპირისპირება სუნიტურ და შიიტურ მოსახლეობას შორის . რითაც ირანი და ის სხვა ქვეყნები სადაც მოსახლობის უმრავლესობა შიიტია, ცდილობენ გავლენა მოიპოვონ საუდის არაბეთში შიიტ მოსახლეობაზე დაყრდნობით.

საუდის არაბეთს აქვს სურვილი და მისწრაფება რათა განაცხადოს პრეტენზია გახდეს რეგიონის ერთ-ერთ წამყვანი თუ არა მნიშვნელოვანი სახელმწიფო . ამიტომაცაა რომ მას უხდება ბრძოლა რეგიონში თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, რის გამოც საუდის არაბეთი აშშ-სა და დასავლეთ ევროპის მხარდაჭერასაც ხშირად იყენებს . მისი ამ მისწრაფების ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი მიზეზი ისაა, რომ საუდის არაბეთში მდებარეობს ყველა მუსლიმის წმინდა ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ საუდის არაბეთს აქვს დიდი მხარდაჭერა რეგიონს გარედან ფაქტია, რომ ეს ქვეყანა ისლამური სახელმწიფოა და მასში უმთავრესია ყურანი და შარიათი. აქედან გამომდინარე ამ სახელმწიფოში არსებული რეჟიმი ბევრად ჩამორჩება დროში ევროპა-ამერიკის ქვეყნებს. ხშირია საუდის არაბეთში ადამიანის უფლებების შელახვა, რაც გამომდინარეობს შარიათის წესით გასამართლებიდან. ამასთან დაკავშირებით საუდის არაბეთს არაერთხელ შეექმნა პრობლემები საერთაშორისო ასპარეზზე და ამ მხრივ ის ხშირად იქნა გაკრიტიკებული, თუმცა ასევე ხშირია შემთხვევები როდესაც ქვეყანაში არსებული ადამიანის უფლებათა ხშირად დარღვევის მიუხედავად მისი „მხარდამჭერები“ თვალს ხუჭავენ ამ პრობლემებზე და ისინი საუდის არაბეთთან ურთიერთობებს უდგებიან მათი პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი. ტ I თბილისი ,2018
2. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი (გეოპოლიტიკა) ტII თბილისი 2019
3. გელოვანი ნ. თანამედროვე არაბული ქვეყნები. თბილისი 2008.
4. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი თბილისი 1999
5. მენთეშაშვილი ზ. ირან-ერაყის ომი და სპარსეთის ყურის ქვეყნები. „ახლო და შუა აღმოსავლეთი“ თბილისი 2003
6. სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან. თბილისი 2011
7. Васильев А.М. Пуритане ислама. Ваххабизм и первое государство Саудидов в Аравии (1744/1745-1818) Москва :Наука, 1967
8. Логинов,И.В.О Статусе Шиитской Обшины в Саудовской Аравии.Ближний Восмок и современность.Вып. семнадцатый,МоскваЬ Ближнего Востока ,2003, сс.104-110
9. Массе Анри, Ислам.(Очерк истории перевод с Фрацузского) Москва .издательиство Восточной литературы ,1963
10. Прошин н.и. Саудовская Аравия .Историко-економический очерк. Москва:Наука.главная редакция восточной литературы,1964
11. Abir, M., 1988.
12. Almana, M . Arabia Unified : A portrait of Ibn Saud . London : Hutchinson Benham, 1980

13. Al-Hasan, H. al –shi'a fi al-mamlaka al –'arabiyya al-sa'udiyya [The Shi'a in the kingdom of Saudi Arabia] Vol. II.Riyadh: Dar al –Shuf, 1993.
14. Al-Rasheed,, Madawi. The Shi'a of Saudi Arabia: A minority in Seasch of Cultural Authenticity. BJMES, 1998, Vol.25, No 1 , pp.121-138.___2003.
15. Al-Yassini , Ayman. Religion and State in the Kingdom of Saudi Arabia. Builder , Colo: westview Press, 1985
16. Beling, Willard A. King Faisal and the Modernization of Saudi Arabia. Boulder , Colo.: Westview Press, 1980.
17. Bligh, A. From Prince to King: Royal Succession in the House of Saud in the Twenthieth century. New York: New York University press, 1984Rasheed, M . 2002
18. Danied Dignity. Systematic Discrimination and Hostility toward Saudi Shia Citizens.Human Rights Watch. 2009. www.hrw.org
19. Fandy, M. Saudi Arabia and politics of Dessent . New York : St, Martin 's Press, 1999
20. Fandy, M. No Arab tears for Saddam, IHT , April 11, 2003
21. Wynbrandt , James. A Brief History of Saudi Arabia. New York: Chechmark Book, 2010.
22. Habib, J. Ibn Saud's Warriors of Islam : The Ikhwan Of Najd and their Role in the Creation of the Saudi Kingdon , 1910-1930. Leiden : Brill, 1978.
23. Holden, D. & Johns, R. The House of Saud. London : Sidgwick & Jacjson, 1981
24. Khadduri, Majid. Arab Contemporaries: The Role Personalities in Politics. Baltimore: Johns Hopkins University Press , 1973
25. Kostiner, Joseph. On Instruments and Their Designers: The Ikhwan od Najd and the Emergence of Saudi State. MES, 1985, Vol , 21, No 3 . pp298-323
26. Landare James, Why Saudi Crown Prince Mohammed bin Salman's UK visit matters. BBC News. March 7.2018
27. Long, D.E. The kingdom of Saudi Arabia. Gainesville: University Center for Strategic and International Studies, 1976
28. Mansfield, P 1976.
29. Partner, P. A Short Political Guide to the Arab World. New York: penguin Books, 1960.
30. Prince Faisal speaks. Faisal, King of Saudi Arabia, 1906-1975(ed.). New York:Ministry of Information, Prince Faisal Agency, 1963.
31. Rasheed M. 2002 A History of Saudi Arabia
32. Robert Lacey ,Inside the Kingdom: Kings, Clerics, Modernists, Terrorists, and the Struggle for Saudi Arabia . London: Arrow Books 2009
33. Safran, N. Saudi Arabia: The Ceaseless Quest for Security. Cambridge, MA: Harvard University Press, 1985

34. Shlomo Brom, Jaffee .2002-Yiftah Shapir, The Middle East Military Balance, 2001 Center for Strategic Studies. Tel Aviv Univeristy
35. Sindi, A. King Faisal and Pan-Islamism. In Beling W. (ed) , King Faisal and the Modernization of Saudi Arabia, London: Croom Helm , 1980.
36. Steinberg , Guido. The Shiites in the Eastern Province of Saudi Arabia (al-ahsa') , 1913-1953. In Bruner, Rainer and Ende, Werner (eds), The Twelver Shia in Modern Times: religious Culture and Political History.Leiden Brill, 2001
37. The Shiite Question in Saudi Arabia. Crisis Group Middle East Report No 45, September 19, 2005.
38. W. B. Fisher ,The Middle East: A Physical, Social and Regional Geography 5th edition.London Methuen,1966.
39. საუდის არაბეთი www.wikipedia.org (გადამოწმებულია 2019 წლის 15 მაისს)
40. რა იკრძალება და რა - არა საუდის არაბეთში? ისტორია www.imedinews.ge (გადამოწმებულია 2019 წლის 14 მაისს)
41. ქალთა უფლებები და უუფლებობა საუდის არაბეთში www.radiotavisupleba.ge (გადამოწმებულია 2019 წლის 14 მაისს)
42. U.S.-Saudi Arabia Relations. www.cfr.org/backgrounder/us-saudi-arabia-relations (გადამოწმებულია 2019 წლის 15 მაისს)